K 9 599 / 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაკობ ბალახაშვილი

ლიტერატურული წრეები და სახეები

საბლიტგამი

იაკობ ბალახაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველოში

XIX საუკუნის პირველი ნახევარი

დოკუმენტალური ნარკვევი

თბილისი
1940

ეროვნული ბიბლიოთეკა

K9.599

რამდენიმე სიტყვა წინასწარ

> სასურველი იქნებოდა გაგება ლიტერატურულ შეკრებათა მოკლე ისტორიისა ძალიანც და იმ ცნობებისა, თუ როგორ გაჰქრნენ ისინი სამოქმედო ასპარეზიდან. სამწუხაროა, თუ მოწმობანი მათ შესახებ დაკარგულია. ეს მისცემდა ძვირფას მასალებს ჩვენი ლიტერატურის ისტორიას.
>
> მ. ლონგინოვი (1859).

მხატვრულ ქმნილებათა საჯარო კითხვის ტრადიცია უხსოვარი დროიდან მომდინარეობს, მაგრამ ლიტერატურული წრეებისა და სალონების პირველი აკვანი მეთექვსმეტე საუკუნის საფრანგეთში დაირწა. XVII საუკუნეში ჩვენ უკვე გვაქვს ბრწყინვალე სალონები რამბულეს, პოლეს, ბურდონეს, სკიუდერისა და სხვებისა.

საფრანგეთის წაბაძვით მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ლიტერატურული წრეები და სალონები გაჩნდნენ ჯერ გერმანიაში, მერე ევროპის სხვა ქვეყნებში და რუსეთშიაც.

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, როცა რუსეთის ცარიზმი დამკვიდრდა საქართველოში, ლიტერატურულმა წრეებმა და სალონებმა საქართველოშიც იჩინეს თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული ცხოვრება არ ამოიწურება ახლადგამოსული წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი ლექსებით, მოთხრობებითა და რომანებით. ამ „საპარადო“ მხარის გარდა, ლიტერატურას, ისე როგორც ხელოვნების სხვა დარგებსაც, აქვს მეორე მეტად ინტიმური მხარე.

მწერალი მარტო როდი მუშაობს, ლიტერატურულ საქმიანობას ის ეწევა თავის თანამოაზრეებთან, მეგობრებთან და პროფესიით თანაამხანაგებთან. ასე იქმნება „წრეები“ და „ჯგუფები“, ეწყობა სხდომები, შეკრებანი და საღამოები.

ლიტერატურული წრეები და სალონები ქართული კულტურული ცხოვრებისათვის დამახასიათებელია მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან; თქმა არ უნდა, რომ ისინი ჩვენში არსებობდნენ გაცილებით უფრო ადრე, მაგრამ მათ არ ჰქონიათ „ლიტერატურული ფაქტის“ მნიშვნელობა.

საისტორიო ასპარეზიდან ბაგრატიონთა

დინასტიის წასვლით, საკარო პოეზიის დაცე-მისთანავე, „საოჯახო“ ლირიკის ფორმებმა ლიტერატურული ცხოვრების წამყვან ძალე-ბად იქცა და წრეებისა და სალონების მე-შვეობით ვრცელდებოდა.

მწერლობა კასტურ სალონურ გარემოც-ვაში იკეტება. ლექსები იწერება არა დასაბეჭდად, არამედ ხელნაწერებად გასავ-რცელებლად, მეგობართა შორის წასაკითხად და საალბომოდ.

„ჩვენ, — განაცხადა ერთხელ პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა, — თუ რამე ლექ-სებს ვწერდით, ჩვენის ნათესავებისთვის და მეგობრებისთვის ვსწერდით და არა დასა-ბეჭდად“[1].

მიუხედავად ამისა, ლიტერატურა ქართულ კულტურულ ცხოვრებაში დომინირებულ როლს თამაშობდა, ხელოვნების სხვა დარ-გები უკან მიჰყვებოდნენ მას.

შინაური წარმოდგენები, „საჯარო აქტე-ბი“, წრეები, სალონები, შეკრებანი, ბალე-ბი, სადილები, ნადიმები, სარედაქციო სხდომები, საბიბლიოთეკო ამხანაგობანი, — აი ლიტერატურულ გაერთიანებათა ის სა-

ხეობანი, რომლებიც შემოდიან ჩვენი თემის ფარგლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფური რუსეთი საქართველოს დაპყრობის დღიდანვე ცდილობდა ქართველი თავადაზნაურების გულის მოგებას. მეტსაც ვიტყვით: ქართველი არისტოკრატიის ჩაბმა ევროპული ცხოვრების წესში იყო რუსეთის თვითმპყრობელობისთვის ერთ - ერთი საშუალება კოლონიური პოლიტიკის გასატარებლად.

— არა იარაღი და ძალდატანება, არამედ სიფრთხილე, მოხერხება და მშვიდობიანი დამოკიდებულება საქართველოს მმართველ კლასებთან, — აი ძირითადი ლოზუნგი, რომლითაც ხელმძღვანელობდა რუსეთის ცარიზმი.

გაიძვერა სატრაპი მ. ს. ვორონცოვი ამას გამო წერდა კიდეც:

„ყოველი ცვლილება და ყოველი ახალი რეფორმა, რომელიც საუკუნეებით შექმნილ ჩვეულებებსა ცვლის, ყველგან არაჩვეულებრივ სიძნელეს წარმოადგენს ცხოვრებაში გატარების დროს, განსაკუთრებით კი ამ მხარეში. ამისათვის ამგვარ შემთხვევაში საჭიროა დიდი სიფრთხილით მოქმედება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძულებითი ზომები არა თუ არ მოიტანენ სარგებლობას, არამედ შესაძლოა გამოიწვიოს ფრიად საზარალო შედეგებიც“[2].

ევროპულ გართობათა პირველი ხმები საქართველოში რუსეთის მმართველობის დამკვიდრებისთანავე დაირხა, მანამდის კი ყველგან, ერთი რუსი მოხელის სიტყვით რომ ვთქვათ, „ადგილის განურჩევლად შეფობდა ხმა საზანდარისა, ჟღერდა ჩონგური, ჰყიპინებდა ზურნა, გრიალებდა დაირა და ტაშის კვრის ხმაზე სრიალებდა ლეკური“[3].

ქართველი თავადაზნაურობა უმალვე აჰყვა საერთო ფეხის ხმას და მთლიანად გადაეშვა ბურჟუაზიული ფუფუნების „მოლივლივე ზღვაში“. ახლა ყველას ერთნაირი „ფიქრი“ ჰქონდა... მაგრამ სჯობს გიორგი ერისთავის „ყმაწვილ ქალს“ მოვუსმინოთ:

თვეში ორჯერ მდიდრულსა ვაკეთებდე ბალებსა
მერე ხუთშაბათობით ვპატიჟობდე ქალებსა;
დილით ფაიტონითა ყოველთვის ვგულაობდე,
საღამოს კავალრებით უნდა ვკავალკატობდე!
ოხ! რარიგად მექნება გოსტინა გაწყობილი,
ატლასის ზანავესკით საწოლი შემკობილი!
თხუთმეტ მაისს რარიგად ჩავიფრანცუზ—
კადრილებ,
მერე მაქვს მოდის ფერი, ამით გულსა
ვიგრილებ!..[4].

თანდათანობით დავიწყებას მიეცა აზიური გასართობანი და შექცევანი და მთელი თბილისი, მასთან საქართველოც, ბალების, მუსიკალური სალამოების, ლიტერატურული წრეებისა და სალონების ქსელით დაისერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ყველაფერი ეს ძვირად დაუჯდა ქართველ არისტოკრატიას. ახალ მოთხოვნილებებსა და საჭიროებას აღარ ეყო ღალა და მამულის ნატურალური შემოსავალი. ამ გარემოებამ ქართველი თავადაზნაურობა ეკონომიური კრახის მოლიპულ გზაზე დააყენა.

თელავის მაზრის აზნაურობა ამის გამოაი რას სწერდა თელავის მაზრისავე „წინამძღომელს“ ერთ-ერთ „თხოვნაში“:

„... 1801 წელს დაემკვიდრა რუსეთის მმართველობა; გაიხსნენ სხვადასხვანი სამჯავრონი. შემოვიდა ჩვენ შორის ჟამითი ჟამად ევროპიელნი. ჩვეულებანიცა და ცხოვრებაი, რომელნიცა კვალადვე მოითხოვდნენ და აწცა ითხოვენ უდიდესსა ღონის ძიებასა, რათამცა ჩვენის ყმის და მამულის შემოსავალნი დაშთნენ იგივესა მდგომარეობაშიდ, რითაც ჰსცხოვრობდნენ წინაპარნი ჩვენნი.

ამის გამო შთავარდით ჩვენ დიდს[illegible] წუხებასა და ვალშიდ, რომელიც გვაწევს. ზოგთ პრიკაზისა და ზოგთ გარეშე პირისა და რომლისა გარდახდისათვის ვერა რაიმე ღონისძიება ვერ მოგვიპოებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან რაოდენიმე ნაწილნი საუკეთესო მამულებისაბნი, კუთვნილნი რაოდენათმე ჩვენგანაცა კეთილშობილად გარდავიდნენ ვაჭართ ხელში: ზოგი მოსყიდვით, ზოგი დაგირავებით და ზოგნი სახალხოს გასყიდვით სასამართლოებშიდ. არა გვაქვს ჩვენ არც ზაოდები, არც ფაბრიკები, არც მანუფაქტურები, არც საიჯარონი და არენდათ მისაცემნი ადგილნი“[5].

ეს სწრაფი „ფერისცვალება“ ფეოდალური ცხოვრებისა ბურჟუაზიულ ყოფად მხოლოდ რამდენიმეს აწუხებდა და ადარდებდა. ერთი მათგანი ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე სინანულით შენიშნავდა:

„საღამოს ჟამს ჩაველ ყაბახზე. მუზიკა იკვროდა და იყო დიდი ხალხის დენა. იქ წარმოადგენდნენ თავიანთს უნრებს პეტერბურღიდან მოსული ჯამბაზები და გვიჩვენებდნენ თავიანთს ცხენოსნობას. დაიწყეს ჯერ გაჭიმულს თოკზე ხტომა ქალებმა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცებმა. მერმე ატყდა ცხენების ჭენება, ვუ-ყურე, ვუყურე, თუ როგორ ტიტველა დედაკაცები უბელო ცხენებს გავაზე ახტებოდნენ. აი თქვენც შეგარცხვინათ მეთქი და ამის იქით თქვენთან მომსვლელიც. ამას შემდგომ დაიწყეს მალაყები და სხვა კიდევ რაღაც მიქარვები.

წამოვდექ საჩქაროთ და გამოვარდი ვარეთ. ბნელი და ცივი ღამე აწვა ყაბახს, თუმცა ვარსკვლავებს ყინვისაგან მოჯერილს გაჰქონდათ კაშკაში. მომაგონდა ძველი დროის შექცევაები, უწინდელი ასპარეზობა, უწინდელი ჯირითობა ყაბახზე“[6].

როგორც ფეოდალური დროის შექცევა-გასართობანი, ისე ბურჟუაზიული ეპოქის ლიტერატურული წრეები და სალონები კარგახანია ჩაიძირნენ ისტორიის გაშლილ ზღვაში. ხელნაწერთა საცავების დამტვერიანებული ფოლიანტების, ძველი წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გაყვითლებულ ფურცელთა მეშვეობით მოხერხდა რამდენიმე ლიტერატურული წრისა და სალონის მკრთალი სახის აღდგენა.

ყველა ამათ შესახებ მე მოგითხრობთ იმათი სიტყვებით, ვინც უშუალოდ მართავდა, ან ესწრებოდა ამ წრეებსა და სალონებს, ვინაიდან ვერავითარი გამოკვლევა ვერ შეცვლის თანამედროვისა და მოწმის ცოცხალ ჩვენებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაური წარმოდგენები თბილისში პ. ი. კოვალენსკის ინიციატივით

ირანის ყაენმა აღა-მაჰმად-ხანმა თბილისში შემოსვლის უმალვე სამეფო რეზიდენციისა და ქალაქის აოხრებას მიჰყო ხელი.

მრისხანე დამპყრობელის ბარბაროსულ ხელს გაუნადგურებელი არ დარჩა სამეფო კარის სათეატრო პალატაც, რომლის მსახიობნი ირაკლის რეგულარული ლაშქრის თითქმის განადგურების შემდეგ კრწანისის უკანასკნელ ბრძოლაში დაიღუპნენ.

მტერთან 1795 წლის უთანასწორო ომში დაცემულ სამეფო თეატრის მსახიობთა გმირობის შესახებ მემატიანე გადმოგვცემს:

„მცხოვრებთაგან ტფილისისათა გამორჩეულ იქმნეს კაცნი მამაცნი და მარჯვენი, რომელთაცა აღირჩიეს წინამძღვრად თვისად კაცი ვინმე მსახიობი (რომელსა საზანდრად უხმობენ).

ესე იყო ერთი წარჩინებულთა ძე, საკრავ-

თა და მსახიობთაგან მეფისათა, მუზიკი და კომედიანტი. და ესე იყო უფროსი მსახიობ-თა შორის და ცნობილი იყო სამეფოსა სახლსა შინა. ესე იყო გვარეულობითა და სარწმუნოებითაცა ქართველი, რომელსაცა სახელს—სდებენ მაჩაბლად.

ესე მიუძღვა გუნდსა მას ტფილისელთასა მტერთა ზედა და ეპყრა ხელთა მისთა ბარბი-თი, ე. ი. დაირა და უკრავდა მას ზედა შა-დიანსა, ე. ი. ხმასა მას, რომელსაცა ლხინსა შინა დაუკვრენ, ჟამსა შინა უმეტეს სიხარუ-ლისასა, ვინაიდგან ხმა ესე განამხიარულებს მსმენელთა.

მებრძოლნი ესე იყვნენ მკვირცხლნი და მიმართეს ქვეითთა ამათ და ბრძოდეს მტერ-თა ფიცხელად და შველოდა გუნდსა მას ფშავ-ხევსურთა, არაგველთა და ქიზიყელ-თასა.

და ჰყვეს ატაკა მტერთა მიმართ და მი-იწივნეს ვიდრე დროშებამდე ალა-მაჰმად-ხა-ნისა და მოიტაცეს დროშანი რაოდენნიმე მხედართა ალა-მაჰმად-ხანისათაგან და მრა-ვალნი სპარსელთაგანი მოსწყვიტნეს წინაშე მისსა.

იხილა რა ალა-მაჰმად-ხანმან სიმხნე ესე

ვითარი ქართველთა მხედრობისა, განუკვირდა ფრიად და იტყოდა: „სიყრმითაგან ჩემით, ვიდრე აქამომდე დამიყოფიეს ბრძოლასა შინა და არსადა მიხილავს მე წინაამდეგნი, ვიდრე ესე კაცნი ჩემდა მიმართ ჰყოფენ ბრძოლასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესენი იბრძოდნენ სიმხნითა უაღმატებულესითა, განსწირნეს თავნი თვისნი და შეიწირნეს მსხვერპლად საყვარლისა მამულისა და სახელოვნად დასთხიეს სისხლნი თვისნი"[7].

აღა-მაჰმად-ხანის შემოსევით დაედო საქართველოში საზღვარი ფეოდალურ გასართობებსა და თეატრს.

მეფე ირაკლის სიკვდილის შემდეგ გიორგი XIII-ის ტახტზე ასვლისთანავე იმპერატორმა პავლემ კავკასიაში ეგერთა პოლკის ორი ბატალიონი გამოგზავნა და საქართველოს მმართველად დანიშნა პეტრე ივანეს-ძე კოვალენსკი.

1799 წლის აპრილის 16-ს მმართველად დანიშნულ კოვალენსკის საქართველოში სამოქმედოდ მიეცა სპეციალური საიდუმლო ინსტრუქციები.

„ამ ინსტრუქციით, — მოგვითხრობს ბუტკოვი, — საჭირო იყო თვალყურის დევნე-

ბა დაქვრივებულ დედოფლისა და მასთან დაახლოებული პირების მოქმედებანი მხედველობიდან არ უნდა ყოფილიყო გამორჩენილი თვითონ გიორგი მეფის მოქმედებაც“[8].

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე წლის დეკემბრის დასაწყისში პეტრე ივანეს-ძე კოვალენსკი ეგერთა პოლკის ორი ბატალიონითურთ თბილისში იყო.

13 დეკემბერს ახლადჩამოსული მმართველის პატივსაცემად ილუმინაციით განათებულ ქალაქში მოეწყო საყოველთაო მასკარადი.

ტრიუმფალური შეხვედრით აღფრთოვანებული კოვალენსკი მეორე დღესვე თბილისიდან კნორინგისადმი გაგზავნილ ბარათში წერდა:

„როგორც იქნა, ყველა ჩემი ცერემონიალი აქ მოთავდა. გუშინ მოეწყო აზიური გემოვნების საუცხოო ილუმინაცია და მასკარადი, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდა სატახტო ქალაქის თითქმის მთელი მოსახლეობის ორივე სქესი. ისინი მწყობრად მიდიოდნენ ქუჩაში, ზოგან მუსიკითაც, ღრეობდნენ და მხიარულობდნენ“[9].

თავგასართობად და სამეფო კარის წევ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის „საჯარო აქტები"

რუსეთის მმართველობა საქართველოში დამკვიდრების დღიდან ცდილობდა გამოეყენებინა ამ ქვეყნის სამთამადნო სიმდიდრენი, უზრუნველეყო თავისი წარმოება ამიერ-კავკასიის ნედლეულით, გაეხსნა გზა სავაჭრო კაპიტალისათვის აღმოსავლეთში და მთელი ამიერ-კავკასია დაერაზმა ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ.

მაგრამ ამ მიზნის განხორციელება საკუთარი საშუალებებით მეტად ძნელი იყო, და ამიტომაც რუსეთის ცარიზმმა დამხმარე ძალად ქართველი თავად-აზნაურობა აირჩია.

რუსული ენის `არმცოდნე, რუსულ კანონებს შეუჩვეველი, თან ბიუროკრატული მართვა-გამგეობისათვის რუსულად „გაუნათლებელი", მაგრამ მორჩილი კლასი ბევრში გამოსადეგი რომ არ იქნებოდა, ეს რუ-

სეთმა საქართველოში შემოსვლისთანავე კარგად იცოდა და ამისათვის რუსული სკო-ლის გახსნას შეუდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რუსული სკოლა, — წერს მემატიანე,— მთავარი იარაღი იქნებოდა, რომელიც მთავრობას ახლო მომავალში ახალი მართვა-გამგეობისათვის შესაფერ კადრსაც მისცემდა ადგილობრივ თავად-აზნაურთაგან და ამ უკანასკნელსა და მათ შორის მჭიდრო ურთიერთობის დამყარებასა და თანამშრომლობას შეუწყობდა ხელს“[12].

ამ მოვალეობის შესრულება რომანოვების დინასტიამ დააკისრა მეფის რუსეთის პირველ სკოლას საქართველოში — „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელს“.

1802 წლის 22 სექტემბერს საქართველოს მმართველის კოვალენსკის ინიციატივით მოეწყო პირველი სკოლის საზეიმო გახსნა თბილისში.

კოვალენსკის მიერ შემუშავებული დებულებით, პირველ ხანებში სასწავლებელი ორკლასიანი იქნებოდა. პირველ კლასში მოსწავლეებს უნდა შეესწავლათ რუსული და ქართული, წერა-კითხვა და არითმეტიკის ოთხი მოქმედება, მეორე კლასში—ორივე ენის

გრამატიკა, კათეხიზისი, საღვთო და საერო ისტორია, გეოგრაფია, გეომეტრია, არითმეტიკა, დარიგებანი და ცნობები ადამიანისა და მოქალაქის მოვალეობათა შესახებ და ხატვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1803 წელს თბილისში ჩამოსულ ახლადდანიშნულ კავკასიის მთავარმართებელ ციციანოვს არც სასწავლებელი, არც მასწავლებლები და არც მოსწავლენი არ დახვედრია. ყოფილმა მთავარმართებელმა კოვალენსკიმ განმარტა, რომ მოწაფეებმა თავი დაანებეს სკოლას „ადგილობრივი ხალხის ველური ზნეობისა და მიუჩვევლობის გამო“.

ახალი მთავარმართებელი გულმოდგინედ შეუდგა სასწავლებლის აღდგენას. 1804 წლის მაისის 31-ს ხელახლა გაიხსნა „კეთილშობილთა სასწავლებელი“.

პავლე ციციანოვის მიერ შემუშავებული პროექტით, სწავლა დილის 7 საათზე იწყებოდა. 11 საათზე ბავშვები შინ მიდიოდნენ. ნაშუადღევის სამი საათიდან სწავლა ახლდებოდა და გრძელდებოდა ექვს საათამდის.

სასწავლებელში წლის ბოლოს ორმაგი გამოცდები ეწყობოდა. მოწაფეს ჯერ მასწავლებელი გამოცდიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გამოცდებს, — გვიამბობს დიმიტრი ყიფიანი, — თავთავიანთ საგნებში თვით მასწავლებელნი ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ გარდა მანასეინისა (დირექტორი, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი), დემენტიევისა (რუსული სიტყვიერების მასწავლებელი) და არღუთინსკი-დოლგორუკოვისა, სხვა დანარჩენ მასწავლებლებთან მოწაფენი შეგნებით მხოლოდ სიცრუეს სწავლობდნენ.

გეოგრაფიის მასწავლებელი, მაგალითად, გამოცდის ორი კვირით ადრე გაკვეთილს აძლევდა მოსამზადებლად: ერთს—შვეციაზე;—„არა, სჯობს მე პორტუგალიაზე მომცეთ!“—კარგი, პორტუგალიაზე იყოს;—მეორეს — ესპანეთზე. — ჰა? რაო! შვეციაზე გინდა? შვეციაზე იყოს! მესამეს—ინგლისზე და სხვა და სხვ. ამნაირად იქცეოდნენ დანარჩენი მასწავლებელნიც“[13].

მერე კი იმართებოდა „საჯარო აქტი“ მოწაფეთა გამოსაცდელად.

„გამოცდებს, — წერს იმ დროების მომსწრე—თან მოსდევდა ჩვეულებრივი საჯარო აქტი. აქტის დროსაც იგივე ხერხი იყო მიღებული, კიდევ უფრო ზერელედ და უფრო

მოკლედ. ამის გარდა, წაიკითხავდნენ [illegible]-რიშს, წარმოთქვამდნენ სიტყვებს და [illegible]-ლოს საუკეთესო მოწაფეთ ჯილდოს მისცემდნენ, უფროს კლასებში გადაყვანილთა სახელებს გამოაცხადებდნენ და კურსდასრულებულთ ატესტატებს დაურიგებდნენ.

რაკი სხვა გასართობი არ იყო, საჯარო აქტები წლიურ სადღესასწაულო წარმოდგენას უდრიდა. აქტებს ღირსად ხდიდენ და ესწრებოდნენ უმაღლესი პირები: მთავარმართებელი, საქართველოს ეგზარხოსი, გუბერნატორი, შტაბის უფროსი და საერთოდ ყველა, შემთხვევითა თუ მუდამ თბილისში მცხოვრებნი წარჩინებულნი. მაგრამ, არ ვიცი კი რად, ამ წარმოდგენაზე მანდილოსნები არასდროს არ ყოფილან“[14].

„საჯარო აქტებს“ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში უფრო ფართე და ბრწყინვალე ხასიათი მიეცა მას შემდეგ, რაც ამ სკოლის მმართველობა გადავიდა თბილისის სამოქალაქო და სამხედრო გუბერნატორის გენერალ ხოვენის ხელში.

სკოლის ახალმა მმართველმა შემოიღო წესად სასწავლებლის უფროსი კლასების

მოწაფეთა გაგზავნა საცეკვაო საღამოებზე.

ბიბლიოთეკა

დიმიტრი ყიფიანი იგონებს:

„... ხანდახან შეიკრიბებოდნენ საცეკვავად, მაგრამ საზოგადოთ ჯერ კიდევ ცოტანი იყვნენ მოცეკვავე მანდილოსნები და დროს მიხედვით, კავალრები უფრო კიდევ ნაკლები. ახალგაზრდა ოფიცრები თითქმის სულ ომში იყვნენ გაწვეული სპარსეთში და ფრაკოსანი მოცეკვავე კი სამი-ოთხი თუ მოიძებნებოდა.

ამ ნაკლის შესავსებლად, მაშინდელმა სამხედრო გუბერნატორმა, ან, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, თბილისის სამოქალაქო გუბერნატორმა სამხედრო უფლებებით, იმავე დროს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის უშუალო მმართველმა, გენერალმა ხოვენმა ერთს ისეთს საშუალებას მიმართა, ერთბაშად რომ ორ მიზანს აღწევდა: მანდილოსნებს ასიამოვნებდა და ნორჩ მოწაფეთ წააქეზებდა.

მან გასცა განკარგულება, სადაც კი გაიმართებოდა საცეკვაო საღამო, როგორც სათადარიგო კონტინგენტი კავალრებისა, გაგზავნილიყო რამდენიმე მოწაფე სასწავლებლის უფროსი კლასებიდან, ვინც კი ღირსი

იქნებოდა ამ პატივისა თავისი სწავლითა და ყოფაქცევით. ამ რჩეულთა რიცხვში ერთხელ მეც, მეხუთე კლასის მოწაფესაც, მხვდა ეს პატივი“[15].

საჯარო აქტების ტრადიცია „კეთილშობილთა სასწავლებელს“ თბილისის პირველ გიმნაზიად გადაკეთებამდის შერჩა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურიის უკანასკნელი მთავრის სალონი

გურიის უკანასკნელი მთავრის მამია გურიელის სალონი იყო ევროპული ხასიათის პირველი კულტურული პუნქტი დასავლეთ საქართველოში.

მამია გურიელი უწინ სოფელ უჩხუბს (დუაბზუს საზოგადოებაში) ცხოვრობდა, ხოლო შემდეგ კი ოზურგეთში დაბინავდა.

ოზურგეთი ოდიდან გურიის მთავრების სატახტო ქალაქი იყო.

ვახუშტი ბატონიშვილი წერს:

„ოზურგეთი არის სასახლე დიდშენი, და კეთილ-პალატოვანი გურიელისა"[16].

მამია გურიელს ოზურგეთში მშვენიერი სასახლე აუშენებია 1812—1814 წლებში, რამდენიმე ხნის შემდეგ ამ სასახლისათვის მაღალი გალავანი შემოუვლია.

თურმე, „მის ასაშენებლად გურიელს მოუწვევია ერთი კალატოზი ბერძენი, უბრძანე-

ბია, ჩემს სასახლეს გალავანი შემოავლო და თუთხმეტს თუმანს მოგცემო. ფული ძვირი ყოფილა და ბერძენიც დათანხმებულა. როცა გალავანი მოუსრულებია, გურიელს მოურავისათვის უბრძანებია: მიეცი თუთხმეტი თუმანიო.

ხარბს მოურავს არც უციებია, არც უცხელებია, წაუყვანია კალატოზი ბერძენი ტყეში და დაუხრჩვია, რა არის, მისი მისაცემი ფული მე დამრჩესო. რა თქმა უნდა, მთავრისათვის მოუხსენებია, ფული სრულიად გადავეცი ბერძენს თქვენის ბრძანების თანახმად და გავისტუმრეო“[17].

1810 წლის 19 ივნისს მამია გურიელმა რუსეთის ქვეშევდომობა ითხოვა. ერთგულებისა და სამსახურისათვის, რომელიც მან უჩვენა რუსეთის მონარქს შერიფ-ფაშის დამარცხებისა და ფოთის აღების დროს, მას მისცეს პოლკოვნიკობის ჩინი, კავალერობა წმინდის ანას პირველის ხარისხისა, ხოლო მცირე ხნის შემდეგ—გენერალ-მაიორობა.

ხალხის გასანათლებლად მამია გურიელმა ქალაქ ოზურგეთში გახსნა ყრმათათვის სასწავლებელი, ხოლო ვაჟრობის გასავითარებლად მოაწყო „იარმანკა“.

მემატიანე მოგვითხრობს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მამია გურიელი რუსობის სიყვარულს თვისსა ამტკიცებდა ყოველთვის ხალხის მოქალაქეობის განათლებითაცა. ყმაწვილთა სასწავლებელად გააჩინა მან ოზურგეთში შკოლაი, ვაჭრობისა და აღებმიცემობის განსამხნევებლად ერთს თავის სოფელთაგანში დააწესა მან მარიანობა (დღესასწაული წმინდის მარინასი) და გააჩინა იქ იარმანკა“[18].

ეს ხდებოდა პარასკეობა დღეს.

„პარასკეობით,—წერს ერთი მოგზაური,— ბაზრობა, ანუ, როგორც აქ ეძახიან, „პარასკეობა“ იციან. გარშემო სოფლებიდან შემოაქვსთ გასასყიდად ყოველგვარი ნაწარმოები სოფლისა: ხილი, მწვანილი, ფრთოსანი, ოთხფეხი, სხვადასხვა ნაქსოვები, როგორც აბრეშუმისა, ისე მატყლისა, თიხის ჭურჭელი, ქვევრები, კოკები, დოქები, მჭადის საცხობი კეცები. ბაზარშივე გამოაქვსთ გათლილი ფიცრები. აბა კარგი საყურებელი მაშინაა, როცა მილეთის ხალხი ბუზივით ირევა! სხაპასხუპით ლაპარაკი, მარდი მიხვრა-მოხვრა, სიცოცხლე სდუღს და გადმოდის!“[19].

„იარმანკაზე“ ხალხის მოსაზიდად მამია

გურიელმა ვლახეთიდან გამოიწერა „ფიგ-ლიარები და მეკომედიეები" და ათამაშებდა მათ ბაზრობა დღეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწმე გვიამბობს:

„შემდგომ და შემდგომ მოვიდოდნენ ხალხნი მთელის სამთავროითგან, შეხალისებულნი სხვადასხვა სანახავეობითა, რომელსაცა წარმოადგენდნენ ხოლმე მოლდავითგან ანუ ვლახიითდგან მოწოდებულნი ფიგლიარები და მეკომედიეები"[20].

ხოლო სახლში მამიამ საფუძველი დაუდო ევროპულად მოწყობილ სალონს.

დამსწრე წერს:

„ზნეობათა განსანათლებლად დააწესა მან თავისს სახლში სადამოს შესაქცევი შეკრებილება ასამბლეების მსგავსად (ესე იგი ბალისა), გამოიყვანა ევროპიითგან მუზიკის მასწავლებელი, შეადგინა თავისი მუზიკა და ჩვეულებად გააჩინა ევროპიული ტანცები"[21].

1823 წლის გაზაფხულზე გურიას ეწვია გერმანელ მოხეტიალე კომედიანტთა და აკრობატთა ჯგუფი, რომელმაც განცვიფრებაში მოიყვანა გურიის მთავარი.

მამია გურიელმა გადაწყვიტა, რათაც არ

უნდა დასჯდომოდა, დაეტოვებინა ისინი კარზე და წადილი აისრულა კიდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანგი მოგზაური შევალიე გამბა გადმოგვცემს:

„გურიის მთავარი ისე აღტაცებული იყო გერმანელ აკრობატთა წარმოდგენებით, რომ მისცა მათ რამდენიმე ქცევა მიწა და ხუთი კომლი ყმა, იმ პირობით, რომ კომედიანტები ვალდებულნი იყვნენ კვირაში სამჯერ მოეწყოთ წარმოდგენები მთავრის კარზე და მთავრის რამდენიმე ყმისათვის ესწავლებინათ თოკზე ჯამბაზობა“[22].

1826 წლის 21 ნოემბერს მამია გურიელი გარდაიცვალა, რასაც სალონის დაშლა მოჰყვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურული შეკრებანი
ა. პ. ერმოლოვთან

ჰვითნება და ალექსანდრე პირველის პოლიტიკისადმი ოპოზიციურ დამოკიდებულებაში მყოფი ალექსი პეტრეს-ძე ერმოლოვი (1772 — 1861) დიდი პოპულარობით სარგებლობდა რადიკალურად განწყობილ საზოგადოებაში.

რუსეთის მონარქის სურვილი—მოეცილებინა იგი პეტერბურგიდან, როგორც „საშიში პიროვნება“, იყო ერთი მიზეზთაგანი 1816 წელს, მისი დანიშვნისა საქართველოს მთავარმართებლად.

1821 წელს, როცა საბერძნეთის გასათავისუფლებლად თურქეთთან ომი უნდა დაწყებულიყო, საზოგადოებრივი აზრი მთავარსარდლად ერმოლოვს ასახელებდა. შემდგომ ცნობილი დეკაბრისტი პოეტი კონდრატი რილეევი ასეთი სიტყვებით მიმართავდა მას:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Ермолов, поспеши спасать сынов Эллады,
Ты, гений северных дружин!
И, цепи сбросивши невольничьего страха,
Как феникс молодой,
Воскреснет Греция из праха
И с древней доблестью ударит за тобой![23].

დეკაბრისტთა ამბოხების დროს, როცა ერმოლოვი საქართველოში იმყოფებოდა, რუსეთში, როგორც ა. კოშელევი შენიშნავს, ხმა გავრცელებულა: „ერმოლოვი მხარს უჭერს აჯანყებულებს და თავისი ჯარით კავკასიიდან მოსკოვზე მოდისო“[24].

რა თქმა უნდა, ერმოლოვის „ოპოზიცია“ სრულიად თავსდებოდა მონარქიული წყობის ჩარჩოებში. მას არ მოსწონდა ცალკეული „ხასიათები“ და „წესები“, და არა მთლიანი სისტემა რუსეთის ცარიზმისა.

საქართველოში ჩამოსვლის დღიდანვე ერმოლოვმა საგრძნობლად შეუწყო ხელი კავკასიის დაპყრობის საქმეს. მოქმედებდა რა უმკაცრესი ზომებით, მან რუსეთის მმართველობას მთელი რიგი ადგილები შეუერთა.

ევროპიზაციის მომხრე მთავარმმართებელმა, როგორც ბაგრატ ბატონიშვილი გადმოგვცემს, „დააქცია ციხე თბილისისა, ვახტანგ

გორგასლანის მიერ აღშენებული, და გარს გალავანიცა, მოვლებული როსტომ [illegible] მიერ“[25] და შეეცადა ევროპული სახე მიეცა თბილისისათვის.

გაზეთი „კავკაზი“ წერდა:

„პირველი საფუძვლები თბილისს, როგორც ევროპული ქალაქის, დადებულია გენერალ ერმოლოვის მიერ“[26].

რუსეთის სალონების მუდმივ სტუმარს და რუსული ლიტერატურის კორიფეების უახლოეს მეგობარს ალექსი პეტრეს-ძე ერმოლოვს უყვარდა თავისუფალი დრო საზოგადოებრივი გასართობებისა და ლიტერატურულ შეკრებათათვის ეძღვნა.

ნიკოლოზ მურავიოვ-კარსკის 1817 წლის ივნისის თვეში შანგელაბატში თავის დღიურში შეტანილი აქვს:

„ალექსი პეტრეს-ძე სისხამ დილით მოვიდა ჩვენთან ჩარდახში, წამოგვაგდო ყველანი ფეხზე და საღამომდის გვიამბობდა და გვიკითხავდა. საუბარი ამ სამაგალითო ადამიანისა დამმარიგებელია, ვიდრე ყველაზე კარგი წიგნი.

საღამოთი ჩვენთან მოწყობილ იქნა მასკარადი და ბალი. ბაზარიკინი, შერბინინი და

პოპოვი ქალურ ტანისამოსში იყვნენ გამოწყობილნი. ჩვენ ყველამ შუაღამემდის ვიცეკვეთ"[27].

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიურის მეორე ადგილას წერია:

„საღამო გავატარეთ გენერალ ერმოლოვთან, ხმამაღლა ვკითხულობდით ოსიანს, კრილოვის არაკებს და სხვას"[28].

ასევე იყო ერმოლოვის თბილისში ყოფნის დროსაც.

ვან-ვაგენი თავის მოგონებებში წერს:

„ზაფხულობით თბილისის საზოგადოება თავს იყრიდა საჯარო ბაღში, ხოლო ზამთარში — 1819 წლის დამლევს დაარსებულ კლუბში. ერმოლოვი, რომელსაც თან არ ჰყავნდა ოჯახი, ერიდებოდა თავის ბინაზე ქალების მოწვევას. მაგრამ, სურდა რა დაეახლოებინა საზოგადოება, ხელმძღვანელობდა საღამოს შეკრებებს კლუბში, რომელიც იყო მოთავსებული ერთი მდიდარი სომხის სახლში.

კლუბთან არსებობდა ბიბლიოთეკა, რომელსაც გამოწერილი ჰქონდა რამდენიმე ფრანგული და გერმანული ჟურნალი; რამდენიმე ოთახი განკუთვნილი იყო კითხვისა-

თვის, ხოლო დანარჩენი ოთახები—ბანქოს თამაშისა და ცეკვებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ ხანებში ქართველმა თავად-აზნაურობამ მეტად იუცხოვა ყოველივე ეს, მაგრამ შემდგომ თანდათანობით შეეჩვია მას. ევროპული ცეკვების არმცოდნე ქართველი ქალები ცეკვავდნენ სპეციალურ დარბაზში, საიდანაც მოისმოდა ხოლმე დაირის, თარისა და სხვა ადგილობრივ საკრავთა მქუხარე ხმები. მხოლოდ ვახშმობისას მთელი საზოგადოება ერთიანდებოდა“[29].

მცირე ხნის შემდეგ ლიტერატურული საღამოები გადატანილ იქნა ერმოლოვის ბინაზე.

ედუარდ ბრიმერი გვიამბობს:

„ხუთშაბათობითა და კვირაობით ალექსი პეტრეს-ძესთან თავს იყრიდა მთელი თბილისის საზოგადოება“[30].

ერმოლოვთან „შეკრებებზე“ ეწყობოდა ბალები, იმართებოდა შინაური წარმოდგენები და სხვა.

გაზ. „კავკაზი“ წერს:

„ალექსი პეტრეს-ძე მართავდა ბალებს, აწყობდა შინაურ წარმოდგენებს“[31].

ასევე იყო ერმოლოვის ლაშქრობაში ეროვნული ბიბლიოთეკა
ფენის დროსაც.

ნიკოლოზ შიპანოვსკი თავის მოგონებებში მოგვითხრობს:

„1825 წლის ნოემბერში ჩვენ მთიდან დავბრუნდით. ჯარი დაბანაკდა ყაზახთა სადგომებში დასასვენებლად და ამუნაციის შესავსებად. მთავარი ბინა იყო ჩერვლენოში. აქედან ჩვენ მალე გადავედით ეკატერინოგრადში. ალექსი პეტრეს-ძე ერმოლოვმა აქ შეხვედრა დაუნიშნა თავის შტაბის გენერალ-მაიორს ალექსი ალექსანდრეს-ძე ველიამინოვს, იმერეთის მმართველს პეტრე დიმიტრის-ძე გორჩაკოვს და ჩვენს ელჩს ირანში სტატსკი სოვეტნიკს სიმონ ივანეს-ძე მაზაროვიჩს, რომელიც რუსეთ-ირანთა დამოკიდებულების გამწვავების. გამო თბილისში ცხოვრობდა.

აქ ვნახეთ ა. ს. გრიბოედოვი, რომელიც ხანგრძლივ შვებულებაში მყოფი ქ. პეტერბურგიდან უკან ბრუნდებოდა კავკასიაში. რამდენიმე დღის შემდეგ ტაგანროგიდან ჩამოვიდა ფელდეგერი იაკუნინი, რომელმაც ჩამოიტანა ცნობა იმპერატორ ალექსანდრეს გარდაცვალებისა. ყოველდღე სადილობი-

საქართველოში ჩამოვიდნენ: პეტრე ბესტუჟევი, ალექსი ვედენიაპინი, თედორე ვიშნევსკი და ნილ კოჟევნიკოვი.

შემდეგი წლის იანვარში ციმბირის გარნიზონებიდან მოვიდნენ ნიკოლოზ აკულოვი, პეტრე კონოვნიცინი, მატვეი ლაპა, მიხეილ პუშჩინი, ალექსანდრე ფოკი და ნიკოლოზ ცებრიკოვი. 1827 წლის აპრილში ჩამოვიდა ეპაფროდიტ მუსინ-პუშკინი.

ირანთან ომის დროს 1828—29 წლებში დეკაბრისტთა რიცხვი საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა. აღნიშნული დროისათვის თბილისში საცხოვრებლად გადმოვიდნენ ალექსანდრე ბერსტელი, ალექსანდრე ბესტუჟევი (მარლინსკი), პავლე ბესტუჟევი, ალექსანდრე განგებლოვი, ვალერიან გალიცინი, ვლადიმერ ოდოევსკი, ზახარი ჩერნიშევი, ვლადიმერ ტოლსტოი, ნიკოლოზ რაევსკი, ვლადიმერ ვოლხოვსკი და სხვანი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში გადმოსახლებული დეკაბრისტები პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ, ისინი მაინც ახერხებდნენ თავის მოყრასა და მსჯელობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე ხნის შემდეგ დეკაბრისტთა შეკრებებმა მტკიცე ლიტერატურული წრის სახე მიიღო.

აღნიშნულ ლიტერატურული წრის წევრებმა უმოკლეს დროში დაიმსახურეს თბილისის მოწინავე ინტელიგენციის საერთო სიყვარული და ყურადღება.

თედორე ტორნაუ წერს:

„ადამიანთა იმ წყებას, რომლებსაც ნაირფეროვნება შეჰქონდათ ჩვენს წრეში, ეკუთვნოდნენ ბევრნი იმ დეკაბრისტებიდან, რომელნიც სამშობლოდან გადმოსახლებულნი თავიანთი სასჯელის უკანასკნელ წლებს იხდიდნენ კავკასიაში.

ეს იყო ხალხი, რომელთა უმრავლესობას მიღებული ჰქონდა მეტად კარგი აღზრდა. როგორ შეიძლებოდა გაგვეცნოთ და არ შეგვეყვარებინათ წყნარი, ყურადღებიანი კორნილოვიჩი, მწერალი ანდრეი ბეზიმიანი, თვინიერი ნარიშკინი, კონოვიცინი, ენამახვილი ოდოევსკი, გულკეთილი ვალერიან გალიცინი და სხვანი“[33].

ალექსანდრე განგებლოვი წერს, რომ დეკაბრისტთა ლიტერატურული წრის „სალო-

ბიბლიოთეკა

მოები ემსგავსებოდნენ ისკრიცკის „სამშაბათებს“ პეტერბურგში“[34].

აღნიშნული წრის შეკრებები და სხდომები იმართებოდა როგორც თბილისში, ისე სამხედრო ნაწილების ლაშქრობის და ბრძოლის ველზედაც.

იგივე ალექსანდრე განმგებლოვი გვიამბობს:

„ერევანში მე შევხვდი ხუთი-ექვსი კაცისაგან შემდგარ წრეს. ვსადილობდით ჩვენ მუდამ დღე სტუმართ-მოყვარე კოშკაროვთან, საღამოს კი ყველანი ერთად ვატარებდით ან იმასთან, ანდა პოლკოვნიკ ალექსანდრე ანდრიას-ძე ავენარიუსთან. ჩვენთანვე იყო ჩემი ძველი მეგობარი ალექსი ილარიონის-ძე ფილოსოფოვი.

არ გვაკლდა ესთეტიკური გართობა. კოშკაროვი საუცხოოდ უკრავდა და მღეროდა გიტარაზე. მე და კონოვიცინი ვხატავდით.

ერთ საღამოს, ჩვენი წრის საერთო სურვილით, მე და ფილოსოფოვმა წავიკითხეთ „ვაი ჭკუისაგან“, ჩემს მიერ პეტერბურგში გადმოწერილი ხელნაწერიდან“[35].

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურქეთთან ომის დაწყებისთანავე დეკაბრისტებმა მოქმედ არმიაში გადაყვანა ითხოვეს. სულ მალე ისინი არზრუმს მიუახლოვდნენ, სადაც რამდენიმე ხნის შემდეგ, რაევსკისა და 14 დეკემბრის სხვა მონაწილეთა სანახავად ჩამოვიდა პოეტი ალექსანდრე სერგეის-ძე პუშკინი.

რაევსკის კარავში, ყოველ საღამოთი, უკვდავი რუსი პოეტის თანადასწრებით, ეწყობოდა ლიტერატურული წრის მორიგი შეკრებანი.

ამ შეკრებებზე იმართებოდა სხვადასხვა სახის ლიტერატურული კამათი, გარჩევა და კითხვა როგორც საკუთარ, ისე სხვათა თხზულებებისა, დაკვრა, სიმღერა, ცეკვა, ოხუნჯობა, ზმობა და სხვა.

პუშკინი, რომელსაც თან ჰქონდა ნაწილი თავისი ლიტერატურული არქივისა, ხშირად კითხულობდა თავის ნაწერებს.

პოეტი მიხეილ იუზეფოვიჩი იგონებს:

„პუშკინს თან ჰქონდა სამგზავრო ჩემოდანი, რომლის ძირი მოფენილი იყო სხვადასხვანაირი ხელნაწერებით. როცა ჩვენ ვთხოვეთ მას, წაეკითხა ჩვენთვის ჯერ კიდევ გა-

მოუქვეყნებელი „ბორის გოდუნოვი“ „ონეგინი“-ს უკანასკნელი ადგილები, თავის ძმას ლევს და მე დაგვრთო ნება გვეპოვა ამ ჩემოდანში ის, რაც ჩვენ ასე გვაინტერესებდა. ჩვენ მალე აღმოვაჩინეთ „ბორის გოდუნოვი“ და ნაწყვეტები „ონეგინი“-სა, ცალკეულ ფურცლებზე ნაწერი. მაგრამ ჩვენ ამით, რასაკვირველია, არ დავკმაყოფილდით, გადავათვალიერეთ ყველაფერი და ვიპოვეთ სრულიად სუფთა ავტოგრაფი „კავკასიის ტყვისა“, იქვე ჩვენ ვნახეთ ჯერ კიდევ უცნობი შესანიშნავი ელეგია. «Надеждой сладостной, младенчески дыша».

„ბორის გოდუნოვსა“ და „ონეგინი“-ს ნაწყვეტებს პუშკინი თვითონ გვიკითხავდა. ის, ჩემის აზრით, არ იყო მკითხველი—ოსტატი. მისი დეკლამაცია ხელოვნურობაში გადადიოდა. ლევ სერგეის-ძე უკეთ კითხულობდა მის ლექსებს, ვიდრე თვითონ პუშკინი.

„ბორის გოდუნოვის“ კითხვისას ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას. დამსწრეთა შორის ჩვენთან იმყოფებოდა გენერალი მ..., რომელიც ცნობილი იყო უპირველეს ყოვლისა თავისი პედანტიზმით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ადგილის კითხვისას, როცა ცრუ მო-სახელე უტყდება მარინეს, რომ იგი ნამდვი-ლი დიმიტრი არ არის, მ... ვერ მოითმინა და შეაჩერა პუშკინი: „ალექსანდრე სერ-გეის-ძევ, როგორ შეიძლება ასეთი დაუფიქ-რებლობა ცრუმოსახელეს მიერ? ქალმა რომ გასცეს იგი, მაშინ?“ პუშკინმა საკმაოდ ნა-წყენმა უპასუხა: „მოითმინეთ და ნახავთ, რომ არ გასცემს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის შემდეგ პუშკინმა კატეგორიულად განაცხადა, რომ მ... თანდასწრებით ის არა-რაფერს არ წაიკითხავს. სხვა დროს, როცა მან დააპირა წაეკითხა ჩვენთვის „ონეგინი“, გარეთ დაყენებული იქნენ გუშაგები, რომ-ლებსაც უნდა ეცნობებიათ, თუ კი მ... ჩვე-ნი კარავისკენ წამოვიდოდა. ის გამოემართა კიდეც, მაგრამ სათანადო ნიშნის მოცემის-თანავე ჩვენ ყველანი გავიფანტენით რაევს-კის კარავიდან. მ... მოვიდა, ნახა, რომ კარა-ვი ცარიელი იყო და უკანვე გაბრუნდა. მა-შინ ჩვენ ხელმეორედ შევიკრიბეთ და კით-ხვა შედგა“[36].

დეკაბრისტთა ლიტერატურული წრის წევ-რთა მსჯელობის საგნად ხშირად ხდებოდა

პუშკინის შემოქმედების ორიგინალობის სა-
ეროვნული
ბიბლიოთეკა
კითხი.

იგივე პოეტი მიხეილ იუზეფოვი გვიამბობს:

„ჩვენი გაბმული ლიტერატურული საუბრების დროს, მე ერთხელ შეკითხვა მივეცი პუშკინს, რომელიც ყოველთვის მაინტერესებდა, თუ როგორ არ მოექცა იგი ჟუკოვსკისა და ბატიუშკოვის გავლენის ქვეშ და თავის პირველ პოეტურ ცდებშიაც როგორ არ გახდა მიმბაძველი ან ერთისა და ან მეორისა? პუშკინმა მიპასუხა, რომ იგი დავალებულია დენის დავიდოვისაგან, რომელმაც ჯერ კიდევ ლიცეუმში აგრძნობინა შესაძლებლობა ყოფილიყო ორიგინალური“[37].

თურქეთთან ომის დასრულებისთანავე ყოფილმა დეკაბრისტებმა თავი მოიყარეს თბილისში.

ისინი იკრიბებოდნენ ხან ერთის, ხან მეორის ბინაზე.

მოვუსმინოთ ალექსანდრე განმგებლოვს:

„1830 წლის ზამთარში მოეწყო ისე, რომ რამდენიმე დეკაბრისტი, რომლებიც არ ეკუთვნოდნენ თბილისის გარნიზონებს, სხვა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა საპატიო და არასაპატიო მიზეზით ცხოვრობდნენ თბილისში.

ალექსანდრე ბესტუჟევი იმ ხანად ის-ის იყო იკურნებოდა მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობისაგან, მას მკურნალობდა ექიმი დეპნერი. ბესტუჟევთან ცხოვრობდნენ მისი ძმები პეტრე და პავლე.

ამათ გარდა, თბილისშივე სახლობდნენ მიხეილ პუშჩინი, ნიკოლოზ ორჟიცკი, ეპაფროდიტ მუსინ-პუშკინი, გრაფი მუსინ-პუშკინი, ნილ კოჟევნიკოვი, თედორე ვიშნევსკი და სხვანი.

ჩვენ ვიკრიბებოდით ხან ერთთან, ხან მეორესთან, უფრო ხშირად კი ჩემთან ბინაზე, კვირაში ორჯერ და ხანდახან მეტადაც. ვისტი და ჭადრაკი, სხვადასხვა სახის საუბარი, ანეგდოტებისა და სახუმარო ამბების თხრობა არ წყდებოდა მთელი საღამოს მანძილზე“[38].

წრე ხშირად თავს იყრიდა ნიკოლოზ პავლეს-ძე ტ...ვ-თან.

დეკაბრისტთა ლიტერატურული წრის წევრი მოგვითხრობს:

„ნიკოლოზ პავლეს-ძე ტ...ვ-ი გვიწვევდა ჩვენ ხშირად თავის ბინაში ლიტერატურულ

საღამოებზე. ვრცელ ოთახში კედელ[illegible]
მდგარი ფართე და რბილი სავარძე[illegible] შუალებას იძლეოდა სასტუმროში შეს[illegible] თანავე შესამჩნევი ვყოფილიყავით ჯდომისა და წოლის შემთხვევაშიაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახის შუა ადგილას იდგა მწვანე მაუდ გადაფარებული დიდი მაგიდა, რომლის ზემოთაც ჭერზე ჩამოკიდებული ერთადერთი ლამპა კაშკაშით ანათებდა მკითველის სახეს, ხოლო მსმენელთ იდუმალ წყვდიადში ტოვებდა"[39].

ერევნის მოედანზე ალექსანდრე ბესტუჟევის სახლის მახლობლად თბილისში მყოფ დეკაბრისტებს ჰქონდათ ერთ-ერთი შეკრები პუნქტი—ეს იყო ბინა დავიერისა.

თედორე ტორნაუ წერს:

„გრაფმა დავიერმა ცუკატოსთან ერთად დაიქირავა ერევნის მოედანთან მდებარე ხევის თავზე მდგარი პატარა წითელი სახლი. გრაფი იყო მეტად კარგი პიანისტი და სულ მალე მის გარშემო შემოიკრიბნენ მუსიკის მოყვარულნი, რომელნიც სიამოვნებით ყურს უგდებდნენ მის შესანიშნავ დაკვრას"[40].

ყველაზე უფრო სისტემატურად დეკაბრისტები იკრიბებოდნენ პატიებული დე-

კაზრისტ გენერალ ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე რაევსკისთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ბესტუჟევი წერს:

„თბილისში მცხოვრებმა გენერალმა რაევსკიმ გაავსო თავისი შტაბი უმთავრესად დეკაბრისტებისა და გადმოსახლებულ ოფიცრებისაგან; ყველა მათ და იმათაც, რომლებიც მის შტაბში არ იმყოფებოდნენ, ის ალერსიანად ღებულობდა თავის ბინაზე“41.

კიდევ ერთი ადგილი, სადაც თავს იყრიდნენ დეკაბრისტთა ლიტერატურული წრის წევრები, იყო ბინა გენერალ ვლადიმერ ვოლხოვსკისა.

ჩვეულებრივად, ვოლხოვსკისთან შეკრებებს ლიტერატურული სადილების ხასიათი ჰქონდა.

ინგლისელი მოგზაური კაპიტანი რიჩარდ ვილბრეჰამი ასე აგვიწერს ამ სადილებს ვოლხოვსკისთან*.

---

*) ციტატები რიჩარდ ვიბრეჰამის მოგზაურობიდან ჩემის თხოვნით ინგლისური ენიდან თარგმნა ჩემმა მეგობარმა პოეტმა ალექსანდრე საჯაიამ, რომელსაც შრომის გაწევისათვის [illegible] მადლობას მოვახსენებ

„გენერალ ვოლხოვსკის სახლი და სადილი წარმოადგენს უმაღლესი კლასის ცხოვრების სტილის ბრწყინვალე ნიმუშს. აქაური კომფორტი არის სრულიად უპრეტენზიო და სუფრა ყოველთვის გაშლილია ოჯახის წევრთა რიცხვზე მეტისათვის, რადგან სტუმართა მიპატიჟება წინასწარ ხდება ხოლმე.

კერძის დარიგების ფრანგული წესი მაგიდაზე უნივერსალურად დაცულია და სუფრაზე მხოლოდ ჩაროზი დევს. კერძის განაწილება აქ ოდნავ შეცვლილია ჩვენი ერის ჩვეულების მიხედვით, რადგან თევზი შემოაქვთ შუა სადილის დროს.

ჩვეულებრივი ბოლო კერძი აქ არის შემწვარი ხორცი, ის, რასაც ჩვენ მეორე კერძს ვეძახით, იშვიათად წარმოადგენს მათი სადილის ნაწილს“[42].

დეკაბრისტთა შეკრებებს თბილისში ბოლო მოეღო 30-იანი წლების დასასრულს.

მიხეილ ბესტუჟევი წერს:

„ერთხელ ოფიცერი ფონ-დეზინი როგორღაც მოხვდა რაევსკისთან საღამოზე და დაინახა თუ არა თავისი თავი დეკაბრისტთა შორის, შეშინებულმა მეორე დილისვე დატოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი და პეტერბურგს გაემგზავრა. [illegible]
რომ რითიმე გაემართლებინა თავისი [illegible]-
ნურება, მან შეიტანა საჩივარი, რომელ-
შიაც ახასიათებდა რაევსკის როგორც მო-
ღალატეს“[43].

მრისხანე მონარქმა უმკაცრესი საყვედუ-
რი გამოუცხადა რაევსკის, ხოლო მთავარ-
მართებელს უბრძანა, მიმოეფანტა რაევსკის
გარშემო შემოკრებილი თბილისში მყოფი
ყველა დეკაბრისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურული ნადიმი ორთაჭალის ბაღში ა. ს. პუშკინის პატივსაცემად

თბილისი დიდი ხნიდან მოუთმენლად ელოდა რუსეთის გამოჩენილ მწერალს. გენიალური პოეტი იგვიანებდა.

მალე ყოველგვარი იმედი პუშკინის საქართველოში ნახვისა სრულიად გაქარწყლდა.

მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად 1829 წლის მაისის 27-ს ღამის 11 საათზე თბილისში ჩამოვიდა ალექსანდრე პუშკინი და დაბინავდა ტრაქტირ - სასტუმროში.

მთელი ქალაქის მოწინავე არისტოკრატია უდიდესი აღტაცებით შეხვდა დიდი მგოსნის ჩამოსვლას საქართველოში. მის პატივსაცემად იმართებოდა სადილები, საღამოები, ბალები და სხვა. ყველას სწყუროდა პოეტთან შეხვედრა, მისი გაცნობა, მასთან ბაასი.

ბოლოს თბილისის ახალგაზრდობის ერთ-

მა ჯგუფმა, რომელთა შორის იყვნენ პუშ-
კინის ლიცეუმის ამხანაგები, გადაწყვიტეს
გაემართა იმის პატივსაცემად საერთო ნა-
დიმი.

ნადიმის მოწყობა მიენდო კონსტანტინე
ივანეს-ძე სავოსტიანოვს (1805—1871).

თავის მოგონებაში სავოსტიანოვი მოგვი-
თხრობს:

„თბილისის თვალწარმტაც ადგილებში
ძნელი არ იყო პატარა ადგილის პოვნა რუსი
პოეტის სამახსოვროდ. მე ავირჩიე ქალა-
ქის გარეუბნის ბაღ-ვენახი მტკვრის გაღმა
და აქ მოუწყე სადილი ჩვენს ძვირფას სტუ-
მარს ევროპულ-აზიური გემოვნებით.

აქ იყვნენ შეკრებილნი სხვადასხვანაირი
მუსიკენი, მომღერალნი, მოცეკვავენი და
აზიელი მუტრიბნი, რომელნიც მაშინ საქარ-
თველოში იყვნენ. მთელი ბაღი იყო განა-
თებული მრავალფეროვან ლიფლიფებით და
ცვილის სანთლებით ხის ტოტებზე. შუა
ბაღში კი იყო აღმართული ხვეულ წერი-
ლად იმის სახელი, ვის პატივსაცემად გა-
მართული იყო ეს ნადიმი.

ნადიმის ოცდაათზე მეტი ერთსულოვანი

მასპინძელი ბალის შესასვლელთან გამოეგებ[illegible] თავის ძვირფას სტუმარს, როგორც [illegible] მოჩნდა პუშკინი, ყველანი ეცნენ კა[illegible] შას“ ძახილით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელმა საღამომ შეუმჩნევლად გაიარა ბაასში სხვადასხვა საკითხებზე, ამბების თხრობაში და სასაცილო ანეკდოტების მოყოლაში. ყველანი მხიარულობდნენ, მუსაიფობდნენ, ხუმრობდნენ, იცინოდნენ, ყველა განიცდიდა უდიდეს აღმაფრენას. აქ იყო ზურნაც და თამაშიც, ლეკურიცა და სევდიანი სპარსული ჰანგებიც“[44].

კონსტანტინე სავოსტიანოვის ცნობითვე, ხსენებულ ნადიმზე უმღერიათ „Ахалю“-ც[45]. ეჭვი არაა, ხსენებული მოგონების ავტორი გულისხმობს დიმიტრი თუმანიშვილის* ცნობილ ლექსს „ახალ აღნაგო სულოდას“.

---

*) დიმიტრი თუმანიშვილი XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის დასაწყისის საკმაოდ ცნობილი პოეტია და თან გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე. გიორგი XIII-ის მეფობის დროს დ. თუმანიშვილი სამეფო კარზე მდივნის მოვალეობას ასრულებდა. იგი თან ახლდა სამეფო გვარის რუსეთში გადასახლების შემდეგ ბატონიშვილ მიხაილს, ს.-პეტერბურში, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ დაბრუნდა უკან საქართველოში და გარდაიცვალა თბილისს 1821 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმიტრი თუმანიშვილის დასახელებული ლექსი დიდი პოპულარობით სარგებლობდა გასული საუკუნის პირველ ნახევარში და იმღერებოდა თითქმის ყველა არისტოკრატიულ ოჯახში. თქმულის ნათელსაყოფად მოვიყვანთ ერთ ადგილს გრიგოლ ორბელიანის „დღიურიდან“:

„მოვედით ქალაქ ელეცს, — წერს 1832 წელს, პოეტი,-რომელიც არა არს დიდი, გარნა ფრიად შემკობილი ქალაქია, რომელსაც ჩამოუდის მდინარე სოსნა. საღამოზე ურმების გამოცვლის დროს პოლიცმეისტერმა მიგვიპატიჟა ჩაიზედ მე და მაიორი სი... პოლიცმეისტერის ცოლმა, რომელიცა იყო ლამაზი, დაიწყო ფორტეპიანოს დაკვრა, და ჩემი გულისთვის იმღერა „ახალ ალნაგო“. მეც დიდი მადლობა უთხარ და ვაქე მისი ხმა და ლამაზად გამოთქმა ქართულად“[46].

აი თვითონ ეს ლექსიც, რომელიც ორთაჭალის ბაღში უმღერეს პუშკინს:*

---

*) მომყავს ამ ლექსის ის ტექსტი, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინად აღმოჩნდა ა. ს. პუშკინის პირად არქივში, უცნობი პირის მიერ ჩაწერილი ქართულ ენაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალ აღნაგო სულოდა,
ედემში აღმოსულოდა,
ჩემს ეტლზედ დანერგულოდა,—
სიცოცხლეს შენგან მოველი,
უკვდავება ხარ ცხოველი!

ორის კვირისა მთვარეო,
ნათელ ბრწყინვალე არეო,
ანგელოზ მიწყინ ფარეო,—
სიცოცხლეს შენგან მოველი,
უკვდავება ხარ ცხოველი!

ბუნების ხატო შემკულო,
ცისკარო მრჩობლად დართულო,
ბეზიკო ეშხით მორთულო,—
სიცოცხლეს შენგან მოველი,
უკვდავება ხარ ცხოველი!

პირის კამკამით ელვარებ,
შვენებით მეტრფეს ახარებ,
ნაზად ქცევით მიმუარებ,—
სიცოცხლეს შენგან მოველი,
უკვდავება ხარ ცხოველი!

საუკუნოთ მაქვს სურვილი,
ტრფიალებისა წყურვილი,
სატრფოს ქვეყნისა ურვილი,—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიცოცხლეს შენგან მოველი,
უკვდავება ხარ ცხოველი!

შმაგო მიჯნურო და ხელო,
თრიაყის ტურფად შემსმელო,
სატრფო ქვეყნისა დამწველო,—
სიცოცხლეს შენგან მოველი,
უკვდავება ხარ ცხოველი!

მთის ვარდო, ნამით ცვრეულო,
ყვავილ ხელმწიფად რჩეულო,
კეთილ მშვიდ მარად ჩვეულო,—
სიცოცხლეს შენგან მოველი,
უკვდავება ხარ ცხოველი![47]

პუშკინს იმდენად მოეწონა ეს ლექსი, რომ მას იგი ქართულად ჩაწერილი გადასცეს და რუსულადაც უთარგმნეს. თავის „არზრუმში გამგზავრებაში“ ალექსანდრე სერგეის-ძე შენიშნავს:

„ქართული სიმღერის ხმა სასიამოვნოა, ერთერთი სიმღერა („ახალ აღნაგო სულოდა“-ი. ბ.) სიტყვა-სიტყვით გადმომითარგმნეს; მასში რაღაც აღმოსავლური უაზრობაა, რომელსაც თავისი პოეტური ღირსება

აქვს“[48]. და იქვე მოჰყავს ლექსის რუსული თარგმანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის მოგონებაში სავოსტიანოვი წერს, რომ ამ ნადიმზე განათლებულ ახალგაზრდათაგან იყო ხშირი ხსენება ბაირონისა აღმოსავლეთის მწერლებთან ერთად.

„პუშკინს,—წერს ნადიმის ხელმძღვანელი,—ყველა აღტაცებაში მოჰყავდა. ყველას ართობდა იგი თავის მშვენიერ მუნასიბ-ზმებით და ამბებით. ამ დღეს პუშკინმა თავისი სულიერი მხიარულების მწვერვალს მიაღწია.

იგი არამც თუ ენაწყლიანობდა ამ დღეს, არამედ მჭერმეტყველებდა კიდეც. როგორ ორიგინალურად ეძლეოდა ის აზიურ ღრეობას, ხშირად წამოხტებოდა ხოლმე ადგილიდან, როდესაც გულსაკლავ სიმღერას სათამაშო ლეკური შესცვლიდა. პუშკინი თავს ანებებდა საუბარს მაშინვე და ისწრაფოდა მოისმინა ქართული სათამაშო ან იმერელი მესტვირე მოშაირე.

ყველაფერს აქვს დასასრული და ჩვენი დაუვიწყარი ღამე უკვე იცვლებოდა გარიჟრაჟით. სამხრეთის ცის ლაჟვარდი არღავნის ფრად შეიღება და ყველანი წამოიშალნენ

რუსულ პურმარილის მოსამზადებლად. ჩვენი სტუმრისათვის. უმალვე გაიშალა სუფრა, დამშვენებული ვერცხლის ლარნაკებში მოთავსებული ყვავილებით, ხილეულით, ფიალ-ჯამებით, ქართული აზარფეშებითა და კულებით.

ყველანი ახლო შემოუსხდნენ გარს თავის სტუმარს, რათა მოესმინათ მისი სიტყვები, ეჭვრიტათ მისთვის, რასაკვირველია, ერთხელ და უკანასკნელად.

ყველაფერი კვლავ ალაპარაკდა, ამხიარულდა, ამღერდა. ბოლოს აღიმართა სადღეგრძელოდ ფიალა შუშხუნა სასმისისა, მთელი თანამესუფრენი კვლავ ერთ ცოცხალ აღტაცებულ გრძნობას მიეცნენ და როდესაც საზეიმოთ აღდეგრძელეს პუშკინი, კვლავ გაისმა „ვაშას" ძახილი შამპანიურის წინწკლებთან ერთად აღთქმის ორითმელთაგან დღესასწაულის სტუმართ—სტუმარის სასახელოდ. „ვაშას" ძახილი, ორკესტრები, მუსიკა, სიმღერა, სასმისთა შეჯახება და მეგობრული ამბორი აირია ჰაერში.

ყველაფერი ზეიმობდა, როდესაც ევროპულმა ორკესტრმა პუშკინის სადღეგრძელოს დროს დაუკრა მარში ოპერა „თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალიდან“. რუს ტორკვატო ტასოს დაადგეს ბაფთაწნულის გვირგვინი, ჩასვეს სავარძელში და მხრებზე შეიდგეს „ვაშას“ განუწყვეტელ ძახილთან ერთად, რომელიც ორკესტრის ხმოვანებას ჰფარავდა. შემდეგ იგი დასვეს ამაღლებულ ყვავილებით მორთულ თალარში და ყველა, ვინც კი მიუახლოვდებოდა მას, სადღეგრძელო სიტყვით გამოხატავდა თავის გრძნობებს და თავის ბედნიერებას, რომ პუშკინს თვის შორის ხედავდა.

პუშკინი ჯერ სდუმდა ამ მისალმებებზე, შემდეგ ცრემლებით აევსო თვალები, რომლებიც გამოხატავდნენ იმ საამურ გრძნობებს, რომლითაც იგი იყო მაშინ მოცული. ბოლოს, როცა ალტაცების ხმები მისწყდა, პუშკინმა თავის მჭერმეტყველურ სიტყვაში მადლობა გადაგვიხადა ჩვენ ამ მეჯლისისათვის, რომელიც ამგვარად თავდებოდა: „მე არ მახსოვს,—ამბობდა პუშკინი,—დღე ამაზე მეტად მხიარული, მე ვხედავ, თუ როგორ ვუყვარვარ ხალხს, როგორ მაფასებენ და ესმით ჩემი, ეს მაბედნიერებს მე“. როდესაც პუშკინმა გაათავა თავისი სიტყვა, მეგობრუ-

ლად გადაგვეხვია და გულითადად გვემადლიერებოდა ამ დაუვიწყარ მისალმებებზე"[49].

დილამდე გასტანა ამ ნადიმმა. ეს დრო წარუშლელ კვალად დარჩა პუშკინის მეგობრებს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურული ლხინი კახეთში ა. ს. პუშკინის მასპინძლობით.

1829 წლის მაისის 27-ს თბილისში ჩამოსული ალექსანდრე სერგეის-ძე პუშკინი რამდენიმე დღის შემდეგ კახეთს წავიდა სოფ. ყარაღაჯში, სადაც მაშინ იდგა ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკი.

ამ პოლკში პუშკინს ჰყავდა რამდენიმე მეგობარი და ნაცნობი, რომელთა შორის იყვნენ სასჯელის მოსახდელად გადმოსახლებული დეკაბრისტებიც.

პოეტი ჩამოხტა ოფიცერ პაპკოვთან.

მთიელებთან ბრძოლა ოდნავ მინელებულიყო იმხანად და მთელი სამხედრო მმართველობა უდარდელობისა და თავდავიწყების მორევში იყო ჩაფლული.

პოლკმა ღირსეულად მიიღო მაშინ ჯერ ისევ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელმოხვეჭილი პუშკინი. მის პატივსაცემად იმართებოდა ნადიმები და ლრეობანი, რომელთა

მოწყობა - გამართვაში მონაწილეობდნენ [illegible]
თელწყაროში დროებით დაბანაკებულ[illegible]ნის არტილერიის ოფიცრებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუშკინი სხვებს არ ჩამორჩებოდა.

მას იმჟამად მიეღო პეტერბურგიდან საქმაოდ დიდი თანხა თავის ნაწერებში. ამის გამო ხელგაშლილი პოეტის ხარჯზე შამპანური შადრევანივით იღვრებოდა.

იმ ლხინს პუშკინის მასპინძლობით პაპკოვის ბინაზე ადგილობრივ ოფიცერთა გარდა, დაესწრო წითელწყაროში მდგარი დონის რამდენიმე ოფიცერი, რომელთა შორის იყო პეტრე ხანჟონკოვიც.

თავის მოგონებაში ხანჟონკოვი მოგვითხრობს:

„ნადიმზე პუშკინი ყველასათვის მოულოდნელად აღძრავდა ხოლმე რაიმე თემას და ამით ახალგაზრდათა შორის საერთო ცხოველ საუბარს ჩამოაგდებდა. ალექსანდრ სერგეის-ძე ლაპარაკობდა მეტად მომხიბვლელად და გატაცებულად. ჩვენ ვდუმდით მისი საუბრის დროს და თითქოს ვყლაპავდით მის თქმულს.

ის ამბობდა ლექსად მუნასიბებს, ხან ჯდებოდა ლექსის საწერად, ხან გვიკითხავდა ნაწყვეტებს პოემა „კავკასიის ტყვიდან".

სრულ ორ დღეს ვქეიფობდით ასეთი ნეტარებით, მაგრამ ყველასათვის სრულიად მოულოდნელად ჩვენი მხიარულება მეტად არასასიამოვნო ამბავმა ჩაშალა.

როცა სასმელმა ზოგ დამსწრეს თავი გაუბრუა, ოფიცერთა შორის გაიბა ისეთი საუბარი, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაწყებულიყო. პუპკოვმა აუგად მოიხსენია პოლკოვნიკის ცოლი და გადაჰკრა სიტყვა ოფიცერ ნიკოლოზ მიხეილის-ძე კარაიანს. კარაიანი აღშფოთდა და მათ შორის გაიმართა ცხარე და მოურიდებელი დიალოგი, რომელიც იმით დასრულდა, რომ კარაიანმა პუპკოვი დუელში გაიწვია.

ყველაფერი ეს ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, რომ თვითონ პუშკინმაც კი ვერ შესძლო მათი შეჩერება და დაშოშმინება.

ორივემ მიმართა პუშკინს თხოვნით ყოფილიყო მათი სეკუნდანტი.

პუშკინი ცდილობდა როგორმე შეერიგებინა მოწინააღმდეგენი, მაგრამ ამაოდ.

როცა ალექსანდრე სერგეის-ძე დარწმუნდა, რომ მათი შერიგება შეუძლებელი იყო, ძალიან ნაწყენმა და ჩაფიქრებულმა დაიწყო ოთახში ბოლთის ცემა. წაჩხუბებულნი კი მოუთმენლად ელოდნენ პასუხს.

პუშკინი უცებ შეჩერდა, მიუბრუნდა კარაიანსა და პაპკოვს და უთხრა: კეთილი, თქვენ ორში კენჭის ყრით ერთის სეკუნდანტი მე ვიქნები, მეორე სეკუნდანტის არჩევის უფლებას თქვენ, ალბათ მე მომცემთო.

კარაიანი და პაპკოვი ხმაამოუღებლად დაეთანხმნენ. მაშინ ალექსანდრე სერგეის-ძემ დანიშნა ადგილი და დრო დუელისა. ხვალ დილის ექვს საათზე, — განაცხადა პუშკინმა,—ყარაღაჯის ტყეში გაიმართოს ორთა ბრძოლა.

პუშკინის გადაწყვეტილებამ, ყოფილიყო სეკუნდანტად, ყველანი გააკვირვა და თან გაახარა.

ალექსანდრ სერგეის-ძემ მოამზადა ორი ბილეთი, დაწერა მათზე მეტოქეთა გვარები, ჩაყარა ქუდში და მიუტანა კარაიანსა და პაპკოვს. ორივემ ამოიღო ბილეთები. პუშკინს წილად ხვდა პაპკოვის სეკუნდანტობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარაიანის სეკუნდანტად ალექსანდრე სერგეის-ძემ დანიშნა თავადი მირზაჯან მადათოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარაიანმა მაშინვე დატოვა პაპკოვის ბინა. ნახევარი საათის შემდეგ პუშკინმა წინადადება მისცა პაპკოვს წასულიყო რომელიმე ოფიცერთან და იქ ყოფილიყო, ვიდრე არ დაუძახებდნენ. როდესაც პაპკოვი გავიდა, ალექსანდრე სერგეის-ძემ გაისტუმრა მსახური ქალი, გადარაზა კარი და დამსწრეთ გვამცნო გეგმა ხვალინდელი დღის დუელისა.

მთელი უძილო ღამე ჩვენ, თორმეტმა ოფიცერმა, დავყავით ალექსანდრე სერგეის-ძესთან. თვითონ პუშკინს ღამის განმავლობაში თვალი არ მოუხუჭავს. იგი ორჯერ გავიდა სადღაც მადათოვთან ერთად.

როცა ირიჟრაჟა, ჩვენ ყველანი, მადათოვის გარდა, რომელიც ძალიან ადრე წასულიყო, გამოვედით პუშკინის ოთახიდან და გავსწიეთ ტყისაკენ. ნახევარი საათის შემდეგ დანიშნულ ადგილას მოვიდნენ კარაიანი და მადათოვი, მერე პაპკოვი და პუშკინი.

ალექსანდრე სერგეის-ძე მიესალმა კარაიანსა და მადათოვს, რაღაც გადაულაპარაკა

უკანასკნელს. როდესაც მოწინააღმდეგენი დამბაჩით ხელში დანიშნულ ადგილას დადგნენ, პუშკინი მიუბრუნდა მათ და დაიწყო: „ბატონებო! გთხოვთ უსმინოთ განკარგულებას, სროლა იყოს მესამე დათვლაზე. ვიწყებ. „ერთი“. უცებ ტყეში გაისმა მოხერხებულად მიმალული ორკესტრის ხმა. თვალის დახამხამებაში ჩვენ, ოფიცერნი, ორორი ბოთლი შამპანიურით ხელში ჩავდექით კარაიანსა და პაპკოვს შორის.

ამ ამბავმა ძალიან გააოცა და შეაკრთო ორივენი. „ბატონებო, — დაიწყო კვლავ პუშკინმა,—თუ მკვლელობა მოხდება, ეს ჩვენ ყველას დაგვღუპავს, გემუდარებით შერიგდეთ“. ალექსანდრ სერგეის-ძე მეტისმეტად აღელვებული იყო, მძიმედ სუნთქავდა, მისი მოკრიალე თვალები ცრემლებით ავსილიყო. უჩქარესი ნაბიჯით მიდიოდა იგი ხან ერთთან, ხან მეორესთან და ცდილობდა დაეყოლიებინა ისინი.

ორივენი მტკიცე უარზე იდგნენ.

განვლო საკმაოდ დიდმა ხანმა.

ბოლოს პაპკოვმა დაუშვა დამბაჩა, მივიდა კარაიანთან და უთხრა: „ნიკოლოზ მიხეილის-ძევ! მე არ ვარ შენთან მართალი იმ

შეურაცხყოფის გამო, რომელიც გუშინ მოგაყენე, გთხოვ მომიტეო“. კარაიანმა პასუხად და კმაყოფილების ნიშნად ხელი გაუწოდა პაპკოვს.

ჩვენ, იქ მყოფი ოფიცრები, მეტად გაგვახარა პაპკოვის ასეთმა საქციელმა. მივცვივდით კარაიანს, პაპკოვს, პუშკინს, და დავუწყეთ კოცნა. ჩავჯექით იქვე და შევუდექით გამალებულ სმას.

დაილია რამდენიმე დუჟინი ბოთლი შამპანური. სვამდნენ და ლხინობდნენ ოფიცერთაგან გათამამებული ორკესტრის წევრნიც“[50].

ნეტავ 1837 წელსაც გამოჩენილიყო ვინმე პუშკინივით მადლიანი და დანტესსთან დუელიც ასე დაესრულებინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა. ს. პუშკინი „ტიფლისკი ვედომოსტი“-ს რედაქციაში

იმ დღეს დილიდანვე დიდი მზადება იყო „ტიფლისკი ვედომოსტი“-ს გამომცემლობის ბინაში. თბილისში ახლახან ჩამოსული გამოჩენილი რუსი მწერალი სადილად ჰყავდა მოწვეული გაზეთის რედაქტორს.

სულ რამდენიმე დღის წინათ პავლე სტეფანეს-ძე სანკოვსკი თავის გაზეთში წერდა: „ჩვენ აქ მოველოდით ხალხის უსაყვარლეს მწერალს, მაგრამ ეს ყოველმხრივ სასიამოვნო იმედი გაცრუებულია რუსეთიდან უკანასკნელ ხანებში მიღებული წერილებით“[51].

ახლა კი ისინი მხარიმხარ უსხდნენ ერთმანეთს და მეგობრულად მუსაიფობდნენ. თავის ნაწარმოებ „არზრუმში გამგზავრებაში“ პუშკინი შენიშნავს: „სანკოვსკიმ „ტიფლისკი ვედომოსტი“-ს გამომცემელმა, ბევრი საყურადღებო რამ მიამბო ამ ქვეყანაზე, პ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციციანოვზე, ა. ერმოლოვზე და სხვ. სან-კოვსკის უყვარს საქართველო და ფიქრობს, რომ მას ბრწყინვალე მომავალი მოელის"[52].

მაგრამ მეგობრული საუბარი მალე ლიტერატურულ საკითხებზე მსჯელობამ შესცვალა და, რაღა თქმა უნდა, რომ ამ მსჯელობისა და საუბრის თემად პუშკინის თხზულებები იყო.

სადილის ერთი დამსწრეთაგანი კონსტანტინე სევოსტიანოვი, გადმოგვცემს:

„როდესაც ლაპარაკი შეეხო მის ოდა „ნაპოლეონს", მე, ჩემი სიყმაწვილისა და აჩქარებული ხასიათის გამო, დაუფიქრებლად შევნიშნე ალექსანდრე სერგეის-ძე პუშკინს: „თქვენ მეტად სუსტად აღწერით დიდი მხედართმთავარი და მას გამარჯვებათა ნებიერი უწოდეთ მაშინ, როდესაც ნაპოლეონი ამარცხებდა თავისი გენიალური ნიჭით არა შემთხვევით, არამედ განსჯით". პუშკინმა შემხედა სრულიად არაკეთილგანწყობილად, სწრაფად შეწყვიტა საუბარი და გაჩუმდა"[53].

თბილისში პუშკინმა რამდენიმე დღე დაჰყო და წავიდა არზრუმთან მოქმედ არმიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთმა „ტიფლისკი ვედომოსტი“ სტრიქონები უძღვნა ბრძოლის ფრონტზე პოეტის გამგზავრებას.

„პუშკინმა დაათვალიერა საქართველო, იგი ცოტა ხანს იყო თბილისში. მას უნდოდა ენახა ომი, მან ითხოვა მოქმედ ჯარებთან ერთად ყოფნის ნებართვა. 16 ივნისს იგი მივიდა ბანაკად ისკანსუში.

ჩვენი პირველხარისხოვანი პოეტი რუსეთის სხვადასხვა მხარეებში ყოფნას აღნიშნავდა ხოლმე თავის ნაწერებში. კავკასიაში მან დაწერა „კავკასიის ტყვე“, ყირიმში „ბაღჩისარაის შადრევანი“, ბესარაბიაში — „ბოშები“, შიდა რუსეთის პროვინციებში იგი წერდა „ონეგინის“ შესანიშნავ სურათებს. ამჟამად ჩვენი საზოგადოება ამყარებს ყველაზე სასიამოვნო იმედებს ალექსანდრე სერგეის-ძე პუშკინის ყოფნაზე კავკასიის მხედრობის ბანაკში და კითხვას სვამს: რით დაგვასაჩუქრებს სისხლიანი ბრძოლების მოწმე საყვარელი პოეტი?

ვით ჰორაციუსი, რომელიც სთხოვს ზღვის საშინელ სტიქიას მეგობრის გადარჩენას, ისე ჩვენც ვთხოვთ ბედს, დაიცვას ჩვენი პოეტი საშინელ ბრძოლებში“[54].

ნიკოლოზ პოტოცკი, რომელიც პუშკინმა თბილისში ავადმყოფი ჩამოიყვანა, თავის მოგონებაში მოგვითხრობს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„პუშკინის წასვლის ორი კვირის შემდეგ მე გამომთელდება დავიწყე და ექიმებისაგან სასეირნოდ გამოსვლის ნებართვა მივიღე. პირველი ჩემი სტუმრობა იყო სანკოვსკისთან. პავლე სტეფანეს-ძემ მთხოვა უფრო ხშირად ვწვეოდი მას.

ალექსანდრე სერგეის-ძის გამგზავრებიდან სამი კვირის შემდეგ, როდესაც მე სანკოვსკისთან ჩაის შევექცეოდი, როგორც ყოველთვის, ლაპარაკი ჩამოვარდა პუშკინზე. სანკოვსკიმ თქვა: „მე მეტად მაწუხებს ამბის მოუსვლელობა. ნეტა რას აკეთებს იქ ალექსანდრე სერგეის-ძე და ჯანმრთელად არის თუ არა?“ ამ დროს კარი ხმაურით გაიღო, ოთახში შემოვარდა პუშკინი და გადაეხვია სანკოვსკის. პუშკინს ჰქონდა მოხსმული თეთრი ქსოვილისაგან შეკერილი ფართო ოსმალური ტანსაცმელი, ხოლო თავზე წითელი ფესკა ეხურა. მე მალე დავტოვე სტუმარ-მასპინძელი და წავედი შინ.

შემდეგ, მეორე და მესამე დღეს, კიდევ ვხვდებოდი პუშკინსა და სანკოვსკის ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თად, ვსეირნობდით და სხვათა შორის დავა-თვალიერეთ გრიბოედოვის ახლადგაჭრილი სამარე. მის წინ ალექსანდრე სერგეის-ძემ მოიყარა მუხლი და დიდხანს იყო თავ-ჩაქინდრული, ხოლო როცა წამოდგა, მისი თვალები ცრემლებით იყო სავსე. მეორე დღეს პუშკინი გაემგზავრა რუსეთს, სანკოვ-სკის კი დაუტოვა თავისი ფეხმარდი ცხენი“[55].

სანკოვსკი სისტემატურად უგზავნიდა პუშკინს გაზეთის ახალ ნომრებს, და როდე-საც თბილისში დაიბადა ალმანახის გამოცე-მის აზრი, მან წერილით სთხოვა პუშკინს გამოეგზავნა მასალა კრებულისათვის.

ფრანგულ ენაზე დაწერილ დაგვიანებულ თავის საპასუხო წერილში პუშკინი წერდა:

„მე ესოდენ დამნაშავე ვარ თქვენს წინა-შე და ესოდენ უმადური ვჩანვარ, რომ მცხვენიან კიდეც, რომ მოგწეროთ.

კანზასმა მომიტანა თქვენი თავაზიანი წე-რილი. თქვენ მთხოვთ ლექსებს ალმანახისა-თვის, რომლის გამოცემას წრეულს აპი-რებთ. მე ვაგვიანებდი მეპასუხნა თქვენ-თვის მეტად საპატიო მიზეზით. არაფერი მქონდა გამოსაგზავნი და სულ მოველოდი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხეშთაგონების წუთს, ანუ, როგორც ამბო-ბენ, ქალალდის ჩხაპნის მანიას, და არც შთაგონება არ მოვიდა.

ორი წლის განმავლობაში მე არც ერთი ლექსი არ დამიწერია." აი როგორ წავიდნენ ჯოჯოხეთში ჩემი კეთილი განზრახვანი, მომერთმია თქვენთვის ჩემი ღარიბი რითმები. ნუ გამიჯავრდებით, რომ მე ვერასოდეს ვერ შევძლებ გავაკეთო ის, რაც უნდა გამეკეთებინა და რისი გაკეთებაც მინდოდა.

მე დავავალე შირიაევს მოეწოდებინა თქვენთვის ყველაფერი, რაც დავბეჭდე თბილისიდან წამოსვლის შემდეგ; არ ვიცი, შეასრულა მან ეს თუ არა.

რაც შემეხება მე, დიდად მადლობელი ვარ თქვენ მიერ გამოგზავნილი თბილისის გაზეთისათვის, რომელიც ერთადერთია რუსულ გაზეთებს შორის, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი ღირებულება და სადაც გვხვდება საერთო ევროპული მნიშვნელობის სტატიები.

თუ გხვდებათ თქვენ ხანდახან ალექსანდრე ბესტუჟევი, გადაეცით მას ჩემი მეგობრული სალამი. ჩვენ შევხვდით ერთმანეთს გუდანაბადის მთაზე და ვერ ვიცანით ერთმა-

ნეთი. მას შემდეგ მე მის შესახებ ამბებს ვიგებ მხოლოდ გაზეთებიდან, სადაც ის ბეჭდავს თავის მომხიბლავ მოთხრობებს. აქ გავრცელდა ხმა მისი სიკვდილის შესახებ. ჩვენ იგი გულითადად გამოვიტირეთ და ძალიან გაგვეხარდა, როდესაც იგი აღდგა მკვდრეთით საღვთო წერილის მესამე დღეს.

ამ ბარათს თქვენ გადმოგცემთ როსეტი— სავსებით ღირსეული ჭაბუკი, რომელმაც ახლახან დატოვა ბრწყინვალე საზოგადოება და მშფოთვარე სიცოცხლე საქართველოს ჯარისკაცის სასტიკი ცხოვრებისათვის. მე მას რეკომენდაციას ვუკეთებ და დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ დამიმადლებთ ამ ნაცნობობისათვის. მიიღეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, რწმუნება ჩემს ღრმა პატივისცემაში თქვენდამი.

ალექსანდრე პუშკინი.

3 იანვარი 1833 წელი.

სანკტ-პეტერბურგი“[56].

წერილმა ველარ ჩამოუსწრო ადრესატს: 1832 წლის 19 ოქტომბერს გაზეთ „ტიფლისკი ვედომოსტი“-ს რედაქტორი ხოლერამ იმსხვერპლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული შეკრებანი გრიგოლ ორბელიანთან

ერთი ადგილთაგანი, სადაც ოცდაათიანი წლების თბილისის მოწინავე არისტოკრატია თავს იყრიდა, იყო ბინა გრიგოლ ორბელიანისა.

„თუ თბილისში გიცხოვრიათ,—წერდა 1885 წელს იონა მეუნარგია, — რასაკვირველია, გეცოდინებათ, სად და რა ალაგას არის გრიგოლ ორბელიანის სახლი:

ძველთაგანვე ამ სახლის არემარე შეადგენდა ორბელიანთა გვარის სამყოფ ადგილს და იწოდებოდა ორბელიანთა უბნად, აულად. ამ აულში ცხოვრობდა სარდლიანთ ოჯახი, ასლანის ოჯახი, გიორგის ოჯახი, ზურაბ—პოეტის მამა და სხვა. ზურაბის დიდი, ორსართულიანი, ფართე მოაჯირით შემოვლებული სახლი ისევე დარჩა პოეტის ცხოვრებაში, როგორც იმის მამის დროს იყო. ადამის დროული არქიტექტურა, ფართე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველს მცენარესა და ყვავილებს მოკლებული ეზო, შეულესელის უშნო გალავანით და ალაყაფის კარებით; გალავანის ერთ ყურეში—წვიმისაგან და მზისაგან გახუნებული ფიცრის საჯინიბო, სახლის გვერდით—სასახლის ეკლესია,—აი რა შეადგენდა სასახლის გარემოს. პოეტს არ უნდოდა სიძველეში შესულის სახლის განახლება.

სახლის შესავალი ეკლესიის პირდაპირ იყო; კარებზე არც რიგიანი ზარი, არც მოსამსახურე, შედით, პალტო გაიხადეთ, ჩამოკიდეთ კედელზე და შეაღეთ ზალის კარები. არავინ არ არის. ვეებერთელა ზალა, სკამებით გარშემო შემომწკრივებული, რომელშიაც არც მაგიდა სდგას, არც სავარძელი, არც ტახტი. თუ კარების ხმამ გააგონა ვისმე მოსამსახურეს თქვენი შემოსვლა, ხომ კარგი, თუ არა და გასწით პირდაპირ და შეაღეთ ის დიდი კარები, რომელიც გზაზე დაგიხვდებათ. ამ კარებს შეჰყევხართ თქვენ პოეტის კაბინეტში.

მარჯვენა კედელზე მიკეთებული თაროები სავსეა წიგნებით, რომელთ ტყავის ყდაზე იკითხება წარსული პერიოდი წიგნის შემკვრელთა ვინაობისა. მაგიდები მარჯვნივ და

მარცხნივ, თვითონ სამუშაო მაგიდე-ები და ბუხრის თავი სავსეა არეულად და-ყრილის მტვრიანის ქაღალდებითა, გაზეთე-ბით, წიგნებით, სურათებით. არაფერს არ ეტყობა ხელოვნება, კაბინეტის ლამაზად მორთვის სურვილი, არსად არა სჩანს ქალის ხელი.

რომ შეხვედით პოეტთან, წიგნის კითხვა-ში, ან წერაში გართულმა მასპინძელმა წა-მოჰყო თავი, ფართეთ გაშალა ორივე ხელი, ერთი შესძახა ჩვეულებრივი „ჰოო!“, ნიშა-ნი კმაყოფილებისა, წამოდგა, მოგეგებათ, მო-გავლოთ ხელი და დაგისვათ პატარა მრგვალ მაგიდასთან, თავის პირდაპირ“[57].

აი ასეთი იყო ორბელიანის სახლი მისი ახალგაზრდობის დროსაც... მაშინ გრიგოლ ორბელიანს „პორუჩიკის“ ჭაბუკური ვული უცემდა და სხვებთან ერთად მონაწილეობდა „ფარულ საზოგადოებაში“.

შეთქმულების არსებობის შესახებ მან პირველად გაიგო ელიზბარ ერისთავისაგან, რომელიც პოეტს გაენდო 1831 წლის დასაწ-ყისში ალექსანდრე ორბელიანის თანდასწრე-ბით.

1831 წლის გაზაფხულის ერთ საღამოს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ ორბელიანთან შეიკრიბნენ: ელიზ-
ბარ ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი,
გიორგი ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი, ზუ-
რაბ ჭავჭავაძე და სხვანი.

ალექსანდრე ორბელიანი ერთ თავის ჩვე-
ნებაში ამბობს: „ელიზბარ ერისთავმა მასცა
რილეევის ლექსი გრიგოლ ორბელიანოვს
სათარგმნელად ქართულად, ნე გავორი
ოტეც სვიატოისა, რომელიც თარგმნა ქარ-
თულად სტიხადვე"[58].

და როცა შეთქმულნი დასახლებულ სადა-
მოს გრიგოლ ორბელიანთან შეგროვდნენ,
მან სთქვა: „ის სტიხი ვთარგმნეთ და წაი-
კითხა რილეევის ლექსის თარგმანი, სახელ-
წოდებით „ნალივაიკოს აღსარება"[59].

აი რილეევის ეს ლექსიც, რომელიც გრ.
ორბელიანმა თავისუფლად გადმოიღო:

ოდესცა მეფე იყო გარდაცვალებული და სა-
ქართველო იმყოფებოდა თათართ მონობაში,
მაშინ ვიეშან აღძრა საქართველოს თავადნი ბი-
რისპირ მტარვალთა, და ჟამთა აოხარებისა უბა-
სუხა ეხრედ მოძღვარსა ამის დამშვრელსა:

ჰე, სულიერო მამაო!
ნუ მეტყვი: „ამით შესცოდავ!"
ესრეთა შენსა მოძღვრებას,
მხოლოდ უბრალოდ დაჰკარგავ!
რა მგამა! იყო საშინელ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სატანჯველ ჩემთვის ეს ცოდვა!
ეს საიდუმლო, რაიც ვსთქვი,
ოღონდა აღესრულოსა?
ცოდვანი თათართ, ურიათ,
მზა ვარ მივიღო ჩემს სულსა!

და მისთვის ნუღარ მეცდები,
ზეციურ რისხვით მაშინო,
ან საუკუნო ტანჯვითა,
ჩემ შორის ნანვა აჩინო!
ჯოჯოხეთი მტანჯავს მაშინ მე,
ვჰხედავ რა ტყვედ ქმნილს მამულსა!

როს ვნახო თავისუფლებით,
ვჰხვდე მაშინ სასუფეველსა!
სიყრმით ჩემითგან გულს ცეცხლი
თავისუფლების აღმენთო;
რა მესმა ძველთ დრო ლიღინი,
ცეცხლი ცეცხლზედა დამერთო!

ესრედ სარცხვენო შიშიდა,
ვინ იყო მაშინ ძლეული?
ტყვეობას ვის არ ერჩივნათ
სიკვდილი მამაცეული?
ქედმოდრეკილი უღელ ქვეშ, სიმწარით
დღეთ თვისთ ვინა ჰსწყვევდა?

მთოვარი განისვენებდნენ
და მზე ნათელსა მოჰფენდა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაშინა აქმნდათ ივერთა
რა სიყვარული კავშირად,
ალვსილი მათი სიამით
ცხოვრება ჰრბიოდა ნათლად.

ან გესლოვანთა მუხთლურებრ,
ჩვენ შორის ჰთესეს მტერობა:
კავშირი შესწყდა და მასთან,
ივერთა კეთილდღეობა!
შიში, სიმდაბლე სულისა,
შური, მფლობელნი ან ჩვენნი,

არიან მარად მონების,
ნაყოფნი ესე საძაგნი,
ძველი ქებული სამეფო,
უფსკრულსა შთაუნთქავს ესრეც,
რომ ჩვენზე მტერნი ალმზდგარან,
და ჩვენ კი ვებრძვით ურთიერთს.

ლეკი, ოსმალი და სპარსი,
ვით მგელნი განუძღომელნი,
უწყალოთ ჰგლეჯენ ჩვენს მამულს,
სისხლითა ჩვენით ლებულნი.
ჰსჯულსა, უძლურად შექმნილსა,
ჰსთვლემს მცხეთას გამოუფხიზლად;

მტერი ლალადებს ვაებას,
და ერი ალსდგა მფარველად.
მის ჟამით მტრისა სისხლისა,
ვარ დასანხევათ მოსურნე

და ამა ფიქრით მოცულსა
სახე მაქვს ჭმუხვნილ, მრისხანე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე თავისუფლებისათვის
სული მარადის მიკვნესის,
და ეს ოცნება დღე და ღამ,
ვითა აჩრდილი თან მდევნის:
მოსვენებას არ მაძლევს
ნათესავთ შორის ბინად ვჯდე,

ბინა სახლკარში შესული
გულმხურვალები ვილოცდე;
ხმა საიდუმლო. მარად ჟამს
მეჩურჩულების მე ყურსა:
— ჟამი არს მტერი მამულის
მისცეთ მახვილსა ლესულსა!

ვუწყი მე მართლად,
რომ ჯერ არ სიკვდილსა იგი ელოდეს,
ვინც ერის მაწუხებელსა
პირველად წინა-აღუდგეს!
მარა, მოძღვარო! მითხარ მე,
ვის? სადა? რომელსა მხარეს

თავისუფლება უმსხვერპლოდ,
უსისხლოდ მოუსყიდიეს?
წარვსწყმდები მამულისათვის,
ვიცი, ვგრძნობ და აღვიარებ,
და მისთვის ესრეთ ჩემს სიკვდილს
ადრე სიამით ვაკურთხებ![60]

დეკაბრისტ კონდრატი რილეევის ქართულად გადმოღებულმა ლექსმა თაბრუდამსხმელი შთაბეჭდილება მოახდინა ლოსწრეებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ორბელიანი წერს:

„ლექსის წაკითხვის შემდეგ წამოხტა ელიზბარ, აკოცა გრიგოლ ორბელიანს და უთხრა, კარგად გითარგმნიათ. შემდეგ ჩვენც ყველამ ვაკოცეთ მას და ამაში გავიყარენით“[61].

კვირაში ერთხელ გრ. ორბელიანი თავის ბინაზე იწვევდა აშუღებს, რომლებიც ასე ძალიან უყვარდა პოეტს, და მრავალრიცხოვან მეგობრებს შორის ისმენდა შამჩიმეღლოს, ქიჩიკნოვასა და საიათნოვას „გულდამწველ სიტყვებს“.

მგოსანი და მკვლევარი იოსებ გრიშაშვილი წერს:

„ჩემს შეკითხვაზე უხუცესმა აშუღმა ფნდილამ და უსინათლო იაგორამ მიპასუხეს: „ვა, კნიაზი!? ვენაცვალეთ ჩვენ იმას თავის ქრისტეებში და ღმერთებში! კვირაში ერთხელ თუ ორხელ კნიაზის (გრ. ორბელიანის) ბრძანებისამებრ მივდიოდით მის სახლში,

განსაკუთრებით საიათნოვას ლექსების სამ-ღერლად—ჰაა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კნიაზი გამოგვეგებებოდა და შეგვძახებდა თავისებურის მჯახე ხმით: „ოხხ, მოხვედით, ჩემო შვილებო!“ ჩვენც ვუმღერდით საიათნოვას საჭიკმაჭიკო ლექსებს, და ოხრად დაგვასაჩუქრებდა! ხოლო „ბედნიერ დღეებში“ (აღდგომას თუ ახალწელიწადს) ტანსაცმელს შეაკერვინებდა თავის დერციკს და სახსოვრად გვიფეშქაშებდა“[62].

ასე იყო გრიგოლ ორბელიანის ბინაზე პოეტის გარდაცვალებამდის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოლომონ დოდაშვილის ლიტერატურული წრე

პეტერბურგის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ საქართველოში დაბრუნებული სოლომონ დოდაშვილი 1829 წელს აარსებს „ამხანაგურ წრეს“.

„სოლომონ დოდაშვილმა,—წერს ზაქარია ჭიჭინაძე, — შეადგინა თბილისში „ამხანაგობა“, ანუ გუნდი, იმ დროის თბილისის სასწავლებლების მოწაფეების. ამ რიცხვში შედიან იმ დროის „კეთილშობილთა სკოლის“ მოწაფენი, სასულიერო სემინარიის მოწაფენი და ასევე სხვანიც.

ს. დოდაშვილი კრებებს მართავდა თავის სახლში, გოლოვინის პროსპექტზედ, სადაც შემდეგ არტისტული თეატრი იყო. იქვე ჰქონია სტამბა და რედაქციაც.

„ამხანაგური წრე“ არსებობდა ქართველების გასაფხიზლებლად, ქართველ ერში კარგი წესების შესატანად, ქართული მწერლო-

ბის ასაღორძინებლად და მწერლობაში კარ-
გი იდეის შესატანად“[63].

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოდაშვილის ლიტერატურული წრის წევრებად ითვლებოდნენ: ალექსანდრე ჩიქოვანი, ვახტანგ ორბელიანი, გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლუკა ისარლიშვილი, დავით ჩაჩაბელი, სოლომონ რაზმაძე, ალექსანდრე ორბელიანი, ბერი ფილადელფოს კიკნაძე, ტარასი მესხიევი, სოფრომ მესხიევი და სხვები.

ამ „კრებებზე“ სოლომონ დოდაშვილი წრის წევრებს ასეთი სიტყვებით მიმართავდა ხოლმე:

„ქართველებო, გაახილეთ თვალები, ქართველებო, ნუ გძინავთ, ნუ ღოთობთ, მამულებს ნუ ფლანგავთ, იზრუნეთ მომავლის ცხოვრებისათვის, თორემ მომავალში ჩვენ ყველანი გასაკიცხნი გავხდებით და ჩვენი შთამომავლობა არ გვაპატიებს, კიცხვით მოგვიხსენებენ.

ვიზრუნოთ საქართველოს შესახებ, თორემ დავიღუპებით, დავიქცევით და დავნელდებით, ქართველებო, მოდით გონს, ახალგაზრდებო, გაახილეთ თვალები და დაანე-

ბეთ არშიყულ ლექსების და ბაიათებ[illegible] რას თავი, ლექსები სწერეთ საქართველოს შესახებ, ქართველი ერის წარსულზედ, რომ ქართველმა ოდესმე კიდევ დაიბრუნოს დანაკარგი“[64].

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრე ხშირად მართავდა მუსიკალურ კონცერტებს.

მოვუსმინოთ სოლომონ დოდაშვილს:

„ოსმალეთის ელჩი 1831 წლის დასასრულს ჩემი ბინის მახლობლად გენერალ კომაროვსკის ცოლის სახლში ცხოვრობდა. გავიცანი რა იგი, მასთან ხშირად დავიარებოდი, ერთ საღამოს ჩაიზე მოვიწვიე, რადგან თავისი თარჯიმანის პირით მთხოვა, რომ სურდა მოესმინა ფორტოპიანოზე და მის ტონთან თავისი ბალალაიკა შეეთანხმებინა.

მე მოვიწვიე სოვეტნიკი ალექსანდრე ორბელიანი, რომელიც ფორტეპიანოზე აზიურ სიმღერებს კარგად უკრავს, და მისი ძმა ვახტანგი, რომელიც რუსულ სიმღერებს უკრავს, და ელჩის მოსალხენად პატარა კონცერტი შევადგინე: ფორტეპიანოზე და ბალალაიკაზე უკრავდით და ვმღეროდით ევროპიულ და აზიურ სიმღერებს“[65].

წრე სისტემატურად ატარებდა როგორც ცნობილ, ისე დამწყებ ავტორთა ნაწერების კითხვა-გარჩევას. ამავე წრემ განიძრახა ბიბლიოთეკისა და სტამბის შეძენა.

იგივე სოლომონ დოდაშვილი გადმოგვცემს:

„ვახშამი ჩემს ბინაზე გაიმართა. ჩვენ აქ წავიკითხეთ მოწაფე მაჩაბელოვის თხზულებანი და ვმსჯელობდით გამოგვეღო ფული, ამ თანხით შეგვეძინა ბიბლიოთეკა და სტამბა, ვამბობდით აგრეთვე ნიჭიერი მოწაფეები გაგვეგზავნა უნივერსიტეტში და დაგვენიშნა მათვის სტიპენდია“[66].

1832 წლის იანვრიდან სოლომონ დოდაშვილის ლიტერატურულმა წრემ საკუთარი ნაბეჭდი ლიტერატურული ორგანოს გამოცემა დაიწყო. „ტფილისის უწყებანის“ დამატება, „სალიტერატურნო ნაწილნი“, ზემოდასახელებული წრის დაუცხრომელი და დაუღალავი მუშაობის შედეგია.

ერთი წლის განმავლობაში (1832 წ.) სულ გამოვიდა აღნიშნული ჟურნალის ხუთი ნომერი. მეხუთე, უკანასკნელი ნომერი, გამოვიდა მარტში. ცენზურისაგან ნებართვა გაცემულია 15 მარტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული წრის ორგანო, მკაცრ საცენზურო პირობების გარდა, დიდ მატერიალურ ხელმოკლეობასაც განიცდიდა...

სოლომონ დოდაშვილი ფილადელფოს კიკნაძისადმი 1832 წლის 6 თებერვლის თარიღით გაგზავნილ წერილში ასე შესჩიოდა ჟურნალის უსახსრობის შესახებ:

„მამაო წმინდა ფილადელფოს!

...ჟურნალი გამოდის, წელიწადში რვა მანეთი თეთრი ფული გახლავთ მისი ფასი. უკეთუ თქვენ აღწერთ რასმე სტიხად თუ პროზად დაჰბეჭდენ ჟურნალში. მე გირჩევთ იყიდოთ, ამისთვის რომელ მრავალნი სასარგებლო აღწერა იქნება იმაში, და უკეთუ შეჰნიშნავთ რასმე ცუდსა, ძალგიძთ წინაალმდგომი დასწეროთ, რომელიც დაიბეჭდება.

ორს ნომერს ეხლავე გიგზავნით, რვა მანეთი გამოგზავნეთ, თუ გნებავთ მანდაურს ნაჩალნიკს მიართვით და ის გამოგზავნის, რათა შემდგომი ნომრებიც კომიტეტმა გამოგიგზავნოთ;

სხვათაც ჰსთხოვე და კიდეც ეცადევი რათა ხელი მოაწერონ, მე ფრიად დამავალებთ, ამისთვის რომელ ცოტანი არიან ხელის მომწერნი და ხარჯი მრავალი უნდა, თუ დად-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გეს დაბეჭდვა მთავრობისაგან, ქართველთათვის სირცხვილია.

როგორ არ უნდა ვისურვოთ ენის გამდიდრებისათვის, მამულის დიდებისათვის და გონების განათლებისათვის ესრეთი სასარგებლო საქმე. გთხოვთ ეცადოთ ათიოდ მსურველი იშოვნოთ, თუ მეტს იშოვნით, უფრო უკეთესი, ნურავინ დაზოგავს რვა მანეთს, ყოველთვის ურჩიეთ"[67].

სოლომონ დოდაშვილის ლიტერატურული წრე თანდათან შეერია იმ ხანადვე დაარსებულ „ფარულ საზოგადოებას" და მისი მსჯელობისა და მოქმედების ფარგლებში მოექცა სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის საკითხებიც.

იწერებოდა მთელი რიგი ლექსები და პოემები, მიმართული რუსეთის მონარქიის წინააღმდეგ და საქართველოს განთავისუფლების შესახებ.

იქმნებოდა ერთგვარი არალეგალური მხატვრული ლიტერატურა, რომელიც იკითხებოდა ოჯახებში და ხელიდან ხელში გადადიოდა.

ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩა ხელისუფლებას.

საგამომძიებლო კომისია წერდა გაკვრით:
„... საზოგადოება ერთგვარ ლიტერატუ-რულ სახეს ღებულობს“[68].

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოდაშვილის ლიტერატურული წრე გა-ნაგრძობდა თავის მოღვაწეობას.

წრემ ს. დოდაშვილისავე სტამბაში და-ბეჭდა პროკლამაცია, რომელიც ბოლოვდე-ბოდა სოლომონ დოდაშვილის ლექსით:

აი ესეც:

„ქვეყნის დაარსებიდან მამულსა ჩვენსა აქვნდა თვისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნ-და თვისნი სჯულნი, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა, და თვისი ჩვეულება და ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი თვისი ხელმწი-ფე და არაოდეს არ იყო მოკიდებული სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა აწ არს მამული ესე ჩვენი და ჩვენი ხმა, სახელი, მხნეობა და მამაცობა წინაპართა ჩვენთა ყო-ველთვის ჰქუხდა და აღავსებდა მსოფლიოსა.

მტერი მარადის მოწყლულ იყო და დამ-ხობილ მათგან ხოლო აწ ხედავთ დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა, ჰგრძნობთ შევიწროებასა ყოვლისა კაცისასა.

რაისათვის არს ესე ესრეთ, ნუ უკვე ჩვენ არა ვართ შვილნი მამა პაპათა ჩვენთანი, ნუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესოდენი, რაოდენიც ჩვენს მამათა, ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა, მაშა რაისათვის ვცოცხალვართ.

მაისის თვესა იქმნას ძახება,
გამოხატული ქართველ უფლება.
აღვიპყრათ ხელსა იგი მახვილი
მივცეთა მტერთა შიში ძლიელი,
შემოვიკრიბოთ გულით მხურველნი
ვეცეთ ვეძგერნეთ გაგულებულნი.
განვდევნოთ სოფლით ძალით მოსულნი,
ჩვენ მამულისა მაოხრებელნი
ქართველნო ხართ სადმე თუ არა
არვინ არ იცის მოიგეთ გონება“[69].

1832 წლის დეკემბრის 9-ს შეთქმულება გამომჟღავნდა სხვა მონაწილეებთან ერთად დააპატიმრეს სოლომონ დოდაშვილიც, და წრემ სამუდამოდ შეწყვიტა მუშაობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რ. ი. ბაგრატიონის სალონი

ეს სახლი თეატრალურ სანახაობათა ნამდვილი კერა იყო.

1831 წელს „სამსახურის ქარმა" ქალაქ პეტერბურგიდან მესანგრეთა ოფიცრად „გადმოაგდო" სცენით გატაცებული ახალგაზრდა სამხედრო პირი — მიხეილ გამაზოვი. „ყველაზე მეტად, — წერდა ის რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, — მე თეატრალური დატკბობა მწყუროდა, თეატრი კი იმ ხანად თბილისში არ იყო. არც შინაური წარმოდგენების შესახებ ისმოდა რაიმე, და მე გადავწყვიტე საოჯახო წარმოდგენები მომეწყო"[70].

თბილისში მიხეილ გამაზოვი შეხვდა თავის ძველ ნაცნობს კრასნოსელსკის ბანაკიდან, იუნკერს რომან ალექსანდრეს-ძე ბაგრატიონს, რომელმაც იგი ბოროდინოს ცნობილი გმირის, პეტრე ივანეს-ძეს, ძმის რომან ბაგრატიონის სახლში მიიყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომან ივანეს-ძე ბაგრატიონის სახლობა შედგებოდა: ცოლის, ცოლის გაუთხოვარი დისა და ორი ქალ-ვაჟისაგან. არც თუ ისე ეკონომიურად უზრუნველყოფილი ოჯახი მეტად ხელგაშლილისა და უდარდელ ცხოვრებას ატარებდა. ჟამიდან ჟამამდე ღია იყო კარი მომსვლელთათვის და სახლი—მუდამ სტუმრებით სავსე.

. მუსიკის მოყვარე მეუღლე თავადისა გამუდმებით აწყობდა კვარტეტებს. შემდეგ იმართებოდა ცეკვა. საღამო კი ჩვეულებრივ თავდებოდა კახური ღვინით დამშვენებული ვახშმითა და მხიარული საუბრით.

ასეთი მომზადებული ნიადაგი ჰპოვა ბაგრატიონების სახლში მესანგრეთა ოფიცერმა თავისი განზრახვის შესასრულებლად და საქმესაც შეუდგა.

მასზე არა ნაკლებ გატაცებული იყო თეატრით მისი ძველი მეგობარი, იუნკერი რომან ალექსანდრეს-ძე ბაგრატიონი, და ამის წყალობით ბაგრატიონების სახლი მალე თეატრალურ არედ გადაიქცა.

თბილისის უმაღლესი წრის საზოგადოება აქ იყრიდა თავს და „თეატრალური სახელოსნოს“ (ასე ეძახდნენ) კედლებს სიცო-

ცხლითა და მხიარულებით აყრუებდა. მასპინძლები საქმის მეთაურთ ამხნევებდნენ და მადლობას სწირავდნენ.

წარმოებდა ძველი პიესების ძიება და ახლების გამოწერა, როლების განაწილება და დასწავლა.

„გამოძებნილ იქმნა რეკვისორიც, რომელიც, თბილისის სახელმწიფო პალატაში ოცდახუთმანეთიანი სამსახურიდან რაღაც დანაშაულისათვის დაქვეითებული, ეხლა ორ მანეთს იღებდა თვეში,—ეს იყო ლავროვსკი, რომელმაც დიდი ლიტერატურული გემოვნება, თეატრალური ცოდნა გამოიჩინა და მომავალი წარმოდგენის მონაწილენი უდა გამარჯვებაში დაარწმუნა“[71].

აკლდათ მხოლოდ მუსიკა, მაგრამ „ერთ საღამოს,—წერს მოწმე,—ვიღაცამ თავადის სახლში შემოიყვანა დაბალი ტანის, იღლიაში სკრიპკაამოჩრილი, წყნარი სახის მოხუცი, რომლის სახელი რუსეთისათვის საკმაოდ ცნობილი იყო. სტეფანე სტეფანეს-ძე აპრაქსინს ეძახდნენ ამ მადლიან მოხუცს“[72].

დაიწყო წარმოდგენები. პირველად კარატიგინის „უცნობნი ნაცნობნი“ გაითამაშეს, მერე ხმელნიცკისა და იმავე კარატიგინის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა პიესები. რამდენიმე ხნის შემდეგ წარმოდგენილ იქნა მიხეილ გამაზოვის ორიგინალური ვოდევილი „Грузины XIX века“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმატებით წახალისებულნი „ვაი ჭკუისაგანის“ დადგმის სამზადისსაც შეუდგნენ. ამ პიესის დადგმა კი არც ისე იოლი იყო.

წარმოდგენის ინიციატორი ამ დადგმის შესახებ მოგვითხრობს:

„ყველაზე მძიმე ამოცანა მონაწილეთა შერჩევა იყო, განსაკუთრებით ქალთა შემადგენლობისა. ხშირად საქმე მუხლზე ჩოქებამდე მიდიოდა, რომ იქნებ ამით მაინც დაგვეთანხმებინა ქართველი გათხოვილი და გაუთხოვარი თავადის ქალები.

ქალაქური ჭორის, ქალური ეჭვიანობის და მშობლების გავლენის წყალობით ჩვენს რიგებს არა ერთი და ორი მშვენიერი თავადის ქალი გამოაკლდა. ამ დამაბრკოლებელ მიზეზთა გამო იძულებულნი გავხდით კომედიის თავი და დასასრული შეგვეკვეცა. დავეწყო იგი პირველი მოქმედების მეშვიდე გამოსვლიდან ჩაცკის გამოჩენით და დაგვესრულებინა რეპეტილოვის გამგზავრებით“[73].

ამავე პიესაში მონაწილის დიმიტრი ზუბარევის სიტყვით: „დიდი ხნით ადრე, ქართველნი „ვაი ჭკუისაგან“-ს დასდგამდნენ, თბილისის სადარბაზო ადგილებში ამ კომედიის წარმოდგენის შეუძლებლობაზე მასლაათობდნენ ხოლმე. ზოგს პიესა მიაჩნდა უვარგისად შინაურ წარმოდგენისათვის და ვინ უწყის რას არ ამბობდნენ ჭორების მოყვარულნი“[74].

მიუხედავად ყოველგვარი დამაბრკოლებელ მიზეზებისა, 1832 წლის იანვრის 21 კავკასიის მთავარმართებლის ბარონ როზენის, მისი მეუღლისა და მთელი თბილისის „რჩეულთა“ თანადასწრებით რუსულად წარმოადგინეს კომედია „ვაი ჭკუისაგან“, რომელმაც ყოველგვარი წინასწარი მოლოდინი დაჩრდილა.

ალექსანდრე სერგეის-ძე გრიბოედოვის უკვდავი კომედიის პირველი წარმოდგენა თბილისში სოლომონ დოდაშვილის „ტფილისის უწყებანის“ იანვრის ნომერმა ასე თბილად შეაფასა:

„ჩვენს ქალაქში,—წერდა გაზეთი,—წარსულ კვირას იყო თეატრი ერთსა ჩინებულსა სახლსა შინა, საკურვლად წარმოადგინეს, უკეთესად არ შეიძლებოდა“[75].

წარმოდგენის ხელმძღვანელი თავის მოგო-ნებაში შემდეგს წერს: „მე ოცი წლის ცერ ფამუსოვს ვთამაშობდი. პეტერბურგში რიაზანცევის გაკვეთილებისა და თბილისში ლავროვსკის რეჟისორული უნარის წყალობით, ჩემი ნაკისრი ვალდებულება ბრწყინვალედ შევასრულე“[76].

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეპეტილოვის როლი მოხდენილად ითამაშა კონსტანტინე ივანეს-ძე სავოსტიანოვმა, რომელმაც 1829 წელს ორთაჭალის ბაღში ნადიმი მოუწყო რუსეთის უდიდეს პოეტს — ალექსანდრე სერგეის-ძე პუშკინს.

თბილისის პალატის სოვეტნიკმა დიმიტრი ელისეის-ძე ზუბარევმა პიესის ცენტრალური როლი ჩაცკისა მთლიანად ვერ დასძლია. ზუბარევი თავისი თამაშის შესახებ გულახდილად აღნიშნავს: „ჩაცკიმ ვერ შესძლო როლის თანაზომიერად წაყვანა, სიყვარულის ახსნისას იგი ერთობ ცივი იყო“[77].

არც სოფიო იდგა თავის ადგილზე, სოფიოს როლს თამაშობდა სახლის პატრონის ცოლისდა. სამაგიეროდ მასპინძლის ვაჟმა

* ვასილი ივანეს-ძე რიაზანცევი სახელგანთქმული რუსი კომიკი იყო.

მხიარულად და ჭკვიანურად შეასრულა ლი-ზას როლი. სოფიო ივანეს-ასული ორბელია-ნი ნატალია დიმიტრიევნას როლში მეტად ორიგინალური იყო და საერთო აღტაცება გამოიწვია. ნატალიას ქმრის როლს, პლატონ მიხაილოვიჩს, თამაშობდა თვით რეჟისორი ლავროვსკი. მოლჩალინი კი საკმაოდ კარგად შეუსრულებია ოფიცერ ოლშევსკის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით აღსანიშნავია სკალოზუ-ბის შემსრულებელი. „ასეთი სკალოზუბე-ბი,—ამბობს რეცენზენტი,—შეიძლება თამა-მად ითქვას, არც ერთს საჯარო თეატრს არ ჰყოლია“[78]. თავადი რომან ალექსანდრეს-ძე ბაგრატიონი თამაშობდა მას.

ზაგორეცკის როლში გამოვიდა თბილისის გუბერნატორის ნათესავი ზავილეისკი. კარგი იყო ხლესტოვაც. იგი შეასრულა ულამაზეს-მა ქართველმა თავადის ქალმა მარიამ ივა-ნეს-ასულმა ორბელიანმა.

წარმოდგენის დასრულებისთანავე გაიმარ-თა ბალი.

„გათავდა თუ არა პიესა,—წერს დამს-წრე,—სცენა და დეკორაცია აალაგეს, იგ-რიალა მუსიკამ და ახალგაზრდობა ხალი-

სით დაეწაფა ვალსს. მაზურკა და ფრანგუ-ლი კადრილები გაგრძელდა ღამის [illegible]თამდე.

მე თუმცა მოხუცი ვარ,—განაგრძობს მოგონების ავტორი,—მაგრამ ჭაბუკური გატაცებით ვუმზერდი, თუ როგორ სრიალებდა ქართველი ქალების თვალმომტაცი ფეხები კადრილში და როგორ იხატებოდა მათი მოქნილი ტანი ფრანგული კადრილების ასრულებისას.

მუსიკა მათთვის შეთხზული იყო თურქულ და ქართულ სიმღერებიდან თბილისის მკვიდრთათვის დაუვიწყარ კომპოზიტორ ი. ა. სოკოლოვსკის მიერ, რომელიც 1830 წელს გარდაიცვალა ხოლერით.

ვახშმის დროს გაისმა რუსული გუნდის ხმა. მომხიბვლელმა ხმებმა აღტაცებაში მოიყვანა მსმენელები. ვახშმის შემდეგ კვლავ გაიმართა ცეკვა და დასრულდა დილის ხუთ საათზე“[79].

იმავე წელს ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულის ნინო გრიბოედოვას წინანდლიდან დაბრუნების გამო „ვაი ჭკუისაგან“ მეორედ

იქმნა წარმოდგენილი, მაგრამ ნინო ჭავჭავა-ძე არ დასწრებია ამ წარმოდგენას. იგი მძიმე ავადმყოფი იყო.

მიხეილ გამაზოვის ზაქათალაში გადაყვანის გამო, ბაგრატიონის სახლში წარმოდგენების გამართვა შეწყდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ ორბელიანის ლიტერატურული წრე

რუსეთიდან საქართველოში ჩამოსვლისთანავე შეთქმულებაში ჩაბმული პოეტი ვახტანგ ორბელიანი ლიტერატურული საღამოების მართვას იწყებს თავის ბინაზე.

მასთან თავს იყრიან: გიორგი ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, სოლომონ რაზმაძე, ელიზბარ ერისთავი, ზაალ ავთანდილაშვილი, ივანე მუხრანსკი, ალექსანდრე ორბელიანი და სხვანი.

წრის წევრნი საკუთარ თხზულებათა გარდა კითხულობდნენ და არჩევდნენ ამ წრეში როგორც ძველ, ისე თავიანთ თანამედროვე ქართველი მწერლების ნაწერებს.

წრის სათანადო ლიტერატურით მომარაგებაზე ზრუნავდა მისი გამგებელი—ვახტანგ ორბელიანი, რომელსაც თვითონ ჰქონდა საკმაოდ ძვირფასი კოლექცია წიგნებისა და ხელნაწერებისა და ნაწილს კი დროებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარგებლობისათვის შოულობდა ნაცნობ-მეგობრებში. იგონებს რა ერთ ასეთ შემთხვევას, პოეტი ამბობს: „გრ. ორბელიანოვის ლექსი სათაურით „იარალისადმი“ წასაკითხად გადმომცა გენ. მაიორ თ. ა. ჭავჭავაძის მეუღლემ“[80].

ამის გარდა ჯგუფი ხარბად ეწაფებოდა აგრეთვე უცხოეთის ლიტერატურასაც, რომელიც რუსეთიდან ჰქონდა ვახტანგ ორბელიანს ჩამოტანილი.

დასახელებული წრის წევრი, თბილისის გიმნაზიის მასწავლებელი ზაალ ავთანდილაშვილი, თავის ჩვენებაში წერს.

„ვახტანგ ორბელიანს ვიცნობდი, დავიარებოდი მასთან დროს გასატარებლად, სადაც ვკითხულობდით მის მიერ ს. პეტერბურგიდან ჩამოტანილ საუკეთესო ნაწარმოებებს, რომელთა შესახებ მსჯელობას ვმართავდით ხოლმე“[81].

მალე წრემ საკმაოდ დიდი გეგმები დაისახა.

მოვუსმინოთ ვახტანგ ორბელიანს:

„ჩვენ ვმსჯელობდით ხოლმე, რომ დავაარსოთ ერთი კარგი პანსიონი, შევაგროვოთ

შემოწირულება გიმნაზიისათვის, დავაარსოთ ბიბლიოთეკა და სხვა“[82].

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამავე ხანებში ვახტანგ ორბელიანმა ქართულად თარგმნა პ. ა. კარატიგინის ვოდევილი „ნაცნობნი უცნობნი“ და მოინდომა თავისი წრის ძალებით მისი წარმოდგენა.

დაიწყო ენერგიული მზადება ამ პიესის დასადგმელად. პიესაში მონაწილეობას ღებულობდნენ: ალექსანდრე ორბელიანი, გიორგი ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, ელიზბარ ერისთავი, ივანე მუხრანსკი, ზაალ ავთანდილაშვილი, თვითონ მთარგმნელი პიესისა და სხვანი.

ეწყობოდა რეპეტიციები.

პიესის დადგმა განზრახული იყო 1832 წლის ყველიერში. ყველა მოუთმენლად ელოდა წარმოდგენას.

როცა ეს ამბავი გაიგო რუსეთში მყოფმა დიმიტრი ბატონიშვილმა, იგი 1832 წლის 20 აგვისტოს თარიღით ქალაქ პეტერბურგიდან თამარ ბატონიშვილს კერძო წერილში წერდა:

„რას შვრებიან ჩვენი მახინჯები, ესე იგი ელიზბარი, ვახტანგი, ივანე და სხვანი და წარმოადგინეს თუ არა კომედია, რომელზე-

დაც ასე ბევრს მწერდა ვახტანგი, რომ მათ აქვთ ახალი რამ, რომ თავი გაირთონ“[83],

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ პიესა არ დადგმულა.

„მაშინ ჩვენ,—გვიამბობს ზაალ ავთანდილაშვილი,—ხშირად დავიარებოდით რეპეტიციებზე, რომლებიც შეწყდა იმის გამო, რომ არ აღმოჩნდა თანხა მის დასადგმელად“[84].

რამდენიმე თვის შემდეგ „შეთქმულება“ იქმნა გამომჟღავნებული, და წრეც დაიშალა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურული სადილი ელიზბარ ერისთავთან

ოცდაათიანი წლების თბილისში მეტად გავრცელდა ტრადიცია ლიტერატურული სადილების მოწყობისა. შენახულია ცნობა ელიზბარ ერისთავის მიერ მოწყობილი ერთი ასეთი სადილის შესახებ.

ამ „სადილის“ დამსწრე დიმიტრი ყიფიანი მოგვითხრობს:

„1832 წლის იანვრის ბოლო რიცხვებში თავადმა ელიზბარ ერისთავმა, ავთანდილოვის პირით, მეც დამპატიჟა თავის ბინაზე სადილად. ის ცხოვრობდა მაშინ თავისი სიძის, კოლეგიის მრჩეველ მელნიკოვის, სახლში. მე გაუარე ავთანდილოვს, მერე ვახტანგ ორბელიანს და ჩვენ სამნი წავედით ელიზბართან, სადაც ჩვენ დაგვხვდნენ: სოლომონ რაზმაძე, დოდაშვილი და ელიზბარის ძმა, არტილერიის პრაპორჩიკი დიმიტრი. შემდეგ

შოვიდნენ: ალექსანდრე ორბელიანი და გი-
ორგი ერისთავი. აქ ელიზბარმა გამაცნო
ვის ძმა. რომ სტუმრები რამეთი გაერთოთ,
სთხოვეს რაზმაძეს წაეკითხა მის მიერ რუ-
სულიდან ქართულად გადმოთარგმნილი
მიცკევიჩის „ფარისი“[85].

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლომონ რაზმაძემ წაიკითხა: „თაჯილ-
ფახერ ემირის პატივად დათხზული პოლ-
შურ ენაზედ ადამ მიცკევიჩისაგან“[86].

სოლომონ რაზმაძის მიერ მიცკევიჩიდან
ქართულად გადმოღებულმა ლექსმა საერთო
აღტაცება გამოიწვია და საერთოდ ლაპარა-
კი ჩამოვარდა „ტფილისის უწყებანში“ მოქ-
ცეულ ლიტერატურულ ნაწარმოებებზე.

„ამის შემდეგ,—წერს იგივე დიმიტრი ყი-
ფიანი,—აუტყდნენ დოდაშვილს და განსა-
კუთრებით ელიზბარი ეუბნება მას სიცი-
ლით: „როგორ გაბედე შენ დაგებეჭდა შენს
ჟურნალში ისეთი სტატიები, რომელთათვი-
საც სხვა ჟურნალისტს პასუხისგებაში მის-
ცემდნენ?“

დოდაშვილი — რა?

ელიზბარ — აი მაგალითად ბატონის სენა-
ტორის ბიძაჩემის ლექსები, ისინი, რომ ახ-
სნა—განმარტო, იცი რომ...?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოდაშვილი — არაფერია. სანკოვსკიმ განიხილა; მე რა მესაქმება.

ელიზბარ — იმიტომაც! ან კიდევ პოემა ამ ახალგაზრდა პოეტისა (უჩვენა გიორგი ერისთავზე).

ერისთავი — არა! შენ ასე დასწერ.

რაზმაძე — მართლა, ხუმრობა გაშვებით, მან საკმაოდ გაბედულად დასწერა: ეს არც ხუმრობაა.

ელიზბარ — აბა, წაიკითხე.

და გიორგი ერისთავმა წაგვიკითხა ზეპირად ერთი ადგილი დოდაშვილის მიერ გამოცემულ ჟურნალში მოთავსებულ თავისი „ოსური მოთხრობიდან“[87].

ელიზბარ ერისთავის სადილმა საღამოს ხუთ საათამდე გასტანა, რის შემდეგ ყველანი ორბელიანთა ბაღისაკენ გაემართნენ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელისაბედ როზენის სალონი

საქართველოს მთავარმართებლის გრიგოლ ვლადიმერის-ძე როზენის სახლი ერთი მთავარი ადგილთაგანი იყო ოცდაათიანი წლების თბილისში, სადაც უდარდელი სალონური ცხოვრება დუღდა.

სალონს მართავდა როზენის მეუღლე ელისაბედ დიმიტრის ასული, ორმოც წელს გადაცილებული, მაგრამ ჯერ ისევ მიმზიდველი და ლამაზი.

როზენიანთ ოჯახის დიდი მეგობარი, მათი სალონის მუდმივი სტუმარი, თედორე ტორნაუ მოგვითხრობს:

„კვირაში ორჯერ, ხუთშაბათსა და კვირადღეებში, საღამოობით ელისაბედ დიმიტრის-ასული ღებულობდა თბილისის მთელ საზოგადოებას.

საღამოებზე ჩვეულებრივ იკრიბებოდნენ რვა საათისათვის. სტუმრებს ბარონესა იღებდა შადრევნით გამშვენებულ, ვარდებითა

და ბუჩქებით მოკაზმულ ტერასზე, საიდა-ნაც საუცხოოდ მოჩანდა ქალაქის [illegible] ნაწილი და შორეული მთები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალიან კარგი სამყოფი იყო აქ. გრილოდა. თავისუფლად შეიძლებოდა მისვლა და გამოლაპარაკება მასთან, ვინც უფრო დაგვაინტერესებდა, ისე რომ სრულიადაც არ დაირღვეოდა იერარქიული წესი და საჭირო სიჩუმე.

ოთახში შესვლისას სცენა სრულიად იცვლებოდა. საპატიო ასაკის მოხუცი მამაკაცნი და დედაკაცნი სხდებოდნენ ბანქოს სათამაშო მაგიდებთან, წითელი ფერის ფრანგული შპალერით გაკრულ დიდ სალონში.

ამ ოთახშივე მჭიდრო წრედ ჯგუფდებოდნენ ის ახალგაზრდა ყმაწვილნი, რომელთაც არ ჰყოფნიდათ გამბედაობა შესულიყვნენ მეორე საოცნებო სალონში, სადაც ელისაბედ დიმიტრის ასული ქალთა იმ მარაქასთან ერთად იჯდა, რომელნიც ბანქოს არ თამაშობდნენ.

ტერასის დატოვების შემდეგ ის ორ თავის უფროს ქალიშვილთან ერთად თავსდებოდა სალონის სიღრმეში, მისგან კი კედ-

ლის გასწვრივ მარჯვნივ და მარცხნივ [illegible] ბოდნენ, ასაკისა და წარმოშობის მიხედვით, ქალები და ქალიშვილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი იძულებულნი იყვნენ შესიტყვებოდნენ ერთმანეთს, რადგან ყმაწვილთა წრიდან მხოლოდ რამდენიმეს ჰყოფნიდა გამბედაობა შეჭრილიყო მომჯადოებელ ქალთა წრეში და გამოეცადა თავისი ბედი მახვილგონიერებისა და სადარბაისლო სიმარდის თამაშში.

ვინ ჩამოთვლის იმ დროის ქართველ ლამაზმანებს! არ იცოდი, რომელ მათგანზე შეგეჩერებინა თვალი, როდესაც ისინი ბარონესას მისალებ ოთახში წყობით ჩამწკრივდებოდნენ ხოლმე.

კარგი იყო გრაფინია სიმონიჩისა და მასზე არა ნაკლები თავადის ქალი მანანა. ვინ არ სტკბებოდა ტანწერწეტა თავადის ასულ ელენეს მზერით და მის შავგვრემან სახის მქონე დის მაიკოს ყურებით!

ვის არ ხიბლავდა გრაფინია სიმონიჩის ასული სოფიო, იდეალურად კარგი მაიკო ქაიხოსროს ასული და თავადი ამილახვარის

ქალი, რომელსაც ძალზე სწორ სახე[illegible] და კენარტანობის გამო მინერვას [illegible] დნენ!

ვის არ ახსოვს მარიამ ივანეს-ასული, შავი, ჭკვიანური თვალების მქონე, საკმაოდ სრული, ძალზე ცოცხალი ქალიშვილი, წყნარად რომ იჯდა გულკეთილ დეიდა თინას გვერდით!“[88].

სალონის მსვლელობას ტონს აძლევდა ელისაბედ დიმიტრის-ასული.

დამსწრე გვიამბობს:

„ბარონესა ცდილობდა საზოგადოების გამხიარულებას ყოველი სახის „jeux d'esprit“-ის გამოგონებითა და მუსიკალური გასართობების მოწყობით, რომლებშიაც თვითონ იღებდა მონაწილეობას თავის ქალიშვილებთან ერთად.

საღამოების ნაირფეროვნებისათვის ელისაბედ დიმიტრის ასული იყენებდა სალონის დამსწრე უნარისმქონე ძალებსაც. ზოგს ფორტეპიანოზე დაკვრას ავალებდა, ზოგს სკრიპკაზე და ვიოლენჩელზე აკომპანირებას, ზოგს სიმღერას, ზოგს ხატვას, ზოგს კითხვას ან დეკლამაციას“[89].

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როზენიანთ სალონში ეწყობოდა ბალობიც.

1832 წლის 6 დეკემბერს მთავარმართებლის ბინაზე მოწყობილი ბალის დამსწრე თედორე ტორნაუ თავის მოგონებებში წერს:

„კავკასიის მთავარმართებელთან გამართულ სალამოებს თავისი ბრწყინვალებით თავისუფლად შეეძლო მეტოქეობა გაეწია სატახტო ქალაქების ბალებისათვის, ხოლო მოწყობილობითა და სტუმართა ნაციონალური ნაირფეროვანებით იგი გაცილებით მაღლა იდგა.

აქ შეგეძლოთ შეხვედროდით ყველა ევროპული და აზიური ერის წარმომადგენლებს. ლამაზმანებს სათვალავი არ ჰქონდათ და მათ შორის, ისე როგორც ორი უპირველესი ვარსკვლავი, ანათებდნენ ნინო გრიბოედოვა და მისი დაი ეკატერინე.

ვოლხოვსკიმ, მათი მამის თავად ა. გ. ჭავჭავაძის ძველმა მეგობარმა, თვითონ მიმიყვანა მის მეუღლე კნეინა სალომესთან და მის ქალიშვილებთან და გამაცნო ისინი“[90].

ასე იყო 1837 წლამდე როზენიანთ სახლში, ვიდრე ისინი არ წავიდნენ საქართველოდან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისის პირველი გიმნაზიის მოწაფეთა ლიტერატურული წრე

გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში თბილისის პირველი გიმნაზიის მოწაფეებს საკუთარი ლიტერატურული წრე ჰქონდათ ჩამოყალიბებული.

თავდაპირველად ეს წრე გიმნაზიასთან არსებულ პანსიონში წარმოიშვა.

ამ პანსიონის ცხოვრებისა და მოწყობილობის შესახებ ცნობებს გვაწვდის პოეტი ლუკა ისარლიშვილი.

„თბილისის გიმნაზიასთან,—წერს იგი, —არსებობდა კეთილშობილთა პანსიონი სახელმწიფო ხარჯზე მყოფ ორმოც მოსწავლისათვის, რომლისგანაც ოცდაათი ადგილი განკუთვნილი იყო უმთავრესად ღარიბ ქართველ თავად-აზნაურთა შვილებისათვის, ხოლო ათი—საქართველოსა და კავკასიის მხარეში მომუშავე რუს მოხელეთა შვილებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პანსიონში ცხოვრობდნენ აგრეთვე სხვა თავად-აზნაურთა და მოხელეთა ბავშვები, მაგრამ საკუთარ ხარჯზე, რომელნიც ვალდებულნი იყვნენ ეხადათ წლიური გადასახადი.

პანსიონში მყოფნი სწავლობდნენ გიმნაზიაში სხვა მოწაფეებთან ერთად, კლას გარეთ კი იმყოფებოდნენ პანსიონის ხელმძღვანელთა მეთვალყურეობის ქვეშ.

ამისთვის პანსიონთან იყვნენ ოთახის ზედამხედველნი, განთქმულნი თავისი სიმკაცრით, ამათ იცოდნენ ერთი-ორი ევროპული ენა, რომელსაც გიმნაზიაში გადიოდნენ.

პანსიონის მთავარი მეთვალყურეობა დაკისრებული ჰქონდა საპატიო მზრუნველს, უშუალო ხელმძღვანელობა და სამნეო ნაწილი კი, დირექტორის მეთვალყურეობის ქვეშ, ინსპექტორს ებარა“[91].

გარეთ თავისუფალ ცხოვრებას შეჩვეული ახალგაზრდობისათვის მეტად ძნელი იყო პანსიონის რეჟიმთან შეგუება.

გიორგი ანდრონიკაშვილი თავის ჯერ ისევ გამოუქვეყნებელ მოგონებებში წერს:

„პანსიონში შესვლის პირველ დღეებში, როგორც გარეთ თავისუფლებისა და შინ მახლობელს ნათესავებში ნებივრობას ჩვეულსა, საშინლად მადარდიანებდა იმ გვარი შეკეტილი მდგომარეობა და რაღაც საპატიმროდ მიმაჩნდა ეს შემწყვდეული ცხოვრება“ 92.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად ამისა, მოწაფეები მაინც ახერხებდნენ თავგართობასა და „პანსიონის კედლების“ იქით გადასვლას.

ზაქარია ჭიჭინაძე გვიამბობს:

„მაშინდელი მოწაფენი კვირაობით მონაწილეობას იღებდნენ კრივში, ჭიდაობაში და მასთან ორთაჭალის ბაღებშიაც ხშირად სეირნობდნენ საქეიფოდ“93.

იმხანად მეტად გავრცელებულ კრივს მოსწავლენი სასწავლებლის კედლებშიაც აწყობდნენ ხოლმე.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სკოლის ამხანაგის მირიან ჭყონიას შვილი ილია ჭყონია თავის მოგონებებში წერს:

„ახალი მიბარებული ყოფილა მამა პანსიონში, რომ ერთ დღეს სასწავლებლის დიდ შუშაბანდიანს დერეფანში კრივი გაუმართავთ. გურულ ბავშს, კრივის უნახავს, კრივი

ჩხუბათ მოჩვენებია და თვალით ტატოს (ნი-კო ბარათაშვილის) ძებნა დაუწყია, რომ შეელებოდა.

უცებ შეუხედავს, რომ ტატო და ერთიც სხვა ამხანაგი ერთმანეთს მუშტს ცემდნენ, მარა არც ერთი, არც ტიროდა, არც იგინებოდა, არამედ ორივეს მოცინარი სახე ჰქონდა და რამდენსაც ერთი მეორეს მუშტს ჩასცხებდა, იმდენს მიაძახებდა „ესეც შენა“. მამა მისულა და ტატოს გვერდში ამოსდგომია გასაშველებლად. ამ დროს მამისთვის თვალი მოუკრავს ტატოსთან მოკრივე ამხანაგს, გამდგარა განზე და ტატოსთვის უთქვამს:

— აბა, ტატო, ეხლა ამ გურულს ეკრივე!—ტატოც მობრუნებულა, და უცებ ისე ლონივრათ ჩაუცხია მამისთვის მუშტი ფერდში, რომ მას ბლავილი დაუწყია. ტატოს ერთი კრივი კიდევ გაუკრავს. გულმოსულ მამას სილა მოუქნევია. სილის გასარტყამათ გაშლილ ტორს მოხვედრია ახლათ მოქნეული მუშტი ტატოსი და მამისათვის ჩაუხლეჩია ნეკი ერთ გოჯამდი.

მამა წაქცეულა და შედგომია სისხლის ღვარი. მოწაფეებს კრივი მიეტოვებინათ და

მამას შემოხვეოდნენ მოსაფერებლად. [illegible] ეროვნული ბიბლიოთეკა
კვირა სამკურნალოში წოლილა მამა და [illegible] კი ექვსი თვე შეხვეული უტარებია ხელი მამას. სამკურნალოში წოლის დღეს მამასთან მოსულა ტატო და უთქვამს:

— მაპატიეთ, ამხანაგო, არ ვიცოდი, თუ თქვენს ქვეყანაში კრივი არ იცოდნენ, თორემ ისე უცებ კრივობას არ დაგიწყებდი.

— არც მე ვიცოდი, თუ თქვენში ცემას სწავლობდნენ, თვარა აქ არ ჩამოვიდოდი,— მიუგია მამაჩემს.

— კრივი რა ცემაა? ეს ხომ ხუმრობაა!— უთქვამს ტატოს.

— კრივი თუ ხუმრობაა თქვენში, „აბა თამაში კაცის კვლა იქნება, მიუგია მამას“[94].

ამგვარი სანახაობანი მალე მიეცა დავიწყებას და თბილისის გიმნაზიის მოსწავლეთა უმრავლესობა გონივრული ხასიათის გასართობებმა და ლიტერატურამ გაიტაცა.

ლიტერატურული საკითხებით მოწაფეთა გატაცებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის გიმნაზიის ქართული ენის მასწავლებელს სოლომონ დოდაშვილს და რუსული ენის მასწავლებელს ნიკოლოზ დემენტიევს, რომელიც

ჩინებულ დეკლამატორად ითვლებოდა სას- ეროვნული ბიბლიოთეკა
წავლებელში.

ახლო ხანში შედგენილ იქნა ლიტერატუ-რის მოყვარულთა წრე, რომელშიაც შე-დიოდნენ: ნიკოლოზ ბარათაშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, ილია ორბელიანი, პეტრე ბაგ-რატიონი, ლუკა ისარლიშვილი, იასე ანდრო-ნიკაშვილი, მიხეილ ბებუთოვი, გარსევან ვართლამოვი, ლევან მელიქიშვილი, ალექსან-დრე მონასტიროვსკი, ივანე ტიტკოვი, მი-რიან ჭყონია, ალექსანდრე იზიუმსკი, დანიი პოდოროჟი და სხვანი.

წრე ხშირად აწყობდა სალამო-კონცერ-ტებს.

შენახულია ცნობა გიმნაზიაში მოწყობილი ერთ-ერთი ასეთი კონცერტის შესახებ.

ილია მეუნარგია წერს:

„ერთხელ სასწავლებელში ქართველ შე-გირდობამ კონცერტი გამართა სასწავლებ-ლის ზალაში. კარგი იყო თუ ცუდი ეს კონ-ცერტი, არავინ იცის, მხოლოდ ეს კია, რომ სომხებმა სასაცილოდ აიგდეს წარმოდგენის მონაწილენი, ეს რომ ბარათაშვილმა შეიტყო, ჯავრის ამოსაყრელად სატირა დასწერა სომ-ხებზე, რომელშიაც სხვათა შორის ზოგიერ-

თი ქართველიც შეამკო. ეს ლექსი თურმე ასე იწყებოდა:

„კონცერტებში დაგვპატიჟეს,
დაგვათვლევინეს ფულები“.

ბარათაშვილის ამხანაგებმა ჩასდეს კონვერტში და ფანჯრიდან გადააგდეს. ერთხანს უცადეს ეფექტს, მაგრამ, რომ არა გამოვიდა რა, ხელახლა გადასწერეს ლექსი—ლევან მელიქიშვილმა გადასწერა—და როცა სასწავლებელში მოვიდა ფოსტის დამტარებელი, ლექსი „კნილაში“ ჩაუდეს დაბეჭდილის პაკეტით. პეტრე ბაგრატიონმა ჩაწერა ამ „კნილაში“, რომ პაკეთი მირთმევოდა თავად-აზნაურობის წინამძღოლს თ. ფალავანდიშვილს.

ალბათ დიდი რამ საწინააღმდეგო უნდა წერებულიყო ამ ლექსში, რომ მთავრობამ ასე დიდი ყურადღება მიაქცია იმას. რომ ვერ გაეგოთ, ვისგან იყო გამოგზავნილი ლექსი, ბეჭედზე დაწერილი გვარი დაუმახსოვრებინათ — ეს ბეჭედი ბარათაშვილის ამხანაგის მონასტირსკისა იყო—და ერთხელ, როდესაც სასწავლებლის მებუფეტეს წიგნი მიეწერა ვილასთვისაც და წიგნი მონასტირსკის ბეჭდით დაბეჭდა, ფოსტამ, რო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მელიც გაფრთხილებული იყო, ბეჭედი იცნო, მებუფეტე დაიჭირა და მთავრობას წარუდგინა.

იმავე საღამოს სასწავლებელში მოვიდნენ უეცრივ: ჟანდარმის ოფიცერი, პროკურორი, პოლიციის უფროსი. შეიხმეს ოთახში მონასტირსკი და დაუწყეს კითხვა. ამხანაგებმა კაცი აფრინეს ტატოსთან (ტატო თუმცა პანსიონში იყო, მაგრამ ღამ-ღამე შინ მიდიოდა).

მთავრობამ სულყველაფერი შეიტყო და საქმე ასე დაბოლოვდა: მთავარ-მართებლის გოლოვინის ბრძანებით დამნაშავენი: ნიკო ბარათაშვილი და პეტრე ბაგრატიონი გაიგზავნენ თავიანთ მშობლებთან დასასჯელად.

ამ ბრძანების თანახმად, ტატო წაუყვანეს მის მრისხანე მამას. პროცესია ამრიგად მიდიოდა: წინ მიდიოდა დამნაშავე, იმას უკან მისდევდა გუვერნიორი და გუვერნიორს დარაჯი „როზგით“. ადვილად წარმოსადგენია, რაც დღე დაადგებოდა ამ თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ვალტერს თავის სატირისათვის. იმის სიხარულით, რომ შვილი სკოლიდან არ გამოურიცხეს, მამამ კინაღამ სული არ ამოართვა, იმდენი სცემა“[95].

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრე კითხულობდა და სწავლობდა [illegible]რად ქართველ კლასიკოსების თხზულებებს, რომელთა უმრავლესობა მაშინ ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა.

დასახელებული წრის წევრი პოეტი ლუკა ისარლიშვილი თავის დღემდე უცნობ ერთ მოგონებაში გვიამბობს:

„ჩვენ ვკითხულობდით ვეფხის-ტყაოსანს, ზეპირად ვიცოდით ვისრამიანი, ჩახრუხაძე, ჭავჭავაძე“[96].

წრის წევრებს სოფლად არდადაგებზე ყოფნის დროს ჰქონდათ დღის ასეთი განაწილება.

ლიტერატურული წრის წევრი ივანე ტიტკოვი წერს:

„დილით, მზის ამოსვლიდან 11 საათამდე ჩვენ გვაქვს ჩვეულებრივი საკლასო ლექციების რეპეტიცია, თერთმეტზე ვსაუზმობთ, პირველ საათზე ვსადილობთ; ნასადილევს პრაქტიკულად ვვარჯიშობთ ლექსებსა და პროზაში.

თამაშობანი, განსაკუთრებით ცხენით გასეირნება, თვალწარმტაც ველებზე ან მაცოცხლებელი წყაროს ნაპირას, ერთგვარ სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხლეს აძლევს გულსა და გონებას. სათ-მოობით ვკითხულობთ პერიოდულ გამოცე-მებს ან ვქექავთ საშინაო ბიბლიოთეკას.

ავდარში გვიყვარს საუბარი მოხუცებთან, ან ცეცხლის პირას ძველი ხალხის ნაამბობ-თა მოსმენა, მათი ეროვნული სიმღერებისა და ანდაზების მოსმენა“[97].

1829 წელს პუშკინის საქართველოში ჩა-მოსვლისას, როცა პოეტის ნაწერების ქარ-თულად „გადმოლექსვა“ საერთო თავგამო-საჩენ საქმედ გადაიქცა, თბილისის პირველი გიმნაზიის ლიტერატურული წრის წევრე-ბიც სხვებს არ ჩამორჩნენ. მით უმეტეს, რომ მაშინ, როგორც ამას ილია ჭყონია მოგვი-თხრობს, „წესად ყოფილა მიღებული, გიმ-ნაზიის კურსის დასრულების დროს, სამ-შობლო ენაზე ეგზამენზე მოსწავლეს უნდა წარედგინა საეგზამენო კომისიისათვის თარ-გმანი ერთი რამ დასრულებული თხზულები-სა რუსულიდან. სათარგმნი თვით მოწაფეს უნდა აერჩია“[98].

ამის გამო მოსწავლენი წინასწარ ემზადე-ბოდნენ თარგმნაში. მათი კალმის ნავარჯი-შები იკითხებოდა სასწავლებელთან არსე-ბულ ლიტერატურულ წრეში და „ჰეყნდე-

ბოდა“ ხელნაწერ ჟურნალებში, რომლებსაც მოსწავლენი სცემდნენ ქართულ და რუსულ ენებზე.

ყველაზე მეტი მთარგმნელები ჰყავდა პუშკინს.

მაგრამ ყველა თარგმანი როდი იდგა სათანადო სიმაღლეზე.

ლუკა ისარლიშვილის სიტყვით: „ერთ შეგირდს, გვარად ვარლამოვს, გადაეთარგმნა პუშკინის „ევგენი ონეგინიდან“ რამდენიმე კარი. მოგეხსენებათ ეს პოემა,—განაგრძობს ისარლიშვილი—დიდის პოეტისა იწყება ასე:

Мой дядя самых честных правил,
Когда не в шутку занемог...

ვარლამოვს თარგმანი არავისათვის ეჩვენებინა ჯერ, თუმცა არ მალავდა, რომ თარგმნიდა პოემას, და თავისი რვეული ცხრაკლიტულში ჰქონდა შენახული. ბარათაშვილს იმდენი უცდია, რომ მოუპარავს რვეული და ერთ დღეს, როდესაც მასწავლებელი ჯერ კლასში არ შემოსულიყო, წამოდგა და დააჩუმა ამხანაგები:

— სუთ, ყური დამიგდეთ, ევგენი ვთარგმნე და მინდა წაგიკითხოთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვარლამოვმა ყურები გამოცქვიტა და ბა-
რათაშვილმა დაიწყო ხმამაღლა:

„ბიძა ჩემი დიდთა პატიოსანთა კახოხთა
როდესაც ხუმრობა გაშობით ავად
გახდა...“

თქმა არ გაეთავებინა, რომ ვარლამოვი მივარდა მკითხველს, რომ მასწავლებელი არ შემოსულიყო ამ დროს კლასში და სიჩუმე არ ჩამოეგდო, იმ ხარხარში, რომელიც ატყდა ამის კითხვის დროს, ვარლამოვი ცემას უპირებდა ეშმაკ-პოეტს“[99].

1833 წლის დასაწყისიდან წრე ხელთნაწერი ქართული ალმანახის გამოცემას შეუდგა. თბილისის გიმნაზიის ლიტერატურული წრის წევრთა თხზულებათა გარდა ამ ალმანახში შეტანილ იქნა როგორც პროფესიონალური მწერლების, ისე არა პროფესიონალურ ავტორთა ნაწერებიც, რომლებსაც არავითარი კავშირი სასწავლებელთან არ ჰქონდათ.

უახლოეს ხანში ალმანახი მომზადებულ იქნა და 1833 წლის დასასრულს ის „გამოვიდა“ კიდეც.

ეს მრავალმხრივ საინტერესო და საყურადღებო ალმანახი ამჟამად ინახება საქართვე-

ლის მუზეუმის პალეოგრაფიული განყოფილების ყოფილი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდში და ჩაწერილია № 2684-ით.

სამწუხაროდ, ალმანახს გარეკანი არ აქვს, ამიტომაც ჯერჯერობით ძნელია ითქვას, თუ რა ერქვა თბილისის გიმნაზიის ლიტერატურული წრის ერთდროულ ორგანოს.

ალმანახი ჩვეულებრივი ზომის რვეულის სახეს ატარებს, ტექსტი დაწერილია მოთეთრო სქელ ქაღალდზე ალმანახის რედაქტორ-გამომცემელის მიხეილ თუმანიშვილის ხელით.

ალმანახის ფურცლებს უზის პაგინაცია (არაბული ციფრებით), საიდანაც ვტყობილობთ, რომ თავდაპირველად ჟურნალში 22 ფურცელი ყოფილა, მაგრამ ამჟამად ალმანახს შუაში 11 და 12 ფურცელი აკლდა.

ალმანახი ოთხ განყოფილებას შეიცავს, რომელთაგან ფურცლების (11 და 12) დაკარგვის მიზეზით მესამე განყოფილება უსათაუროდ და თავნაკლულადაა წარმოდგენილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომყავს ალმანახის განყოფილებათა სათაურები, მათში მოთავსებულ ნაწარმოებთა და ავტორთა სია.

პირველი განყოფილება

პოეზია აპოლოგიური. ზღაპარი.

1. ვირი და ბულბული. რუს. თ. გრიგოლ ორბელიანოვი, 2. ვარდი და ია. თ. ნიკოლოზ ბარათოვი, 3. ფოთოლნი და ფესუინი. რუს. თ. მიხაილ თუმანოვი, 4. ჭრიჭინა და ჭიანჭველა. რუს. თ. გრიგოლ ორბელიანოვი, 5. ნარგიზი და ყაყაჩო. თ. ნიკოლოზ ბარათოვი, 6. სირი და ჭვინტა. რუს. თ. მიხეილ თუმანოვი, 7. ნადირთა ჭირი. თ. გრიგოლ ორბელიანოვი, 8. ვარდი და ბულბული. თ. ნიკოლოზ ბარათოვი 9. სოფლელნი და მდინარე. თ. გრიგოლ ორბელიანოვი, 10. ბაყაყნი მთხოველნი მეფისა. თ. მიხაილ თუმანოვი.

მეორე განყოფილება

პოეზია. ბუკოლიური. იდილია.

1. მირტილი. თ. მიხეილ თუმანოვი, 2. დაუდგრომელი მწყემსი და კეთილი მწყემსა ანუ კომბლე და ხლოე. თ. გ. ორბელიანოვი, 3. მთოვარე. თ. ალექსანდრე ორბელიანოვი.

ამ ლექსის შემდეგ რვეულში ამოვარდნილია, როგორც აღვნიშნე, ორი ფურცელი, ამის გამო საფიქრებელია, რომ ამ განყოფილებაში რამდენიმე ლექსი უნდა აკლდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე განყოფილება

1. ამავე მიზეზის გამო მესამე განყოფილების წარწერა, სათაური და დასაწყისი დაკარგულია და ამჟამად პირველი ადგილი უკავია თავნაკლულ ეპიზოდს „ვეფხის ტყაოსანიდან“, სახელდობრ როსტევან მეფის მიერ ნადირობის დროს უცხო ყმის (ტარიელის) ნახვის ამბავს, რომელიც იწყება ტაეპით: „გაბედით და სიხარულით ჩალანა და ჩანგი ტკბილი“ შ. რუსთველი, 2. კავკასიური მოთხრობა. თ. ნიკოლოზ ბარათოვი, 3. ოსური მოთხრობა (პოემა). თ. გიორგი დ. ქსნის ერისთავი, 4. პოემიდგან კავკასიის ტყუე. რუსულიდ. მ. თუმანოვი.

მეოთხე განყოფილება

პოეზია. დიდაქტიური. აღსაწერი.

1. შემოღამება მთაწმინდაზედ. თქ. თ. ნიკოლოზ ბარათოვისა, 2. კახეთი. თ. მიხეილ თუმანოვი, 3. თოვლი. თ. დავით ბ. მაჩაბელოვი, 4. რომანსი („ავდარში ღამით შემოდგომისა“). რუს. დ. კორლანოვი, 5. იარაღისადმი (ავტორი აღნიშნული არ არის, მაგრამ ესაა გრ. ორბელიანის ცნობილი ლექსი, რომელიც 30-იან წლებში ხელთნაწერის სახით ხელმოუწერლად ვრცელდებოდა). 6. როს ნაპოლეონ შვიდ მეფით. (ლექსი) ავტორი ნაჩვენები არ არის. 7. დასასრულს მოთავსებულია ერთი ხანა „ვეფხის-ტყაოსნიდან“, რომელიც იწყება სიტყვებით: „ილოცვის, იტყვის“...

ქართველი კლასიკოსების შესწავლასთან ერთად წრე კითხულობდა და ეცნობოდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორც რუსულ, ისე ევროპულ ლიტერატურასაც.

„გიმნაზისთა ინტერნაციონალურმა შემადგენლობამ,—წერს მიხეილ გიორგის-ძე თუმანიშვილი,—რუსი მწერლების ყოფნამ საქართველოში, ყოფილ დეკაბრისტებთან ურთიერთობამ, უცხოელებთან შეხვედრამ ხელი შეუწყო რუსული და ევროპული ლიტერატურის შეტანას გიმნაზიის წრეში.

ახალგაზრდათა. წრე მხურვალედ ეწაფებოდა მსოფლიო ლიტერატურის ნაწარმოებებს, იგი თვითგანათლების გზით ავსებდა ხოლმე იმას, რისი მიცემაც მეფის სკოლას არ შეეძლო.

პუშკინმა და ლერმონტოვმა, ბაირონმა და მიცკევიჩმა, დერჟავინმა და კუკოლნიკმა, ბარიატინსკიმ და მარლინსკიმ ძლიერი გავლენა მოახდინეს თბილისის ახალგაზრდობაზე"[100].

ქართულ ენაზე ალმანახის გამოცემიდან ორი წლის შემდეგ თბილისის გიმნაზიის ლიტერატურული წრე რუსული პერიოდული ორგანოს გამოცემას შეუდგა.

1835 წლის ივნისში გამოვიდა დასახელებული წრის რუსული ლიტერატურული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟურნალის „Цветок Тифлисской гимназии"-ს პირველი ნომერი.

ჟურნალის პირველი ნომრის ყდაზე წერია სათაური, აღნიშნულია თანამშრომელთა სახელი და გვარები, რედაქტორი და თარიღი. მომყავს იგი უცვლელად:

Цве(ток)

Тифлисской гимн(азии)

Журна(л)

Словесности, наук, художеств, промышлености и повестей.

Составленный из класных упражнений Кн. И. Андроникова, Кн. Н. Баратова, Кн. М. Бебутова, (Б. Бежанова), Г. Варламова, Е. Вилемса, (А. Юзюмскаго), А. Монастирскаго, Л. Меликова, (Даний Подор. . . . го), И. Титкова, Кн. М. Туманова и прочих.

Книжка первая

Место печати

Тифлис

1835 « » Мая, Кн. М. Бебутов, издание Кн. М. Туманова.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Программа

Журнал, под названием, Цветок Гимназии, с 1-го мая 1835 года выходит ежемесячно.

Каждая тетрадь заключает в себе не менее 12 листов.

В сем журнале участвуют почти все известные своими дарованиями и произведенями в стихах и прозе ученики Тифлисской Гимназии, имеет предметом одну общую пользу — развить умственныя способности учащихся и тем достигнуть цели, предназначаемой наставниками.

Цветок Гимназии Сообразно с содержанием помещаемых в нем сочинений разделяется на 6 отделений:

I

Русская Словесность

Стихотворения: Новые стихотворения в сем роде отличавшихся учеников. Проза. Повести, Описания, Письма, Разсказы, Путешествия, История и тому подобныя.

II

Иностранная Словесность

Переводы прозаическия и стихотворения, статей как Азиатских, так и Европейских языков.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

III

Наука и Художества

Разсуждения о разных предметах, касающихся до Всеобщей Истории, Древностей, Естественной Истории, Географии, Изящных Художеств.

IV

Промышленность и сельское хозяйство.

Рассуждения о разных отраслях промышленности торговли. Опыты сельского хозяйства, ремесел и описания завод, машин и фабрик.

V

Критика

Разборы сочиненний в стихах и прозе и других.

VI

Смесь

Разныя любопытныя замечания, известия о новостях и проч..

საქართველოს მუზეუმის პალეოგრაფიულ განყოფილებაში დაცულია აღნიშნული ჟურნალის ოთხი ნომერი, სულ კი გამოსულა

ხუთი წიგნი, მეოთხე ნომერი ჯერჯერობით დაკარგულია, მაგრამ მის შინაარს ჩვენ ვგებულობთ მეხუთე ნომრის მეშვეობით.

პირველი ნომრიდან ჩვენამდე მოვიდა 18 გვერდი და ისიც უამრავი შესწორებით. გადარჩენილ ნაწილში მოთავსებულია აღმოსავლური ზღაპარი „ბედნიერება“ და მიხეილ თუმანოვის პროზა „ქართლში ჩასვლა“ („საღამო გორის გზაზე“).

№ 2 შენახულია მთლიანად (63 გვ.) მასში მოთავსებულია ლექსები ე. ვილემსისა — „მეგობრებს“, „თავ. მ. თუმანოვს“ და მ. თუმანოვისა—„კავკასია“, აგრეთვე მ. თუმანოვის პროზა „თელეთობა“, იასე ანდრონიკოვისა „წერილებიდან კახეთზე“, ა. მონასტირსკისა—„ბრძოლა მთიელებთან“ (რუსი ოფიცრის ნაამბობი), ნ. ვილემსისა—„გერმანული ანეგდოტები“ და „გამოუცდელობა“ (არაკი), მ. ბებუთოვისა—„რომაელთა ზნე-ჩვეულებებზე“. აქვე მოთავსებულია „ვისრამიანიდან“ თარგმნილი ნაწყვეტი „შაჰროს მოთქმა ვისზე“.

№ 3 (74 გვ.)—ლექსები მ. თუმანოვის— „პოეტი და ალმაფრენა“, „ელეგია“, „განმარტოება“, „ტოტი და ობოლი“, ე. ვილემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისა—„ველიზარი ნარგიზის კართან“, მ. ბებუთოვის პროზა „ერმაკის სიკვდილი“, ი. ტიტკოვისა—„წერილები სოფლიდან“, ი. ანდრონიკოვისა—„მოხუცის ნაამბობი“, ხოლო ისტორიულ განყოფილებაში—სტატიები მ. თუმანოვისა „ერეკლე II მეფობა“ (თარგმანი ს. დოდაშვილიდან) და „შეხედულება ძველი მსოფლიოს ამბებზე“.

№ 4 მოთავსებული ყოფილა ლექსები გ. ვარლამოვისა—„ელეგია“, „საღამო ტბის მიდამოებში“, მ. თუმანოვისა — „კახეთი“, „ტყის სიზმარი“, ე. ვილემსისა „თავ. მ. ბებუთოვს“, პროზა გ. ვარლამოვისა—„ფურცელი კახეთზე“, ნ. ბარათაშვილისა—„წერილი სოფლიდან“, „პაპის ხელისუფლების შესახებ“, (1. პაპიზმის განდიდების შესახებ, 2. მისი დაცემის შესახებ) და „ვისრამიანის“ ნაწყვეტის თარგმანი, ლ. მელიქოვისა—„წერილები საქართველოდან“, გ. გასპაროვისა—„ქოხი“, ა. მონასტირსკისა—„სასაფლაო“, ი. ტიტკოვისა—„რა ხშირად გვიგზავნის განგება მეგობარსა და თანაშემწეს უბედურებაში“, მ. თუმანოვისა—„კობის ციხე“, ი. ანდრონიკოვისა — „ფრანგული ანეგდოტე-

ბი“, მ. ჭყონიასი—„მამის მკვლელობა“, მ. ვილემსისა—„ნატურის პატარა ნაწ[illegible] ახალციხის ფაშალიკში“.

№ 5 (82 გვ.) ლექსები თ. თუმანოვისა—„მფარველ გენიას“ და „მეგობარს“, ე. ვილემსისა—„მსოფლიოს ამაოება“, პროზა ე. ვილემსისა—„მეფე ერეკლე II და თათარი ალავერდა“, მ. ბებუთოვისა—„მოგზაურობა სომხეთში“, ს. დოდაშვილის „ქართული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა“ (თარგმანი მ. თუმანოვისა) და მ. თუმანოვის—„საერთო ცნება საშუალო საუკუნეთა მდგომარეობის შესახებ“.

„ცვეტოკის“ უკანასკნელი მეხუთე ნომერი გამოვიდა 1836 წლის თებერვალში. შემდეგი წიგნების გამოცემა მასალის უქონლობის გამო ველარ მოხერხდა, თვითონ წრეც რამდენიმე ხნის შემდეგ დაიშალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალი თბილისში 1837 წლის 10 ოქტომბერს

დანტესისთან დუელში ნიკოლოზ პირველის ტყვიით გულგანგმირული ალექსანდრე სერგეის-ძე პუშკინი სვიატოგორსკის მონასტერში განისვენებდა, „რუსული პოეზიის მზის“ თავიდან მოშორებით გახარებული სისხლისმსმელი მონარქი კი რამდენიმე ხნის შემდეგ საქართველოსაკენ გამოემართა.

1837 წლის ოქტომბრის რვას დილის ოთხ საათზე შემოვიდა იგი „ცხელი ციმბირის“ (როგორც წინათ ეძახდნენ ამ მხარეს) სატახტო ქალაქ თბილისში.

მეორე დღეს გაიმართა ჯარების აღლუმი.

„ქართველი თავადები,—წერს ისტორიკოსი პოტო,—ასი და ორასი ვერსის სიშორიდან მოდიოდნენ თბილისს, თან ახალგაზრდა შვილები მოჰყავდათ, რომ ხელმწიფესთვის ეჩვენებინათ და მონაწილეობა მიეღოთ დღესასწაულში“[101].

ალბომში მონაწილე ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში იმხანად იმყოფებოდა რუსეთის გამოჩენილი პოეტი მიხეილ იურის-ძე ლერმონტოვი, რომელსაც იმპერატორმა ჯარების გასინჯვისას აპატია „დანაშაული“ და კვლავ გვარდიაში, გროდნოს გუსართა პოლკში გადაიყვანა კორნეტის ჩინით.

ამ ალბომზევე ნიკოლოზ პირველმა ფლიგელ-ადიუტანტობა ახადა საქართველოს მთავარმართებლის ბარონ გრიგოლ ვლადიმერის-ძე როზენის სიძეს, პუშკინიანთ ოჯახის ნათესავს ალექსანდრე ლევანის-ძე დადიანს.

ელისაბედ ყაზბეგი თავის მემუარებში შემდეგნაირად აგვიწერს ამ ამბავს ალექსანდრე ყაზბეგის დედის კეკესა და ბებიის სოფიოს დიალოგში:

„კეკე, ხომ გახსოვს ნიკოლოზ ხემწიფის მობრძანება და იმისი ყაბახზე ჯარების გასინჯვა? ღმერთო ჩემო, რა ამბავი იყო! იმის მრისხანე ხმა ეხლაც რომ მომაგონდება, შემაშინებს ხოლმე... გახსოვს ბარონ როზენის სიძეს დადიანს (ტომით რუსს) ექსილბანდები რომ თავისი ხელით ააგლიჯა?

— ქა, როგორ არ მახსოვს, კნ. მანანა ორბელიანის სახლის აივანზე ვისხედით, რომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც ყაბახს ზედ გარდაჰყურებდა. ბარონის ცოლს და ქალს გულები შემოეყარათ და ერთი წიოკობა გაიმართა.

— შენ ხომ გაიგონე, ხელმწიფე რისთვის გაუწყრა დადიანს? პოლკის უფროსათ იყო და სალდათებს მრავლობით და ურიგოთ თურმე იმსახურებდა: ზოგი მელორეთ დაეყენებინა, ზოგი მეცხვარეთ, მებატეთ და სხვ. ამასთან ამბობდნენ, რომ სხვასაც ბევრ რასმე სჩადიოდა უკანონობას და სალდათებმა უჩივლეს“[102].

10 ოქტომბერს ყოფილ სემინარიის შენობაში (სადაც ამჟამად სასტუმრო „პალასოტელია“) ქართველმა თავადაზნაურობამ ბრწყინვალე ბალი გაუმართა იმპერატორს.

სწორედ იმ დღეს მოვიდა კოკისპირული წვიმა, ქუჩები ისე ატალახიანდა, რომ შეუძლებელი შეიქნა ერთი კუთხიდან მეორე მხარეზე გადასვლა.

„რა უნდა ექნათ,—წერს პოეტი ი. გრიშაშვილი,—დაპატიჟებულ სტუმრებს? ბალზე დასწრება სიცოხლედ ულირდათ. დაიქირავეს კურტნიანი მუშები და ასე ხელში აყვანილები გადატანილ იქმნენ მეორე მხარეს“[103].

სხვა სტუმართა შორის ბალზე მოწვეული იქნა ინგლისელი მოგზაური კაპიტანი ჩარლ ვილბრეჰამი.

თავის მოგონებაში ვილბრეჰამი გვიამბობს:

„როდოფინკინმა მიმიპატიჟა სადილზე და მთხოვა გავყოლოდი ბალში, რომელიც იმპერატორის აქ ყოფნისას მოეწყო. აქ მე ფრიად გავერთე ჩემთვის ახალი სცენებით. როდესაც ჩვენ მივედით, რვა საათზე ცოტა მეტი იყო, ძაგრამ გასასვლელები და სასტუმრო ოთახი უკვე სავსე იყო ხალხით.

მამაკაცების უმრავლესობა ჯგუფებად იდგა ოთახის შუაგულში, ნაწილი კი ბრძოლაში იდაყვებით იკაფავდა გზას. ქალები ჩამწკრივებულნი ისხდნენ კედლების გასწვრივ ჩამოლაგებულ სკამებზე.

საცეკვაო დარბაზს უკან მოჰყვებოდა გრძელი რიგი ოთახებისა და თავდებოდა პატარა რვაკუთხიანი ბუდუარით, რომლის კუთხეებზე განლაგებული სავარძლები გიზიდავდნენ თავისი სიმშვენიერით.

ქართული ტანსაცმელი გაცილებით უხდებოდათ მამაკაცებს, ვიდრე ქალებს. ისინი დიდს უპირატესობას აძლევდნენ

ბიბლიოთეკა

სომეხი სოვდაგრების გვერდით, რომლებიც თავიანთ ერთობ მოკრძალებულ ტანსაცმელ-ში იყვნენ გამოწყობილნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალს ესწრებოდნენ თათრებიცა და სპარსელებიც. ასე რომ, რომელიმე ევროპიელი რომ მოგვეყვანათ აქ, რომელსაც წინასწარ არ სცოდნოდა სად იმყოფებოდა, ალბათ, მასკარადზე ეგონებოდა თავისი თავი, იმდენად ნარევი ხალხი იყო შეყრილი.

მოხუცი მუშტაიდიც აქ იყო, რომელმაც ჩამჭიდა ორივე ხელი და პირდაპირ გადამაყოლა შეკითხვებს, განსაკუთრებით მელაპარაკებოდა თავისი სამშობლო ქვეყნის შესახებ.

ცხრა საათზე იმპერატორი მოვიდა და ბალიც დაიწყო. მისმა დიდებულებამ თვითონ გახსნა იგი“ 104.

ნიკოლოზ პირველმა პირველი პოლონეზი იცეკვა მართა სოლოღაშვილის ქალთან.

„იმპერატორი,—წერს პოტო, — მხიარული იყო და მან პირველი პოლონეზი იცეკვა სილამაზით გამოჩენილ მართა სოლოღაშვილის ქალთან (შემდეგ თავად ალექსანდრე ერისთავზე გათხოვილი), ხოლო მერე—ქალაქის თავის სარაჯიშვილის ცოლთან“105.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებული თავაზიანობით ექცეოდა ხელმწიფე ბალზე გრაფინია სიმონიჩს, ნინო ჭავჭავაძე—გრიბოედოვას. და მაიკო ორბელიანს.

ბალის დამსწრე გვიამბობს:

„იმპერატორი განსაკუთრებით ყურადღებიანი იყო გრაფინია სიმონიჩთან, გრიბოედოვასთან და მაიკო ორბელიანთან“[106].

ევროპულ ტანისამოსში გამოწყობილი რამდენიმე ქართველი მამაკაციც აჰყვა პოლონეზის ცეკვას და მთელი დარბაზი აჩაუქრდა.

რიჩარდ ვიბრეჰამი გადმოგვცემს:

„რამდენიმე ქართველიც ევროპულ ტანსაცმელში გამოწყობილი შეუერთდა ცეკვას. ამის შემდეგ დაიწყო კიდევ სხვა პოლონეზი და ოთახის გრძელ რიგში ისე გავრცელდა ეს სეირნობა, რომ ბევრ მათგანს მუსიკის ხმაც არ ესმოდა.

დიუფალი დადიანის დედა და და ესწრებოდნენ ბალს და მე ვგრძნობდი მთელ მწუხარებას ამ ქალებისას, რომელთა მხიარულება აქ ძალდატანებითი იყო, რის საწინააღმდეგოსაც ისინი გამოხატავდნენ ტირილისაგან დაწითლებული თვალებით“[107].

ეჭვი არაა, რომ ამ ბალს დაესწრო მიხეილ ლერმონტოვიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ახალგაზრდა პოეტი,—წერს სრულიად სამართლიანად მწერალი ლევან ასათიანი,— და დრაგუნთა ოფიცერი ლერმონტოვი, ალბათ, დაესწრო ამ ბალს და საფიქრებელია, რომ შეხვდა გამოჩენილ წარმომადგენლებს მაშინდელი ქართული საზოგადოებისას: ალექსანდრე ჭავჭავაძეს, რომელიც წინათ ლერმონტოვთან ერთად გუსართა გვარდიის პოლკში მსახურობდა, გრიგოლ ორბელიანს, მაშინ ახალგაზრდა შტაბს-კაპიტანს, ახლად დაბრუნებულს რუსეთიდან და იქნებ ნიკო ბარათაშვილსაც, ოცდაერთი წლის ჭაბუკ პოეტს, რომელსაც უკვე დაწერილი ჰქონდა „შემოღამება მთაწმინდაზე“ და „ფიქრნი მტკვრის პირად“. ამ დროს თვით ლერმონტოვი ოცდა სამი წლისა იყო“[108].

ბალზე დამსწრე თურქებს თავი მეტად ცუდად ეკავათ.

მოწმე გვიამბობს:

„ბალზე იყვნენ ბევრი თათარნი, რომლებმაც ბალი ბაზრად გახადეს. ერთმა მათგანმა,

ვგონებ შირვანელმა მუსტაფა-ხანმა, გაიძრო ჩექმები და უბრძანა მსახურს საჯაროდ [illegible] ხანა მისთვის ფეხის გულები“[109].

პოლონეზი კადრილმა შეცვალა, კადრილი ლეკურმა, ლეკური კი ვალსმა.

რიჩარდ ვიბრეჰამი წერს:

„კადრილის ცეკვაც დამთავრდა. რამდენიმე ქართველმა იცეკვა ლეკური. იმპერატორი დიდხანს არ დარჩენილა და როდესაც ოთახში ხალხი ცოტათი შეთხელდა, მცირე ჯგუფმა დავიწყეთ ვალსი.

ჩემი დამა დიუფალი კატინკა (ეკატერინე ჭავჭავაძე), ლამაზი ქართველი ასული, თავისუფლად ლაპარაკობდა ფრანგულს, მისი მიხვრა-მოხვრა და ტანსაცმელი ევროპული იყო.

აქვე იყო მისი და, მადამ გრიბოედოვა, ქვრივი რუსეთის გაუბედურებული ელჩისა, რომელიც მოკლულ იქნა თეირანში. მათი მამა გენერალია რუსეთის სამსახურში.

აქაური ადათი უკრძალავს ქალებს ერთჯერ მეტად შემოუარონ წრეს ერთდაიმავე ჯენტლემენთან, ამის გამო იყო მუდმივი ცვლა დამებისა“[110].

ბალის დასასრულს გაიმართა ვახშამი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგივე ვიბრეჰამი გადმოგვცემს:

„ვახშამი გაიმართა ძალზე გვიან, მეტად ლამაზ სტილზე და როგორც კი ქართველებმა მეზარხოშება დაიწყეს, მე გამოვეთხოვე მათ და შინისაკენ წამოველ“[111].

ბალის შემდეგ გამართულმა ვახშამმა შუაღამემდე გასტანა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარიამ ორბელიანის სალონი

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის საჯარო აქტებს ქალები ჩვეულებრივად არ ესწრებოდნენ ხოლმე, მაგრამ ამ აქტების წაბაძვითვე 1828 წელს სასკოლო არდადაგების დროს მარიამ ივანეს-ასულ ორბელიანის სახლში მოწყობილ იქნა აქტისნაირი წარმოდგენა.

დიმიტრი ყიფიანი თავის მემუარებში ამის გამო წერს:

„... წარმოდგენაზე მანდილოსნები არასდროს არ ყოფილან. არ შეიძლება კი, რომ მათს ცნობისმოყვარეობას არა ნდომებოდა ერთხელ მაინც გაგება იმისი, თუ რა ხდებოდა იქ.

თბილისის მაშინდელ მანდილოსანთა მცირე ჯგუფში შუქურვარსკვლავივით ბრწყინავდა ორი თავადის ქალი: ნინო ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული, შემდეგში მეუღლე გრიბოედოვისა, და მარიამ ივანე ორბელია-

ნის-ასული, შემდეგში დედა ფელდმარშალ თავად ბარიათინსკის მეუღლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოინდომეს ამათ სასწავლო აქტის შინაურულად წარმოდგენა.

ვის შეეძლო მოსვლოდა აზრად, რომ ქართველთა სილამაზის საუკეთესო წარმომადგენელთათვის ასეთი უმანკო სურვილი დაეშალა.

რასაკვირველია, არავის.

და გამართეს აქტისნაირი წარმოდგენა.

ოფიციალური მოხელეები, რასაკვირველია, წარმოდგენას არ დასწრებიან. იყვნენ სულ ნათესავები თავადის ასულებისა.

ეს იყო არდადაგების დროს, ე. ი. სწავლისაგან თავისუფალ დროს, თავადის ასულ მარიამ ორბელიანის სახლში.

წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ უფროსი კლასების ხუთიოდ-ექვსი მოწაფე, მათ რიცხვში გახლდით მეც.

წარმოდგენილმა აქტმა ძალიან კარგად ჩაიარა და თავბრუდამსხმელი მადლობის ღირსნი გაგვხადეს.

გაიარა არდადაგების დრომ, დაიწყო სწავლა...

სასწავლებლის მართველობამ შიპულინის მეთაურობით თავისი უფროსული მრისხანე-ბის უანგარიშო მეხი თავზე გადმოგვაყარა: „როგორ და რანაირად? როგორ თუ თქვენ ეს გაბედეთ?

თავის მართლება—არც ერთი სიტყვით! ეს კიდევ ცოტაა: გადაწყვიტეს ამ საშინელი თავხედობისათვის ექვსივე კაცი სამაგალი-თოდ დაესაჯათ: გაეწკეპლათ ყველანი და გაეწკეპლათ ყველა კლასში, რომ მოწაფეებს დაენახა!

თავის მოკვლა ქართველებს სამარცხვი-ნოთ მიაჩნიათ; მაგრამ ჩვენ მზათ ვიყავით ამისათვის, რომ მაშინდელ მნათობთა ყოველ შემძლებელი სილამაზე ენერგიულად არ გა-მოგვსარჩლებოდა და არ დავეხსენით.

მერე რაში იყო ჩვენი დანაშაული?

ეს ჩვენთვის არავის არ განუმარტავს“[112].

როგორც ქართული, ისე უცხოური მწერ-ლობის საუკეთესო მცოდნემ მარიამ ორბე-ლიანმა უახლოეს დროში „ლიტერატორი ქალის“ სახელი დაიმსახურა.

მის სალონში ყოველთვის ნახავდა კაცი როგორც ქართველ პოეტებს, მწერლებსა და პოლიტიკურ მოღვაწეებს, ისე რუს და ევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

როპიელ მწერლებს, მოგზაურებსა და სხვადასხვა სამსახურებრივი და არასამსახურებრივი მიზნით თბილისში ჩამოსულ პირებს.

მარიამ ივანეს-ასული თვითონ იწვევდა ხოლმე ქალაქში ახლადგაჩენილ მწერალსა თუ მოგზაურს.

ინგლისელი მოგზაური კაპიტანი რიჩარდ ვილბრეჰამი თავის მოგონებაში ასე აგვიწერს მარიამ ივანეს-ასულ ორბელიანთან თავის სტუმრობას:

„მე ვისადილე გრაფ დე-ლა რატი მენტონთან და როდესაც დავბრუნდი, სუვოროვმა შემომთავაზა ლიტერატორ ქალთან წასვლა, რომელსაც განეზრახა ჩემი გაცნობა.

ჩვენ იგი ვნახეთ შილიფად ჩაცმული, ღამის პერანგში და გრძელ ხალათში გამოწყობილი. ის დიდი ჩიბუხიდან თუთუნს წევდა, რომლის ტარი მუხლებზე წამოჩოქილ ქმარს ეკავა.

ჩვენი საუბარი შეეხებოდა ამ ლედის სტატიას, რომელიც რომელიღაც ჟურნალში ყოფილა გამოქვეყნებული. მისი მეუღლე (დიმიტრი ორბელიანი) ძლიერ დამტვრეული ფრანგულით მიხსნიდა ამ წერილის ში-

ნაარსს, ხოლო თვით ლეიდი კი თავდამბლობით ილაშქრებდა მოსიყვარულე ქმარს მიკერძოებული ქების წინააღმდეგ“[113].

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთის გამოჩენილი რომანისტი ალექსანდრე დიუმა, 1858 წელს თბილისში მყოფი, მარიამ ივანეს-ასულ ორბელიანის შესახებ წერდა:

„კნეინა ორბელიანი ეხლა ორმოცი წლისაა, იგი, როგორც ჩანს, ერთი ულამაზეს ქალთაგანი ყოფილა თბილისში. ხრილი, რომელსაც ის იცხებს პირზე, აძლევს მას XVIII საუკუნის ქალის იერს.

მე არასდროს არ მქონია შემთხვევა მენახა ასეთი საპატიო და წარმოსადეგი შესახედაობის ქალი. თუ თქვენ შეხვდით ქუჩაში ფეხით მომავალ კნეინა ორბელიანს, უნებურად მიესალმებით მას, თუ გინდ არ იცნობდეთ პირადად“[114].

სიკვდილამდე შეინარჩუნა სალონის გამგებელმა ეს სიმშვენიერე და 1866 წელს ასეთივე მომხიბლავი და მედიდური ჩავიდა სამარეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურული შეკრებანი ნიკოლოზ ბარათაშვილთან

ორბელიანების ნამზითვი სახლი, სადაც 1841 წლამდე ბარათაანი ცხოვრობდნენ, ერთსართულიანი იყო, ბანიანი, როგორც სხვა ყველა სახლი მაშინ. რვაოთახიანი სადგომი პირდაპირ ქუჩაზე გამოდიოდა, რომელსაც უკან ჰქონდა პატარა ეზო.

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში კურსდასრულებული მელიტონ ბარათაშვილი, ზედმიწევნით მცოდნე ქართული მწერლობისა, აგრეთვე კარგათ მოლაპარაკე რუსულ, სომუხრ და თურქულ ენებზე, მეტად დარდი-მანდი, სტუმართმოყვარე და ხელგაშლილი კაცი იყო.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სკოლის ამხანაგი კონსტანტინე მამაცაშვილი წერს:

„მელიტონის სახლში ნახავდით ძველ ჩვენს სწავლულ ქართველებს, იმათ შორის თითქმის ყოველ დღე მელიტონთან დაიარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა მღვდელი ეგნატე იოსელიანი (მამა მწერლის პ. იოსელიანისა). ეგნატე [illegible] ლიანმა ჩინებულად იცოდა ქართული და სომხური ლიტერატურა, იყო ღრმად მოხუცებული, გაზრდილი მეფის სასახლეში და ძნახველი ჩვენის საქართველოს ცხოვრებისა წარსულს საუკუნეში, მეფის ირაკლიდგან მეფის გიორგის გარდაცვალებამდისინ.

მელიტონის სახლში ხშირად დადიოდნენ პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, ორნი ძმანი ნიკოლოზ და მიხეილ ფალავანდიშვილები, სოლომონ მეითარი თარხნიშვილი, გიორგი და ალექსანდრე საგინოები (დისწულები მელიტონისა) და ბევრნი მაშინდელს დროის განათლებულნი ქართველნი. ნიკოლოზ ბარათაშვილის მამას უყვარდა კარგი ცხოვრება, სიუხვე და პურმარილიანობა; იმისი სადილები განთქმული იყო თბილისში“[115].

ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით:

„მელიტონი დიდი მეპურმარილე კაცი, მის ოჯახში წვეულება დიდად უყვარდათ, მის სახლში დღე მუდამ თონეში პური ცხვებოდა; ორი ყმა კაცი გლეხი მიჩენილი ჰყავდა ყოველ დღე ზამთარ-ზაფხულს თევზი ეჭირნა მტკვარში.

ესეთი დადებითი ხასიათი მელიტონისა იყო ის, რომ სტუმრებად იწვევდა წარჩინე-ბულ პირთ, როგორიც იყო გრიგოლ ორბე-ლიანი და სხვა მსწავლულნი. მას მეტად უყვარდა სუფრაზედ მათი მიწვევა და მათ-თან საუბარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისთვის სტუმრები სულ ერთი იყო, ვინც უნდა ყოფილიყოს: ქართველი, რუსი, სომე-ხი, თათარი და სხვანი, ოღონდ კი ნასწავ-ლი ყოფილიყოს და ლაპარაკი შესძლებოდა, თორემ მელიტონი ყველას სიამოვნებით ჰპატიჟებდა.

საყვარელ სტუმართა შორის ხშირად ნახავდით თბილისში მცხოვრებ პოლონელ პროფესორებსაც. ეს ძვირფასი სტუმრები მელიტონის ოჯახში მოჰყავდა სოლომონ დოდაშვილს, ძრიელ ხშირად თვით სოლო-მონიც მოდიოდა მელიტონის სახლში და სა-დილზედ დროს ატარებდა, მას კაი ლაპარა-კი და კამათი უხდებოდა პოლონელ პროფე-სორებთან“[116].

მელიტონის ამ სადილებსა და ლხინებს ესწრებოდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილის ამ-ხანაგებიც.

თონა მეუნარგიას აღდგენილი აქვს ნ. ბა- ეროვნული ბიბლიოთეკა
რათაშვილის მეგობართა გვარები.

„მწერლობის სიყვარული პოეტს,—წერს ი. მეუნარგია,—ცხოვრებაშიაც გამოჰყვა. სკოლის ამხანაგების მაგივრობას აქ უწევდნენ ის რამდენიმე მწერლობის მოყვარე პირნი, რომლებიც ხვდებოდნენ სხვადასხვა დროს.

ესენი იყვნენ: ზ. ავთანდილოვი, დიმიტრი ყიფიანი, მიხეილ თუმანიშვილი, გიორგი ერისთავი, ლევან მელიქიშვილი, პლატონ იოსელიანი, ალექსანდრე ორბელიანი, ზაქარია ორბელიანი, სოლომონ მალალაშვილი, საპერის ოფიცერი მატინოვი, საპერის ოფიცერი ჭავჭავაძე, კონსტანტინე მამაცაშვილი, ზაქარია ერისთავი, იასე ანდრონიკაშვილი, ივანე სარაჯიშვილი, ზოგიერთი ქართული მწერლობის მოყვარე პოლონელი, როგორიც იყო ზაბლოცკი, სვიმონ მაჩაბელი, ლუკა ისარლიშვილი და სხვადასხვა“[117].

ჩვეულებრივი სადილი ან უბრალო თავის მოყრა ნიკოლოზ ბარათაშვილთან მუდამ იღებდა ლიტერატურული შეკრების ხასიათს.

კონსტანტინე მამაცაშვილი იგონებს:

„იმ დროს თბილისში არაფერი საზოგადო გასართობელი ადგილი არა გვქონდა: არც თეატრები, არც კონცერტები, არც კლუბები. ჩვენი დროს—გატარება იყო ან ერთად სადილი, ან ერთად საღამოზედ ყრილობა.

ხშირად შევიყრებოდით ხოლმე ამხანაგები ნიკოლოზ ბარათაშვილთან. ჩვენი დროს—გატარება იყო: ლაპარაკი მაშინდელს ლიტერატურაზედ, სწავლაზედ, სხვადასხვა ჩვენს გარემოებაზედ. ქართული დარბაისლური მეტყველი ხუმრობა, შექცევა, სიმღერა, ვისაც სურდა, ქაღალდს თამაშობდა, ნარდს, ჭადრაკს.

ქაღალდის თამაშობაში ხანდისხან ნიკოლოზ ბარათაშვილიც მიიღებდა ხოლმე მონაწილეობას, მერმე მეგობრული ვახშამი და ვახშმის შემდეგ სეირნობა მთვარიან ღამეს ქუჩაში და ზოგჯერ ბაღშიაც“[118].

საქართველოს ისტორიული წარსული ამ ლიტერატურული ყრილობების ერთ-ერთი საკითხთაგანი იყო.

იგივე კონსტანტინე მამაცაშვილი წერს:

„ხშირად გვქონდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზედ: ერთ საღამოს ბარათა-

შვილის სახლში გადავწყვიტეთ, რომ [illegible]-გან არა გვაქვს ქართული რიგიანი ისტორია, გავიყოთ V-ის საუკუნიდგან დაწყებული, თითომ თითო საუკუნე აიღოს და შეადგინოს ისტორია იმ საუკუნისა. პლატონ იოსელიანს მიანდვეს დაწერა ძველის საუკუნოების ისტორიისა ქრისტეს წინათ და შემდეგ V-ის საუკუნოემდისინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ ძნელი იყო ამისთანა საქმის ასრულება, რადგანაც მშრომელნიც ცოტანი ვიყავით და საქართველოს ისტორიის მასალები დაფანტული იყო. არ იყო ჯერ შეკრებილი არც ძველი საეკლესიო გუჯრები, არც ბევრი საინტერესო სიგელები თავადების და აზნაურების სახლებში, მარტო მატიანეთ იყო „ქართლის ცხოვრება“[119].

იმხანად ძალიან გავრცელებული იყო სახუმარო გაკამათება ლექსებით. ამ გაკამათებებში მონაწილეობას იღებდა ნიკოლოზ ბარათაშვილიც და მის სახლში მოსიარულე ლიტერატურით დაინტერესებული ახალგაზრდობა.

შენახულია ერთი ასეთი სახუმარ[illegible]მათება ლექსებით ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილისა, მიხეილ თუმანიშვილისა, ელენე ერისთავისა და მარიამ ფალავანდიშვილისა*.

ეროვნული ბიბლიოთეკა

I.

(პირველი სახუმარო ლექსი ნ. ბარათაშვილისა, მ. ორბელიანისა და ვინმე აფაიასესი, რომელიც ელენეს და მარიამის ხნოვანებას ეხებოდა, დაკარგულია).

II.

(პასუხი მარიამ ფალავანდიშვილისა)

მიხეილს.

ლექსი თქვენი გვებოძა დიდად
არეულია,
აფანკასგან შეთხზული თქვენი
საკადრისია,
ჩვენ არ გვშვენის მაგ-გვარი სიბერისა
თქმანია,
ხანი თქვენც არ გაკლიათ,
თუნდ გაჯავრდნეს ვარშაველნი ქალნია.

* ელენე და მარიამ იყვნენ ლუარსაბ ორბელიანის ქალები: ელენე გათხოვილი იყო ზაქარია ერისთავზე, მარიამი ნიკოლოზ ფალავანდიშვილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტატოს.

პალატაში ჯდომითა ხანი. მოგმატ[illegible]
ფეოდოსის ყურებით სევდა
გაგხშირებია,
სათვალეცა თქვენ გშვენისთ,
ყავარჯენიც ხელშია,
ჩვენ არ ვწუხვართ ამ ხანსა, ვაი
თქვენი ბრალია.

ამ ალბომში ოლრო-ჩოლროებია,
ამ თქვენ სატრფოთ აზრი
შემოჰკლებიათ;
ამის მთქმელი უნდა იყოს ქალუა და
ძათუა.
საყვარელი მათი იყოს გალუა და
თაფლუა.

თქვენ ვერ გკადრებთ ამგვარ
შეთხზულებასა,
რადგან ჩემობთ ვარშავის ფრახტობასა;
დავახებოთ ეს ლექსები ჩვენსა პოეტ
ტატოსა;
მისი შემწე ათანასე იქნება.

მარიამ ფალავანდიშვილისა.

III.

(პასუხი ნ. ბარათაშვილისა)

ელენეს და მარიამს

მე რად მაყვედრით ფედოროვს,
თქვენვე მოგხვდებათ სიძეთა,

არც იმაზედ ხართ უმცროსი, რაღ[illegible]
დასცინით ხ[illegible]
ეროვნული ბიბლიოთეკა
თუნდა კნეინა სოფიოს ჰკითხეთ,
რამდენის წლისაც ხართ;
მაგას რომ ქმარი შეურთავს,
დაბადებული ყოფილხართ!

თვარემ მეც გატყობთ სიბერეს,
წელიწადებსა ნუ იკლებთ;
გაგთეთრებიათ თმებიცა, ტყუილად
ხეთებს აბრალებთ;
პაპუნაშვილი თქვენი ყმა თქვენი
ლალაცა ყოფილა,
იმისი თქმითა მარიამ ოცდაათისა
ყოფილა.

თ. ნ. ბარათაშვილი.

IV.

(პასუხი მიხეილ თუმანიშვილისა)

ეს კი ჩახრუხაული გახლავსთ

როს გარდაშლიდე, მეც დამხედავდე,
გაილიძებდე, ძოძიგოხებდე,
ოცდაათ წლის ქალს შეიბრალიბდე.

(მიხეილ თუმანიშვილი)

V.

(პასუხი მარიამისა მიხეილ თუმანიშვილისადმი)

თუ სიბერე არა გჯერა, ხელი მოისვი
თავზედა,
კბილები აღარ გივარგა, ყველა
შეგატყობს ხმაზედა.

(მარიამ ფალავანდიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

VI.

(პასუხი მიხეილ თუმანიშვილისა)

ლექსის წერაში არ შეგედაროთ
მადამ აბრერა.
ასე ბრწყინვენ, როგორც ცაში ვენერა,
მაგრამ რითმა ვერ უსწავლებია
წყეულ მადამას,
მარცვლებს აკლიბთ თქვენს
შეთხზულსა მაჯამას.
თვალი კი დაუდგეს იმ წყეულს
ქაჯანას,
ფული კი შეჰყარა თავის განჯინას,
ატლასის პირიც კი გადააკრა
ქუჯანას!—
თქვენ კი უსწავლელი გამოგრეკათ
შკოლიდგან,
ლექსის წერაც არ გამოგდით
ჭკუიდგან.

თ. მიხეილ თუმანიშვილი.

VII.

ამისი პასუხი (მარიამისა)

არათერია, არათერია,
მეტად ძვილია თქვენი ლექსია.—
მიიღეთ, ნუ გრცხვენიანთ, პასუხს
მოგწერთ[120].

ლიტერატურული შეკრებანი ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლში დასრულდა 1844 წელს, პოეტის ნახჩევანში გადასვლის გამო, ნახჩევანიდან იგი წავიდა ქ. განჯაში, სადაც 1845 წლის 9 ოქტომბერს გარდაიცვალა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონი

ეკატერინე მეორის ნათლულს პოეტს ალექსანდრე ჭავჭავაძეს უპირველესი სალონი ჰქონდა თბილისში.

1812 წელს ალექსანდრე გარსევანის-ძემ ცოლად შეირთო ივანე ჯამბაკურ ორბელიანის ასული სალომე, რომელიც თავის ულამაზეს ქალიშვილებთან ერთად იყო შთამგონებელი და მართველი ამ სალონისა.

ჭავჭავაძეების მდიდრულად მორთულ და მოწყობილ სახლში დილიდან საღამომდის იყო განუწყვეტელი დენა სტუმრებისა, რომლებსაც ხელგაშლილი მასპინძელნი ყოველთვის ღირსეულად ხვდებოდნენ.

ანდრეი ფადეევი თავის მოგონებებში წერს:

„ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლის კარები ყოველთვის ღია იყო ნათესავების, მეგობრების, ნაცნობებისა და სტუმართა უთვალავი რიცხვისათვის, რომელნიც მასთან მხია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულობდნენ, ლხინობდნენ და ცეკვავდნენ მოყირჭებამდის.

ყველა, ვინც კი ჩამოვიდოდა პეტერბურგიდან ან სხვა მხარიდან, რიგიანი და წარჩინებული, იგი მაშინვე ხდებოდა სტუმარი თავადის საღარბაზო ოთახისა.

ეს საღარბაზო აჭედილი იყო ანტიური შპალერით, რომელზედაც ეხატა მითოლოგიიდან აღებული სცენები. ამბობდნენ, რომ ეს შპალერი ეკატერინე მეორემ აჩუქა ალექსანდრე გარსევანის-ძე ჭავჭავაძის მამას, ერეკლე მეფის მიერ რუსეთის კარზე გაგზავნილ დესპანს.

საღარბაზოს და მის გვერდზე მდგარ ოთახს ამშვენებდნენ უძვირფასესი, იმხანად თბილისში ერთად ერთნი, ფანჯრებში ჩასმული სარკიანი შუშები“[121].

ამასვე ადასტურებს თედორე ტორნაუც:

„ჭავჭავაძეების საღარბაზო ოთახი არასდროს არ იცლებოდა სტუმრებისაგან. ყოველ დღე გათენებიდანვე მათთან გროვდებოდნენ ქართველი ნათესავები ორივე სქესისა, მერე კი სამსახურის გათავებისთანავე ერთიმეორეზე მოდიოდნენ რუსები.

ძალიან ხშირად მაგიდის ოჯახის წევრების გარდა მოუსხდებოდა ოცამდის მოულოდნელად შემოსწრებული სტუმარი; თავადი ალექსანდრე გარსევანის-ძე, მისდევდა რა ძველ რუსულ და ქართულ სტუმართმოყვარეობის წესს, არავითარ შემთხვევაში არ გაუშვებდა ხოლმე სადილობამდე შემოსულ სტუმარს“[122].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე მიდიოდა დღეები ზამთარში, ზაფხულობით ჭავჭავაძიანთ სახლობა წინანდალში მიემგზავრებოდა, ხოლო შემოდგომაზე სტუმართა მიღება ეწყობოდა ბანზე.

კონსტანტინე დადიანი გვიამბობს:

„შემოდგომის მზე რომ მთაწმინდის უკან დაიმალებოდა მეოთხე მეხუთე საათზე, ბანზე იყო ყრილობა, სადაც მიირთმევდნენ დუთმას და ალექსანდრე ჭავჭავაძის ღვინოს“[123].

ალექსანდრე ჭავჭავაძე თვითონ უძღვებოდა ამ ლხინებს, თამადობდა და, როგორც იონა მეუნარგია გვამცნობს „ჩონგურზე საუკეთესოდ უკრავდა“[124]. მისი ქალიშვილები ნინო და ეკატერინე მღეროდნენ. ნინო შესანიშნავად უკრავდა ფორტეპიანოზე, მან დაკვრა და მრავალი სიმღერა თავისი ქმრი-

საგან—ალექსანდრე სერგეის-ძე გრიბოედოვისაგან ისწავლა, რომელიც ჩინებული მუსიკოსიც იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინე ბოროზდინის სიტყვით:

„ა. ს. გრიბოედოვს განსაკუთრებულად უყვარდა თავის მეუღლესთან მუსიკაში მეცადინეობა. ის მკაცრი მასწავლებელი იყო და ცდილობდა ნინოს გემოვნება კლასიკური სკოლის ყაიდაზე განევითარებინა.

ნინო ალექსანდრეს-ასულმა ბევრი სიმღერა იცოდა თავისი ქმრის საკუთარი კომპოზიციისა, რომელნიც განსაკუთრებულად გამოირჩეოდნენ ოსტატური დამუშავებითა და მელოდიების ორიგინალობით.

იგი სიამოვნებით უკრავდა ხოლმე მუსიკის მოყვარულთა შორის. განსაკუთრებით კარგი იყო ერთი სონატა, შესრულებული გულწრფელი მშვენიერებით.

მან იცოდა, რომ ეს სონატა იყო ჩემი საყვარელი და ფორტეპიანოსთან დაჯდომისას არასდროს არ მეუბნებოდა უარს დავმტკბარიყავი მისი მოსმენით.

სამწუხაროა, რომ ეს სიმღერები დარჩნენ ჩაუწერავნი, ნინო ალექსანდრეს-ასულმა ჩაიტანა ისინი სამარეში“[125].

გავიხსენოთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსიც:

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ნი)ნა... ფორტოპიანოზედ მომღერალი

ხმა საკრავისა,
ნელ ნარნარისა,
სულს განახარებს
და მშვენიერის
ენა ამიშლის
გულისა ჭირებს!

ვჭვრეტდი ლამაზსა,
სევდითა ნაზსა,
და შევეტრფოდი;
ყოველთ გრძნობათა,
ყოველთ გონებათა
მას მივაპყრობდი.

ლაწვნი ნაცრემლნი,
ტრფიალთ ლამწველნი,
უთროს შვენოდენ,
თმანი ნაშალნი,
მკერდზედ დაყრილნი,
ემუქმკებოდენ.

ქუქუნა თვალნი,
გულთა მომკვლელნი,
მოცინარობენ,
პაწაწა ტუჩნი,
ვარდებრ ნათურცლნი,
ლხენას მოჰბერვენ[126].

ხოლო ეკატერინე ალექსანდრეს-ასულის ჯადოსნურ ხმას ნიკოლოზ ბარათაშვილმა ასეთი სტრიქონები უძღვნა:

თავადის ჭავჭავაძის ასულს, ეკატერინას.

ხმით მშვენიერო,
ტკბილის სიმღერით,
ჰაეროვანო, სულს ელხინები;
თვალთ არონინებ,
გულს დააწყლულებ
და ღიმილითა ესალბუნები!
სად ხარ, იმ არეს
მოჰფენ სიამეს, —
უშენოდ მოჰსცდეს მხიარულება!
შენის ენითა,
სავსე ლხენითა,
ვინ არა იგრძნოს გულკეთილობა!
მახსოვს სიამით,
ოდეს ტკბილის ხმით
ვარდსა და ბულბულს მოელხინარე,*
პირმცინარითა,
სინარნარითა,
მგოსნის ყარიბს გულს ესხივმფენარე![127].

მუნასიბების საუკეთესო ოსტატი ალექ-სანდრე ჭავჭავაძე მოულოდნელად შემოსულ

* ვარდი და ბულბული ლექსია სამღერალო, რუსუ-ლიდამ ნათარგმნი თ-ის ჭავჭავაძისაგან

(შენიშვნა ნ. ბარათაშვილისა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმრებს სახელდახელოდ ლექსს სტყორცნიდა ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ ანა და მანანა ორბელიანებს კარიც არ ჰქონდათ კარგად გაღებული, როცა ალექსანდრემ უთხრა მაჯამა:

> სვემ მიწვიმა მანანა:
> მომივლინა მან ანა:
> მას თან მოჰყვა მანანა,
> მინანავა მან ნანა[128].

მოსწრებულ სიტყვებს დასასრული არ ჰქონდა.

კონსტანტინე დადიანი წერს:

„ერთხელ სტოლიპინმა უთხრა (ჭავჭავაძეს ბანზე ყრილობის დროს): ამ ღვინოს რიუმკებით უნდა სვამდნენ, ალექსანდრემ ჩვეულებრივად მარჯვენა ხელი მოუსვა თავის მარჯვენა ყურის უკანა მხარეს და უთხრა: А кто вам мешает, если угодно, пить от стакана пиво?“[129]

ხშირი იყო ლექსებით გაკამათებაც ამ სალონში.

იონა მეუნარგია მოგვითხრობს:

„ნიკოლოზ ჩარკვიანმა გრ. დადიანის ლექსი უთხრა ალ. ჭავჭავაძეს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

Каждый любить существовать
Где родился тот селения.
Не может без его
Если есть, как я чувствительния.
Золото не имею, не надо
Слаби серца высохнелиа.
Вино доволно для питания
Холст тело согретения.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ პასუხად უთხრა:

Великий поэт Чарквиания
Кажду душу согревания[130].

ერთ დღეს ალექსანდრე ჭავჭავაძესთან სხვა სტუმართა შორის იყო იოანე ქსნის ერისთავიც. ლაპარაკი ჩამოვარდა გრიგოლ ორბელიანის ცნობილ ლექსის „იარალის“ პერსონაჟზე—იარალ შანშიაშვილზე. მერე პირველად ლექსი წაიკითხა ალექსანდრე გარსევანის-ძემ. იოანე ერისთავმა მუნასიბად იქვე თქვა ეს ჯერ უცნობი ლექსი:

შანშიანთ შენ იარალო!
მოჰფრინდი აქ, რა გახარო.
დაუკარ შენ, საზანდარო,
უთხარ ესტი არალო.

ვარდზედ ჰყეფს ბულბულ პოეტი
ჭავჭავაძე, ფრანცუზ მეტი,

პოემის ტკბილ გვირგვინ სვეტ...
მოწმობს ტფილისის სოვეტ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუჩქიანს სტვენს ეს ბულბული,
მას შეაწყო ხმა უსული,
უბუჩქოს ვარდს უწყლო გული,
ისმინე აწ მისი თქმული.

კოკობის ვარდის სადარო,
დაუკარ აწ, საზანდარო,
სადა ხარ შენ, იარალო,
უთხარ ესტი არალო[131].

ალექსანდრე ჭავჭავაძე ცდილობდა ნინოსთვის ბავშვობის წლებიდანვე ჩაენერგა პოეზიისადმი სიყვარული.

გრიბოედოვის მომავალი მეუღლე ჯერ კიდევ სრულიად პატარა იყო, როცა მამამისმა თავისი ქალის მაგივრად დაწერა ლექსი და ბავშვს ზეპირად დაასწავლა.

ვინ იცის, რამდენჯერ უთქვამს ბავშური ტიტინით ეს ოთხ სტრიქონიანი ლექსი სტუმრების წინაშე ნინოს:

არც მამასავით მაქვს მე სხვადასხვა
ფიქრები,
არცა დედასავით მტანჯავს უსაფუძვლო
იჭვები.

ჩემს შუბლს ჭმუხვილს ვინ ნახავს,
სულ მიცინის კიჭები,
გავიზრდები, მექნება უკეთესი
ნიჭები[132].

ნინო ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულის პოეტური ცდები დღემდის ცნობილი არ იყო. ამ რამდენიმე ხნის წინათ მე შევიძინე ა. გრიბოედოვის დაღუპვის შემდეგ ნინოს მიერ ავადმყოფობის ჟამს ლექსად დაწერილი წერილი დიმიტრი ჯორჯაძისადმი.

მომყავს იგი უცვლელად:

თვრამეტის თვისა სნეულს
თქვენგან წყალობისა ჩვეულს,

მაღირსეთ მოგონება
მესამედ გაგონება.

ვგდივარ ცუდსა საკანსა,
ხელთ ვერ ვილებ კალამსა.

ძველ მონად მომიკითხე,
მცირედით განმიკითხე,

მეც ვყო ღვთისა გალობა,
და თქვენთვის შევედრება[133].

ჭავჭავაძეების სალონში იმართებოდა სხვადასხვა სახის თამაშობანიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თედორე ტორნაუს აწერილი აქვს ერთი ასეთი თამაშობა, რომელიც ჭავჭავაძეებთან 1832 წლის უკანასკნელ თვეებში მეტად დიდ პატივში იყო.

„ერთ საღამოს ჭავჭავაძეების სახლში თავს იყრიდნენ რომელიღაც თამაშით, რომლის დროსაც მოთამაშენი სხედან წრეში და უნდა ადგნენ სკამიდან მაშინვე, როგორც კი გამოძახებული იქნება ნადირის ან ყვავილის ფერი, რომელიც მოთამაშეს წინასწარვე აქვს არჩეული, უყურადღებობისას ის უკან აძლევს თავის ფანტს.

ამ წრეში ბრწყინავდნენ ყველა იმ ლამაზ ქალთა თვალები, რომლებიც მაშინ ცხოვრობდნენ თბილისში. თამაშში ჩარეულმა ნიკოლოზ პავლეს-ძე ტ... გადახლართა ჩვეულებისამებრ თავისი გრძელი ფეხები სკამის ფეხებთან და ჩაშტერებით ყურება დაუწყო ნინო ალექსანდრეს ასულს.

მოულოდნელად დაასახელეს მისი კუთვნილი ფერი. ის არ გამოხმაურებია. გაიმეორეს სიტყვა ხელმეორედ; მაშინ, დაავიწყდა რა თავისი ფეხების შესახებ, ის წამოდგა, მაგრამ იმ წამსვე სკამთან ერთად გაიშხლართა ოთახის შუაგულში, რომელიც ისე მიკ-

ვროდა მას, როგორც ქერქი ხეს. ძნელი იყო თავის შეკავება. ნინო ალექსანდრეს ასულის გარდა, ყველამ გადიხარხარა“[134].

ამ სალონში ეწყობოდა ცეკვის საღამოები.

ინგლისელი მოგზაური კაპიტანი რიჩარდ ვილბრეჰამი გვიამბობს:

„საღამოს სუვოროვმა მომიხმო და ორივენი გავემგზავრეთ ჩემი ლამაზი დამის თავად ჭავჭავაძის სახლში.

მშვენიერი კატინკა დღეს უფრო ლამაზი ჩანდა, ვიდრე ოდესმე.

მას ეცვა მოკლე სოსანის ფერი ქვემოთ ბეწვმოყოლებული გოლი, რომელიც მხოლოდ მუხლებამდის სწვდებოდა. უბრალოდ გადაშლილი თმები ძლიერ უხდებოდნენ, სუვოროვი უკრავდა ფორტეპიანოზე და მღეროდა. ოთახის საცეკვაოდ მოწყობის შემდეგ ჩვენ დავიწყეთ ვალსი“[135].

ჭავჭავაძეებთან იმართებოდა ახლადდასრულებულ თხზულებათა საჯარო კითხვაგანხილვები.

1839 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავისი პოემა „ბედი ქართლისა“ დაწერისთა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნავე ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონში წაიკითხა.

ზაქარია ჭიჭინაძე წერს:

„გამიგონია, რომ ბარათაშვილმა პოემა „ბედი ქართლისა" ალ. ჭავჭავაძის სახლის ბანზე წაიკითხა"[136].

ასე უდარდელად მიდიოდნენ დღეები, თვეები და წლები ჭავჭავაძიანთ სალონში, მაგრამ 1846 წლის 6 ნოემბრის კატასტროფამ რამდენიმე ხნით შეაჩერა სალონის მსვლელობა.

„ალექსანდრე ჭავჭავაძე იმ დილას, საათის ათზე, გაემზადა ვორონცოვთან წასასვლელად. რაღაც დღეობა იყო და მისალოცავად წასვლა ურჩია მისმა მეუღლემ.

მშვენიერი ყარაბაღული ცხენი შეაბა მის „ადინაჩქას" ქუჩერმა და ალექსანდრე დაეშვა პარადის ფორმით მორთული ჭავჭავაძის ქუჩით.

როცა ის დაუახლოვდა გოლოვინის პროსპექტს, უეცრივ ერთმა დედაკაცმა სახლიდამ საპნიანი წყალი გამოიტანა და ქუჩაზე გადაღვარა, სწორედ იმ დროს, როდესაც იმას გაუსწორდა ალექსანდრეს ეტლი.

ცხენი დაფრთხა, წაართვა თავი ქუჩერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეშინებულმა ქუჩერმა მოსძახა ალექსანდრეს: „კნიაზო, მე ამის დაჭერა არ შემიძლია, თავს უშველეთ“.—ალექსანდრემ იფიქრა ქუჩრის მიშველება, წამოიწია და რომ უნდა სწვდომოდა ალვირს, მისი გრძელი შინელის მარჯვენა კალთა მოჰყვა ბორბალს და ზედ დაეხვია, ფეხზე წამომდგარი ალექსანდრე ძირს გადმოაგდო“[137].

პოეტი შეიყვანეს სახლში გრძნობა დაკარგული.

ანდრეი ფადეევი გადმოგვცემს:

„თავგატეხილი ა. გ. ჭავჭავაძე დააწვინეს სადარბაზო ოთახის მაგიდაზე, სადაც გაბმული მხიარულებანი პირველად შესცვალა მწუხარებამ და ტირილმა“[138].

ალექსანდრე ჭავჭავაძემ რამდენიმე საათი იცოცხლა.

დიდის ამბით შუამთის მონასტერში ის დაკრძალეს.

ერთი წლის შემდეგ ხოლერით გარდაიცვალა მისი მეუღლე სალომეც.

ამ დღიდან ოჯახის უფროსობა და სალონის წინამძღოლობა გადავიდა ნინო ალექსანდრეს ასულის ხელში.

გრიბოედოვის ქვრივს გვერდში ამოუდ-

გნენ უმცროსი და-ძმა სოფიო და დავითი და ჭავჭავაძეების სალონი კვლავ ცოცხლდა, სადაც სხვა თავგასართობებს ბანქოს თამაშიც დაემატა.

ესტატე მაჩაბელი თბილისიდან 1854 წლის 3 აპრილს დიმიტრი ჭავჭავაძისადმი გაგზავნილ ჯერ გამოუქვეყნებელ წერილში სხვათაშორის წერდა:

„სვიმონ შალიკოვი და ილია თარხანი დამების კავალერები არიან. სხედან ნინო, სოფიო, და ისინი დილიდგან საღამომდის ქაღალდსა თამაშობენ“[139].

1857 წლის 28 ივლისს ნინო გრიბოედოვაც გარდაიცვალა ხოლერით და სალონს დიდხანს აღარ უარსებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი საბიბლიოთეკო ამხანაგობა თბილისში

1840 წლიდან თბილისში დიმიტრი ყიფიანის უშუალო მეთაურობით დაარსდა პირველი საბიბლიოთეკო ამხანაგობა.

„მე ვიყავი,—წერს დიმიტრი ყიფიანი,— მთავარ-მართველობის კანცელარიის განყოფილების უფროსი და ერთხელ, სამსახურის საქმის მოხსენების შემდეგ, ევგენი ალექსანდრეს-ძეს გოლოვინს გამოუცხადე რამდენიმე ჩემი ტოლ-ამხანაგის სურვილი, რომ გვინდოდა დაგვეარსებინა კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკა და დაგვრთავდა თუ არა ამის ნებას.

რა რომ მივიღე იმისი მხრივ სრული თანხმობა, მეორე შემთხვევის დროს წარვუდგინე მას „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის" წესდების პროექტი და როგორც კი მოაწერა ზედ: „ვამტკიცებ. გოლოვინი",—აღარ

დაგვიყოვნებია ჩვენი სურვილის განხორციელებას შევდგომოდით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მომყავს აქ ამ ბიბლიოთეკის დამაარსებელთა სახელები:

კალ. ას. დიმიტრი ყიფიანი შტაბს-კაპიტანი თავადი ზაქარია ერისთავი; კალ. სეკრ. თავადი ზაქარია ფალავანდოვი; პორუჩიკი. თავადი ვახტანგ ორბელიანი, ქართველი შესანიშნავი პოეტი; პად.-პორუჩიკი თავადი ელიზბარ ერისთავი; პად.-პოლკოვნიკი თავადი ზაქარია ორბელიანი; კორნეტი უგანათლებულესი თ-დი კონსტანტინე დადიანი; გუბ. სეკრ. ალექ. ონიკოვი; პორუჩიკი თ-დი ლევან მელიქოვი, გუბერ. სეკრ. თ-დი ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილი, ქართველი დიდებული პოეტი: კალ. სოვ. თევდორე კოცებუ; ნავ. სოკ. ზნაჩკოიავორსკი; სტატ. სოვ. ნიკოლ. ბეზაკი; კალ. ას. კონსტანტინე ორლოვსკი; გუბ. სეკრ. თ-დი მიხეილ თუმანიშვილი; გუბ. სეკ. თ-დი დიმიტრი ჯორჯაძე; კალ. ას. დავით არბანოვი; პოლ. სოვეტ. სერგეი ვასილკოვსკი; პორუჩიკი თ-დი დავით ჭავჭავაძე; პოდ. პოლკ. თ-დი გრიგოლ დიმიტ. ორბელიანი“[140].

აქვე მომყავს „საბიბლიოთეკო ამხანაგობის“ ჯერ მკითხველ საზოგადოებისათვის უცნობი „წესდება“ ქართულ ენაზე, მაგრამ ყოველგვარი ცვლილებების გარეშე:

წესდება

თბილისის კერძო ბიბლიოთეკისა

1.

როდესაც წევრთა რიცხვი, რომელთაც წლიურად შემოაქვთ 30 მანეთი ვერცხლით, ხუთზე მეტი იქნება, ისინი ირჩევენ თავის წრიდან სამ კაცს და ანდობენ მათ არჩევასა და წიგნების გამოწერას. წევრთა რიცხვი ერთი წლის განმავლობაში არ შეიძლება ოცდაათზე მეტი იყოს.

2.

ყოველ წევრს ეძლევა უფლება თავის მიერ შეტანილ ფულის ნახევარზე, ე. ი. 15 მანეთზე ვერცხლით, გამოაწერინოს წიგნები თავის საკუთარი არჩევანის მიხედვით.

3.

ყოველ წევრს შეუძლია ფულადი საწევრო შენატანის გარდა შეიტანოს წიგნებიც, იმ უფლებით, რომ ისინი უკან დაიბრუნოს წიგნსაცავის შემთხვევით დახურვის შემთხვევაში, ან თუ ის გამოვა დაწესებულების დამფუძნებელთა რიცხვიდან, ანდა როცა ის

თვითონ გამოვა წევრობიდან. წიგნების მე-პატრონის ან მისი მემკვიდრეების სურვილზე იქნება დამოკიდებული გაავრცელონ თუ არა წიგნებზე ქვემოთ, მე-17 მუხლში, მოხსენებული წესი.

4.

წიგნებით სარგებლობაში უპირატესობა ეძლევათ ადრე შემოსულ წევრებს.

5.

წიგნების წაკითხვისათვის დაწესებულია შემდეგი ვადები:

თამახის მე-12 ნაწილიანი წიგნი გაიცემა 6 დღით; თამახის მე-8 ნაწილიანი წიგნი გაიცემა 8 დღით; თამახის მე-4 ნაწილიანი წიგნი გაიცემა 10 დღით; ფოლიანტი გაიცემა 12 დღით.

სამეცნიერო წიგნთათვის ვადები ორი დღით გადიდებულია.

6.

ვინც მოისურვებს წიგნის წაღებას გადასათარგმნად ან შესასწავლად, მისთვის ვადა არ ინიშნება, მაგრამ ის ვალდებულია მოთხოვნისთანავე დააბრუნოს უკან იგი.

7.

წიგნების გაცემა წევრებზე შეიძლება ქალაქ გარეთაც, მაგრამ ეს წიგნები თავისუფალნი უნდა იყვნენ და მათი უკან დაბრუნების ვადა ორ თვეზე მეტი არ შეიძლება იყოს.

8.

წიგნების გამოწერა ხდება წევრთა სურ-ვილის მიხედვით და წასაკითხად გადაეცე-მიან პირველად მას, ვისი ფულითაც არიან გამოწერილნი და მერე საერთო წესს ექვე-მდებარებიან.

9.

ვინც დაიტოვებს წიგნს დაწესებულ ვადა-ზე უფრო ხანგრძლივად, მას ეკარგება უფ-ლება განაგოს მის მიერ შეტანილი წვლი-ლიდან 15 მანეთი თავისი ნების მიხედვით, მეორე შემთხვევაში მას ეკარგება საერთოდ უფლება წევრობისა.

10.

ვინც წიგნს დაჰკარგავს მას ერთმევა უფ-ლება ერთი წლის განმავლობაში წაიღოს წიგნი ბიბლიოთეკიდან, ხოლო თუ მოინდო-მებს ამ უფლების აღდგენას შემდეგ წელს, იხდის 35 მანეთს: თუ კი მოისურვებს, რომ არ დაკარგოს ეს უფლება, მაშინ მას წიგნის დაკარგვისთანავე შეაქვს 10 მანეთი, მაგრამ თუ წიგნი ღირს 5 მანეთი, მაშინ მას შეაქვს ამ თანხაზე ორჯერ მეტი.

11.

წიგნები სუფთად და ნაკრძალავად უნდა იხმარებოდეს; ვისაც დაზიანებული ან გა-ფუჭებული წიგნი აღმოაჩნდება, ის ვალდე-ბულია ერთი კვირის განმავლობაში გადაიხა-დოს წიგნის ღირებულების ორმაგი ფასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12.

წიგნთსაცავში არსებობს კატალოგი წიგნებისა და განსაკუთრებული ანბანი.

13.

წიგნთსაცავშივე არსებობს სადავთრო წიგნები ანგარიშწარმოებისა და გაცემული წიგნების აღრიცხვისათვის.

14.

წიგნთსაცავის წელი ჩვეულებრივად თავდება 1 იანვარს.

15.

წიგნთსაცავით სარგებლობა შეუძლიათ იმ პირებსაც, რომელნიც მონაწილეობას არ იღებდნენ მის დაფუძნებაში; მაგრამ წიგნის გატანის სურვილის შემთხვევაში შეაქვთ 15 მანეთი ვერცხლით სალაროს სასარგებლოდ და 10 მანეთიც წიგნის საწინდარი.

16.

წიგნთსაცავის გაუქმების შემთხვევაში, წიგნები უნდა გაიყიდოს წევრთა საერთო შეთანხმების საფუძველზე, ან დაეთმობა რომელიმე საზოგადოებრივ ან სასწავლო დაწესებულებას, ანდა გაიყოფა უკანასკნელი წლის წევრთა შორის წილის ყრით.

17.

წიგნების გაყიდვის შემთხვევაში აღებული ფული თანაბრად იყოფა უკანასკნელი წლის წევრთა შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18.

წიგნსაცავს ერქმევა ტფილისის ბიბლიოთეკა და მოთავსებული იქნება დროებით კოლეჟის ასესორ ყიფიანთან, რომელსაც მიეკუთვნება სახელი წიგნის მნესი“141.

დიმიტრი ყიფიანის ფართე და მდიდრულად მორთული სახლი შუადღის შემდეგ სავსე იყო ლიტერატურით დაინტერესებული პირებით. ჟურნალ-გაზეთების ახალი ნომრების გადათვალიერება და წაკითხვა, წიგნების შეცვლა, მსჯელობა, კამათი, სიცილი და ოხუნჯობა გვიანობამდის არ წყდებოდა.

„საბიბლიოთეკო ამხანაგობამ“ რამდენიმე ხნის შემდეგ ნაბეჭდი ლიტერატურული ალმანახის „ცდის“ გამოცემა განიძრახა.

ალმანახის ერთ-ერთი თანამშრომელი, პოეტი ლუკა ისარლიშვილი, ქუთაისიდან 1841 წლის დეკემბრის 15-ს მიხეილ თუმანიშვილისადმი თბილისში მოწერილ წერილში ამის გამო წერდა:

„შენ მწერდი იმის შესახებ, რათა მე შემეტანა რაიმე ლიტერატურული ცნობილ ალმანახში. მე ვერ მოვასწარი გადამეწერა ბოლომდე ბესტუჟევის „გამცდა“ ამის გამო

მე აქ მივეცი დიმიტრი ივანეს-ძე ყიფიანისაგან ორი ელეგიური ლექსი და არ ვიცი ივარგებიან ისინი თუ არა ღირსნი შეტანილ იქმნენ „ცდა“-ში.

მე დღემდე ამის შესახებ არაფერი ვიცი, თუმცა ვსთხოვე დიმიტრი ივანესძეს თავისი აზრი და მსჯავრის დადება ამ ლექსების შესახებ, მაგრამ იგი ალბად გართულია უფრო დიდი საქმეებით და მე ამიტომაც მერიდება კვლავ შევაწუხო იგი“[142].

მაგრამ ალმანახის გამოცემა არ მოხერხდა.

„საბიბლიოთეკო ამხანაგობამ“ დიმიტრი ყიფიანის ბინაზე იარსება 1848 წლამდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანანა ორბელიანის სალონი

მანანა ორბელიანს სახელგანთქმული სალონი ჰქონდა, მასთან იკრიბებოდა, ვინც კი წარჩინებული იყო მწერლობაში, ხელოვნებასა და მმართველობაში.

ვინ არ დაიარებოდა მის სალონში!

უცხოეთის სხვადასხვა მხრიდან მოსულნი „სანუკვარს სულისას“ მასთან ეძიებდნენ. ეგზოტიკის რამდენი მოტრფიალე გაოცებაში მოსულა მასთან სტუმრობისას.

თემირხანშურაში მყოფი გრიგოლ ორბელიანი სინანულით წერდა მანანას: „თქვენი განმბრწყინვებული სალონი სავსეა ანგლიჩნებით, ფრანცუზებით, ჰინდოელებით; ჭეშმარიტად მშურს მათი ბედნიერება და ვამბობ, ნეტავი მაგ რიცხვში მეც ვიყო. მაგრამ ცარიელის ნატვრით რა გამოვა და თუ გინდ ესეც აღმისრულდეს, ვინ იცის, ვიქნები თქვენგან მათ მზგავსად ყურადღებით მიღებული? რასაკვირველია, აღარ მექნება

თქვენთან ის ადგილი, რომელიც ახლა [illegible] ეროვნული ბიბლიოთეკა
პყრიათ უცხო ქვეყნელთა“[143].

მანანასთან მუდამ ზლვა იდგა მხიარულების და მოსულნი ჟამიდან ჟამამდე თავდავიწყების მორევში ცურავდნენ.

სიამაყით წერდა სალონის პატრონი გადასახლებაში მყოფ გრიგოლ ორბელიანს: „მე არა მაქვს თავი, რომ მოგწერო აქაური დროს გატარებები, თორემ ბევრს იცინებდი. ახ! გრიგოლ! ნეტავი ერთი მოგიყვანა და გაყურებინა აქაურს ჩვენ შექცევებს, გაშტერდები“[144].

1835 წლის თებერვლიდან მაისის შუა რიცხვებამდის მანანა ორბელიანის კახეთში წასვლის გამო სალონის კარები დროებით დაიხურა. მარტის 12-ს ზაქარია ორბელიანი თავის ძმას გრიგოლს წერილით ატყობინებდა: „შენი მანანა წინანდალში არის კაი ხანია, оне там мечтают[145].

ჭავჭავაძეების განთქმულ მამულში მანანა ორბელიანმა ჰპოვა უდიდესი სულიერი სიმშვიდე და სრულ თავდავიწყებას მიეცა.

ამავე ხანებში გრიბოედოვის ქვრივს წინანდალში ეწვია უკვდავი რუსი გენიის ალექსანდრ პუშკინის უმცროსი ძმა ლევ

სერგეის-ძე, რომელიც 1826 წლიდან კავკა-სიის სამხედრო ნაწილებში მსახურობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბრისას ლაპარაკი ჩამოვარდა პუშკინზედაც და რა თქმა უნდა, რომ ცნობისმოყვარე, მაშინ რუსული ენის უცოდინარმა მანანამ ბევრი საინტერესო გაიგო გამოჩენილი რუსი მწერლის შესახებ.

ლევ სერგეის-ძემ, რომელიც ჩინებულ დეკლამატორად ითვლებოდა და რომელიც სხვათა შორის თავის ძმის ნაწერებს ავტორზე უკეთესად კითხულობდა,—„წინანდლელ ქალებს“ წაუკითხა „რუსლან და ლიუდმილაც“, რომლის შინაარსიც იქვე მანანას ქართულად გადასცეს.

კახეთში გატარებულ დროისა და იქ მიღებული სიამოვნების შესახებ მანანა გრიგოლ ორბელიანს 1835 წლის 13 მაისის თარიღით გაგზავნილ ბარათში წერდა: „მე ხომ კახეთს ვიყავ, ესე იგი წინანდალში უცხოთ შავექეც“[146].

წინანდალში ყოფნით არა ნაკლებ ნასიამოვნებ ლევ სერგეის-ძე პუშკინის შესახებ პოეტის დედა იმავე წლის 19 ივნისს თავის ქალიშვილს ატყობინებდა:

„სამი დღის წინათ მე მივიღე ლიოვასა-
გან 29 მაისის რიცხვით გამოგზავნილი
რილი: მან მოიარა მთელი საქართველო,
ორი კვირა კი გაატარა გრიბოედოვის ქვრი-
ვის მამულში. ის ამბობს, რომ ეს დღეები
ყველაზე ნეტარნი არიან მის ცხოვრებაში.
მწერს, რომ იგი უმშვენიერესი ქალია. იგი
კვლავ აპირებს მასთან წასვლას“[147].
თბილისში დაბრუნებისთანავე მანანა ორ-
ბელიანმა კვლავ აღადგინა თავისი სალონი.
ლიტერატურულად გახმაურებული წიგნი
რუსული ენის უცოდინარ მანანასთვის ნატ-
ვრის საგნად იქცეოდა ხოლმე. წიგნის ორი-
გინალში წაკითხვის შესაძლებლობას მოკლე-
ბულნი თანახმანი იყვნენ თარგმანში მაინც
გასცნობოდნენ მას.
წინანდალში რუსულად მოსმენილ და „ქა-
ლებისაგან“ ზეპირად ნათარგმნ „რუსლან
და ლიუდმილას“ შესახებ კვალიფიციურ
მთარგმნელს, რუსეთში მყოფ გრიგოლ ორ-
ბელიანს, მანანა თბილისიდან წერდა:
„ახლა გთხოვ გრიგოლ თუ ქისები და
წინდები გინდა, ხომ კიდეც დამპირდი წიგ-
ნის თარგმნასა და შეასრულე ჩემი თხოვნა
„რუსლანის ანუ ლიუდმინასი“. ის წიგნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მითარგმნე შენი ჭირიმე ისე კარგა და ძლიერად, როგორც რუსულად არის დაბეჭდილი, თუ გინდა, რომ შაიტყო ეს სახელი ვინ მასწავლა მე მითარგმნეს ჩვენმა ქალებმა წინანდალში. შენი ჭირიმე სადაც იყოს მიშოვნე და მითარგმნე ყმაწვილო“[148].

„წინანდალელ ერთ ქალთაგანს“, ნინო ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძეს, 1835 წლის 10 ივნისს გრიგოლ ორბელიანი მანანას თხოვნის პასუხად წერდა: „გიჟი მანანა უფრო გაგიგიჟებიათ, გადამკიდებია მითარგმნეო“[149].

იმავე წლის ივლისის 22 მანანა აგონებდა გრიგოლ ორბელიანს: „ამას წინათ წიგნის თარგმნა გთხოვე ჩემს წიგნში და არ ვიცი მოგივიდა თუ არა, თუ შეიძლებოდეს მითარგმნე გენაცვალე“[150].

ძნელი სათქმელია, შეასრულა თუ არა გრიგოლ ორბელიანმა დაკვეთა მანანა ორბელიანის სალონისა... პუშკინის ხსენებული პოემა დღემდის უცნობია ქართულ ენაზე.

მანანას სალონში წაკითხულ ნაწერთაგან ხოტბა გამონაკლისებს ხვდებოდათ ხოლმე.

მაღალმხატვრული გემოვნებით დაჯილდოებული მანანა ავტორებს დიდ მოთხოვ-

ნებს უდგენდა, მაგრამ მის სალონში მოწონებული თხზულება ატესტაციაქმნილი „ხელიხელ საგოგმანებელი“ ხდებოდა, და ამიტომაც ყველა ისწრაფოდა მასთან „ბედის საძიებლად“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვადასხვა მიზეზის გამო თბილისიდან წასულნი თავის ახალ თხზულებებს სარეცენზიოდ მანანას სალონში გზავნიდნენ ხოლმე, რომელთა კითხვა და გარჩევა სალონის საყვარელ საქმედ ითვლებოდა. სალონში წაკითხული და გარჩეული თხზულებების შესახებ მანანა ავტორებს აცნობებდა ხოლმე თავის და მის თანამოზიარეთა შეხედულებას გარჩეულ ნაწარმოებზე.

1835 წელს გრიგოლ ორბელიანის მიერ ქალაქ რიგაში დაწერილ და რიგიდან მანანას სალონში სარეცენზიოდ გამოგზავნილ ლექსს „სულით ერთნო მოლხინენოს“ მანანა ავტორისადმი გაგზავნილ ბარათში ასეთს შეფასებას აძლევდა: „ვერაფერი გახლდათ შენი ლექსი „ტიპლიპიტო“, შენ დღეში იმისთანა უგემური ლექსი არ გითქვამს“[151].

რძალთა შორის ატეხილი უთანხმოების გამო ივლისში სალონის მსვლელობა საგრძნობლად შეირყა. 1835 წლის ივლისის 23 მა-

მანანა გრიგოლ ორბელიანს მწუხარებით შესჩიოდა: „სხვა ჩვენი ამბავი რა მოგწეროთ, ვართ უგემურათ, საცოდავად, რომ აქ, რომ იყო საშინლად შასწუხდები ჩვენის გულისათვის და შაგვიბრალებ მეტათ ცუდათ ვატარებთ დროს“[152].

ოქტომბერში რძალთა შორის უთანხმოება გაყრამდის მივიდა. ამჯერად მანანა გრიგოლ ორბელიანს წერდა: „ჩვენ კამპანიებს კითხულობ ისე ღმერთმა შენი მტრის გული ამყოფოს, როგორც ჩვენი გული იყოს კამპანიისთვის მოცლილი. ვილა და ვისთვის ჩვენ ვსხედვართ წმინდა მარტოკა სახლში. ვართ საცოდავი უწყალოს ოხვრით დროს გამტარებელი წიგნიც არა მაქვს რა რომ ვიკითხო. ეს გახლამთ ჩემი დროს გატარება“[153].

მაგრამ „ღრუბელმა მალე გადაიარა“, და მანანას სალონში კვლავ ძველებური ცხოვრება ადუღდა.

იონა · მეუნარგიას დაუბეჭდავ არქივში ინახება პოეტ ლუკა ისარლიშვილის შემდეგი ცნობა, რომ მანანასთან „იკრიბებოდნენ და კითხულობდნენ ლექსებს: ტატო (ბარათაშვილი ნიკო), გიორგი ერისთავი, ისარლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილი, ბირთველიჩი (მიხეილ თუმანიშვილი), მაღალაშვილი, ხანდახან ყიფიანი და სხვა“[154].

წაიკითხა თუ არა ნიკოლოზ ბარათაშვილმა მანანა ორბელიანის სალონში იოჰან ლეიზევიცის ტრაგედიის ქართული თარგმანი, იგი მეორე დღესვე, 1841 წლის მაისის 21-ს, გამარჯვებით აღფრთოვანებული თავის ბიძა გრიგოლ ორბელიანს ატყობინებდა: „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა კიპიანმა გადმოთარგმნა „Ромео и Джулиета“, შექსპირის ტრაღედია და მე ვთარგმნე „Юлии Тарентский“, ტრაღედია ლეიზევიცისა; თუ წაგიკითხავს ბიბლიოტეკაში იყო დაბეჭდილი. მე ძალიან მომეწონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმა· (წაიკითხე: მანანას სალონის წევრებმა—ი. ბ.) ასე გასინჯე იტირეს“[155].

როგორც ლუკა ისარლიშვილის მოგონებიდან ჩანს მანანას სალონში დაბადებულა თავდაპირველად ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემისა და ქართული თეატრის დაარსების აზრი და მისი ბედ-იღბალიც იქვე გადაწყვეტილა.

მოვუსმინოთ ისარლიშვილს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მანანა ორბელიანის სალონში იყ[illegible] ცისკრის გამოცემას და თეატრს მიეცა დასაწყისი. ერთ საღამოს თქვენს მოდი ერთი გამოვცეთო და ის იყო. ვორონცოვი მანანასთან ხშირად დადიოდა. აქ შეიტყო გიორგი ერისთავზე, მოიწონა შემწეობა მისცა ჟურნალის გამოცემისათვის, თეატრისათვის“[156].

ღრმა მოხუცებულობამდის მართავდა და ხელმძღვანელობდა ამ სალონს მანანა ორბელიანი.

1870 წლის ივლისის 3-ს გრიგოლ ორბელიანი თბილისიდან სამეგრელოს დედოფალს ურვით აღვსილი ატყობინებდა:

„მწუხარება მწუხარებაზე დაგვერთო ძლივ დავასაფლავეთ საბრალო ალექსანდრე სამებაში, ორს დღეს უკან მივასვენეთ იქვე ჩვენი სიქადული მანანა“[157].

იმავე წლის დეკემბრის 28-ს „მზის დაბნელების“ წარმოდგენის შემდეგ რევაზ ანდრონიკაშვილის სახლში „ქართულ თეატრის მოსიყვარულეთათვის“ გამართულ ნადიმზე ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორმა ივანე კერესელიძემ ლხინის დასაწყისშივე თქვა:

პირველად რომ წარმოადგინეს „ვარანცო-ვის სურვილით „გაყრა“, მაშინ მონაწილე-პირნი იყვნენ ჩვენი საქართველოს თავადი-შვილების პირველი ოჯახის შვილები. იმათ რიცხვში ერია განსვენებული, დედათ სქე-სებში ნაქები და განთქმული მანანა ორბე-ლიანისა“[158].

წყვდიადივით ჩამომდგარი დუმილი შესან-დობარის შესასმელად აღმართული სასმისე-ბის ხმაურში ჩაიხჩო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელისაბედ ვორონცოვას სალონი

ვორონცოვების საქართველოში ჩამოსვლით არისტოკრატიულმა თბილისმა კიდევ ერთი სალონი მიიმატა.

კავკასიის მეფის ნაცვლის მეუღლე, პუშკინის სატრფიალო ელისაბედ ქსავერიევის ასული მართავდა და უძღვებოდა ამ სალონს.

ჩვეულებრივად შეკრებანი ვორონცოვებთან საღამოებზე ეწყობოდა ორშაბათ დღეებში, მაგრამ ამის გარდა ამ სალონშივე იმართებოდა იმხანად სახელგანთქმული ეგრეთწოდებული „ვორონცოვისეული სადილები“.

ამ სადილების დამსწრე გვიამბობს:

„სადილები გრაფ ვორონცოვთან იწყებოდა საღამოს სრულ ექვს საათზე; დაპატიჟებულთა რიცხვი ყოველდღიურად 25—30 კაცზე ნაკლები არასდროს არ ყოფილა.

მაგიდის შუანაწილის ერთ მხარეს ჯდებოდა გრაფი, გრაფინია კი მეორე მხარეზე,—მათთან ახლო თავსდებოდნენ ისინი,

რომლებსაც მასპინძელნი მიუთითებდნენ ხოლმე, სხვები კი სხდებოდნენ წარმოშობისა და წოდების თანრიგით.

სადილობა გრძელდებოდა სრულ ერთ საათს. საუბრები ჩვეულებრივ მიდმდინარეობდა ხმადაბლა, მაგრამ გაცხოველებულად და როდესაც გრაფი მიხეილ სიმონიძე იწყებდა რაიმე მბობას, საყოველთაო სიჩუმე მყარდებოდა.

სადილის შემდეგ, ყავის ჩამორიგებისას, რომელსაც გრაფი არასდროს არ სვამდა, ის ჩამოუვლიდან ხოლმე თავის სტუმრებს, ზოგს ქათინაურს ეტყოდა, ზოგს ჰკითხავდა რაიმეს, ანდა წარსულ ამბავს მოიგონებდა და ბოლოს სთხოვდა სტუმრებს მოსულიყვნენ მეორე დღესაც.

ამის შემდეგ ვორონცოვი გადიოდა სასტუმრო ოთახში და თითქმის ერთდაიგივე მოთამაშეებთან ერთად ჯდებოდა ბანქოს სათამაშო მაგიდასთან, თამაშობდა ლომბერს და ოხუნჯობდა მის მახლობლად მსხდომ ქალებთან.

მეტად კმაყოფილი იყო გრაფი, თუ მას გვერდით უსხდნენ ქართველ ქალთაგან უჭკვიანესი მარიამ ივანეს ასული ორბელია-

ნი, მანანა ორბელიანი, ანდა ელენე ერის-
თავი“[159].

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყოველ ორშაბათობით ვორონცოვებთან თავს იყრიდა მთელი თბილისის „რჩეულთა წრე“.

ა. ზისერმანი თავის მემუარებში ასე აგვიწერს ვორონცოვების ლიტერატურულ ორშაბათებს:

„საღამოები ორშაბათ დღეებში იყო ერთი იმ სასიამოვნო შეკრებათაგანი, რომლებიც შესაძლებელნი არიან მხოლოდ ისეთ სტუმართმოყვარე მასპინძლებთან, როგორიც ვორონცოვები იყვნენ.

მუდამჟამს შეუცვლელი თავაზიანობა ორივე ცოლ-ქმრისა, რომელნიც სადარბაზო ოთახის შესასვლელთან დგებოდნენ ხოლმე სტუმართა შესახვედრად, გაცხოველებული საუბრები და უთვალავი რიცხვი ახალგაზრდობისა, რომელშიაც თბილისის მეტოქეობას ვერც ერთი სატახტო ქალაქი ვერ გაუწევდა.

ფართო სახლი, მშვენიერი მოწყობილობა, ჩინებული ორკესტრი, მდიდრულად გამართული ბუფეტი, ცალკეული ჯგუფების მიერ დაკავებულ პატარა მაგიდებზე საუცხოო

ვახშამი, უძვირფასესი ღვინოები და [illegible]
სრულს მაზურკა, რომელსაც გრაფინია უდი-
დესი ოსტატობით ასრულებდა ხოლმე, დამ-
სწრეზე ახდენდა განუზომელად დაუვიწყე-
ბელ შთაბეჭდილებას.

ჩვეულებრივად გრაფი ლომბერის სათამა-
შო მაგიდასთან ჯდებოდა მხოლოდ მაშინ,
როცა სტუმრები უკვე თავს ირთობდნენ ან
ცეკვებით, ან თამაშით, ანდა იმყოფებოდ-
ნენ ელისაბედ ქსავერიევის ასულის და გრა-
ფინია შუაზელ დე-გუფიეს გარშემო შემო-
კრებილ ჯგუფში“[160].

ამ სალონში ეწყობოდა ბრწყინვალე ბა-
ლებიც.

მიხეილ სიმონის-ძე ვორონცოვის დღიუ-
რების მეშვეობით შესაძლებელი ხდება აღ-
დგენილ იქნეს ერთი ნაწილი ვორონცოვების
სალონში მოწყობილი „სადილების“ და „ბა-
ლებისა“:

„1545 წელი.

აპრილი

16. დიდი სადილი—სტუმრობა.

17. დიდი სადილი.

19. დიდი სადილი.

21 სახლში ვისადილე. საღამოს ბალი. უქ-

მე დღე. დღეობა იმპერატრიცისა. ბალი [illegible] შესანიშნავი. ცეკვავდნენ ლეკურსა და ამხანაზურ ცეკვას.

24 დიდი სადილი. უქმე დღე.

1850 წელი.

26 სექტემბერი. სადილი ჩვენთან 112 სულზე, საღამოს არც ისე დიდი ბალი. ყველაფერი ძალზე კარგად იყო“[161].

„სადილებზე“ და „ბალებზე“ დაპატიჟება მოსაწვევი ბარათებით ხდებოდა ხოლმე. მე გადმომცეს ვორონცოვების მიერ პოეტ და დრამატურგ გიორგი ერისთავისადმი გაგზავნილი ოთხი ასეთი ბარათი.

მომყავს ნიმუშად ორი მათგანი:

ЕГО СИЯТЕЛЬСТВУ КНЯЗЮ ГЕОРГИЮ ДАВИДОВИЧУ ЭРИСТОВУ АВТОРУ

Князь и Княгиня Воронцовы

Покорнейше просят Вас пожаловать к ним на обед в четверг 11 января в 6 часов.

ЕГО СИЯТЕЛЬСТВУ КНЯЗЮ ГЕОРГИЮ ДАВИДУ ЭРИСТОВУ С СУПРУГОЮ

Князь и Княгиня Воронцовы

Покорнейше просят Вас пожаловать к нам на бал в Воскресение 18 февраля в 7 часов[162].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთ-ერთ ბალზე ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას:

„თბილისიდან წასვლის წინ,—გვიამბობს ზისერმანი,—მე და ლევან ჩოლოყაშვილი მიგვიწვიეს დიდ ბალზე. ვორონცოვის სურვილით მოპატიჟებულ იქნა დახმარების აღმოჩენისათვის ვერცხლის მედლით დაჯილდოებული ხახმატელი ხევსური, რომელმაც თავის მეტად ორიგინალური ტანსაცმელითა და შეიარაღებით ბალზე საყოველთაო ყურადღება მიიპყრო.

ბალზე ჯერ უნახავი სანახაობით გაცბუნებულმა ხევსურმა არ დააყოვნა შეენიშნა, რომ ეს ბრწყინვალება ძნელდება შიშველზურგიანი და ტიტველამკლავებიანი ქალების მისთვის წარმოუდგენელი უსირცხობით, რომლებიც მეტად თავისუფლად იქცევიან მამაკაცებთან და საჯაროდ ხელის მოხვევის უფლებას აძლევენ (ცეკვების დროს).

ის გაკვირვებული იყო მეტად, როგორ უშვებდა მათ მთავარმართებელი თავის სახლში და ისიც მთელი სამხედრო მმართველობის მოპატიჟების დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ როცა მე განუმარტე, რომ ეს ქალები ცოლები და შვილებია ყველა ამ სამხედრო პირებისა და რომ ისინი თბილისელ ქალთაგან ყველაზე განათლებული, ღირსეული და უკეთესი ქალებია, რომ აქვე არის თვითონ მეუღლე მთავარმართებლისა, ჩემი ხევსური მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. ყოველივე ეს აღემატებოდა მისი გაგების უნარიანობას“[163].

ვორონცოვების სალონი 1846 წელს სპეციალური გემით ყირიმში (ვარანცოვის მამულ ალუპკაში) გაემგზავრა რამდენიმე ხნით.

ნიკოლოზ ისაკოვი გვიამბობს:

„ვორონცოვმა, რომელსაც სურდა ქართველ ქალებისათვის ეჩვენებია საქართველოს გარე რამ, საგანგებო გემით მოაწყო მათი ყირიმში გამგზავრება, ალუპკაში ბანოვანებს მეფურად შეხვდნენ“[164].

1846 წლის მაისის 27-ს გრიგოლ ორბელიანი ჯუნგუნიდან მოწერილ წერილში თავის უმცროს ძმას ილიას ეკითხებოდა:

„ერთი მომწერე წვრილად, როგორ დახვდი კნეინას ვარანცოვსა და ან ვინ იყვნენ მასთან ქალთაგანნი“[165].

ყირიმში გამგზავრებულ ქალთა მარაქაში იყო მანანა ორბელიანიც.

თბილისში ქალების დაბრუნების რამდენიმე ხნის შემდეგ გრიგოლ ორბელიანი წერდა თავის ძმას ილიას:

„ბრწყინვალე ჩვენი კნეინა მანანა როგორ სუფევს? ჩემ მაგიერ დიდი პატივისცემა მოახსენე, და ჰკითხე გალლანდსკის პალატნო რომ დამპირდა, მომიტანა ოდესიდამ?“[166].

ასე ირთობდნენ თავს ამ სალონში 1854 წლამდის.

1854 წელს, ავადმყოფობის გამო, მიხეილ სიმონის-ძე ვორონცოვმა თავი დაანება სამსახურს, და ამ წელსვე ვორონცოვები წავიდნენ საქართველოდან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ერისთავის კომედია „გაყრას“ პირველი წარმოდგენა

აკაკი წერეთელი ერთს თავის მოგონება-ში გიორგი ერისთავის კომედია „გაყრის“ წარმოშობის შესახებ წერდა:

„ერთხელ გიორგი ერისთავი მივიდა დიმიტრი ყიფიანთან და ნახა, რომ დივანზე გადაწოლილი მასპინძელი წიგნს კითხულობდა და გულით იცინოდა.

— რა ამბავია, ბ. დიმიტრი, რომ მაგრე ხარხარებ?

— უკაცრავად ბ. გიორგი, რომ ამ წიგნმა გამიტაცა და გვიან შეგნიშნეთ! ერთ რუსის მწერალს, ვიღაც პისემსკის, დაუწერია კომედია და „გაყრა“ დაურქმევია. საუცხოვოთ არის შიგ ჩასახული ხასიათი, ზნე და ჩვეულება რუსეთის მებატონეების.

მონაწილეები, რომ ერთმანეთს მეტ-ნაკლებობა არ დაუთმონ, შალს, წამოსასხამ შალს შუა სჭრიან! საზოგადოდ ძალიან ხე-

ლოვნურად, მოსწრებულად და სასაცილოდ
არის შეთხზული, ჩემო მგოსანო.

შენც დაგვიმტკიცე, რომ ტყვილად არ ყოფილხარ ვარშავაში გაგზავნილი, პოლონეთის მწერლობას გავლენა ჰქონდა შენზე და შენც ამგვარი რამ დაგვიწერე, თუ შეგიძლია, ჩვენის ცხოვრებიდან.“

„სტუმარმა მოუსმინა, ჩამოართვა წიგნი და გაუდგა გზას სოფლისაკენ. არ გაუვლია დიდ ხანს, რომ ისევ ქალაქში დაბრუნებულმა მგოსანმა ჩაუტანა და აჩვენა დიმიტრის ქართულად შეთხზული კომედია „გაყრა“[167].

გიორგი თუმანიშვილის მიერ ამ შენიშვნის გამო დაწერილ პასუხში ვკითხულობთ შემდეგს:

„უნებლიეთ გამოვძებნე,—წერს თუმანიშვილი,—პისემსკის პიესა „Раздел“ და გადავიკითხე. მაშინ დავრწმუნდი, რომ ზემო მოყვანილ მოთხრობაში გ. ერისთავის მიერ „გაყრის“ დაწერის შესახებ ჩვენი ისტორიკოსი ცდება.

ჯერ ერთი ეს, რომ გ. ერისთავის პიესა პირველად წარმოდგენილი იყო 1850 წ. ჩანს დაწერილია ან ამ წელს, ან უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადრე. პისემსკის კომედის კი „Раздел“ და-
ბეჭდილია „სოვრემენიკში“ 1853 წ., ე. ი.
სამის წლის შემდეგ. მაშასადამე, შეუძლებე-
ლია, რომ დიმიტრი ყიფიანს და ერისთავს
წაეკითხათ ჟურნალი 1849 ან 1850 წელს.

ამის გარდა სიუჟეტი პისემსკის პიესისა ძლიერ ცოტად მოგვაგონებს გ. ერისთავის „გაყრას“. მართალია ორივე პიესაში მება-ტონეების გაყრა სასაცილოდ არის გამოყვა-ნილი, მაგრამ სარჩული სხვადასხვა არის“[168].

გიოტემ სადღაც თქვა: თითოეული ეპოქის ადამიანები ერთნაირი აზრებისა და მისწრა-ფებების წარმომადგენლები არიან. ამიტომ ბუნებრივია, რომ ერთდაიმავე დროს სხვა-დასხვა პირი ერთნაირ გამოგონებას (წაი-კითხეთ: თემას—ი. ბ.) მისწვდება. ეს სწო-რედ ისევე, როგორადაც სხვადასხვა ბაღში წლის ერთდაიმავე დროს ხეებს ერთიდაიგი-ვე ხილი სცვივათ.

იგივე შეიძლება ითქვას გ. ერისთავის „გაყრისა“ და პისემსკის „Раздел“-ის შესა-ხებ. რა გასაკვირია, რომ ერთნაირ სოცია-ლურ ფონზე, რომელშიაც იმყოფებოდნენ, რუსეთი და საქართველო, ერთიდაიგივე თე-მატიური პრობლემა წამოჭრილიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ცნობილია, 1850 წელს მ. ს. ვორონცოვის ბრძანებით თბილისში დაიბეჭდა რუსულ ენაზე გ. ერისთავის კომედია „გაყრა“, რომლის ერთი ცალი ინახება ამხანაგ სტალინის სახელობის თბილ. სახ. უნივერ. ბიბლიოთეკაში. წიგნის გარეკანზე ვკითხულობთ: „Раздел“, комедия в трех актах, сочинение князя Георгия Эристова. Тифлис. 1850 г.“. ვინ იცის, იქნებ რუს მწერლის პისემსკის „Раздел“-ის შექმნაზე გ. ერისთავის რუსულად თარგმნილმა „Раздел“-მა მოახდინა გავლენა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთლის ზემოთ მოყვანილი ამონაწერიდან გამოდის, თითქოს გიორგი ერისთავმა დრამატურგობა ორმოცდაათიან წლებში დაიწყო და ისიც პისემსკის პიესის გავლენით, მაგრამ, რასაკვირველია, ასე არ არის.

1837 წლის 29 იანვარს ვილნოში მყოფი გიორგი ერისთავი ქ. რიგაში წერდა გრიგოლ ორბელიანს: „რუსულათ დავწერე სატირა ყიამათათ აქაურს ბალზედ, რომელიც ჰქონდა ზასედატლებს“[169], ხოლო 1840 წელს გიორგი ერისთავს, როგორც უკანასკნელ ხანებში ჩემს მიერ აღმოჩენილ ავტო-

გრაფით გამოირკვა, დაწერილი ჰქონია პიეს-„დავ-“[170].

გ. ერისთავის კომედია „გაყრა“ ... სის შესახებ დღემდის უცნობ ერთ მოგონებაში შემდეგს ვკითხულობთ:

„50-იან წლებში საქართველოში იყო დიდი დავა და ჩხუბი „გაყრა“-ზე, მეტადრე აქედან შეადგინა გიორგიმ სასური კომედია „გაყრა“ და ხელნაწერი იკითხებოდა ყოველს პატიოსანს სახლში, რომელიც თვის ნამდვილის გამოხატვით ხასიათისა და მოქმედნი პირნი იყვნენ ნამდვილი გადაღებული დღიურის ცხოვრებისაგან. უმეტეს კომედია-ესე იყო სასიამოვნო ოდესცა თვით მთხზველი წაიკითხავდა, ნამდვილის წარმოდგენით მასში აღწერილ მოქმედ პირთა“[171].

ამასვე წერდა გიორგი თუმანიშვილიც:

„ძველ კაცებს კარგად ახსოვთ ჯერ კიდევ, რომ ერისთავის ტიპები აღებულია ადგილობრივ ცხოვრებიდამ. „გაყრა“-ში ავტორმა გამოიყვანა თავისი თავი და თავისი ნათესავები და ნაცნობები. მათი გვარებიზოგიერთს კიდევ ახსოვს“[172].

ორმოცდაათიანი წლების დასასრულს, მ. ს. ვორონცოვის თბილისში ყოფნისას, ში-

ნაური წარმოდგენების მართვა კვლავ გრძე-
ლდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე თეატრში რუსული დრამატიული დასი თამაშობდა.

„აქტების“ ცნობით: „ნიჭიერმა მხატვარმა გაგარინმა სცენის მოყვარულთათვის ააშენა პატარა სცენა სათავადაზნაურო გიმნაზიაში და მორთო ის შესანიშნავი დეკორაციებით. ამ სცენაზე ყოველკვირეულად იმართებოდა წარმოდგენები ღარიბთა სასარგებლოდ. თამაშობდნენ ამ წარმოდგენებზე მთავარმართებლის (მ. ს. ვორონცოვის—ი. ბ.) სახლთან დაახლოებული პირნი. ამ წარმოდგენებზე გამოითქვა აზრი პიესის ქართულ ენაზე დადგმის შესახებ, რომელშიაც ქართული ცხოვრება იქნებოდა აწერილი“[173].

მანანა ორბელიანის სალონში სიარულისას მ. ს. ვორონცოვს, როგორც ერთი უცნობი პირი გადმოგვცემს თავის მოგონებაში, „მონათესავე ქალთ გიორგი ერისთავისა, რომელთაც ჰქონდათ „გაყრის“ კომედია, მოახსენეს ვორონცოვს ქება, ამაზე დიდათ ისურვა კნიაზმა ნამესტნიკმა მისი სცენაზე წარმოდგენა“[174].

გიორგი ერისთავი, რომელიც ამ დროს ხოდისთავში იმყოფებოდა, თბილისში ფ[illegible]რეს და ვორონცოვს წარუდგინეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვორონცოვმა დიდის პატივისცემით მიიღო პოეტი, რომელმაც წარუდგინა მას „გაყრის“ ხელნაწერი.

„ვიდრე გადავათარგმნინებდე ამ თქვენ კომედიას რუსულად,—უთხრა ვორონცოვმა გიორგი ერისთავს,—თქვენ სთხოვეთ ჩვენ მაგიერათ სცენის მოყვარე ქართველებს დაისწავლონ როლები და თქვენის თაოსნობით გამართეთ წარმოდგენა ტფილისის გიმნაზიის სცენაზე. ვნახოთ, როგორი კომედია დაგიწერიათ, ან რაგვარ სცენიურ ნიჭს აღმოიჩენთ ქართველები“ [175].

გიორგი ერისთავი სიხარულით შეუდგა ვორონცოვის ბრძანების ასრულებას.

„პატარაობიდანვე გიორგის, — ვკითხულობთ ზემოთ დასახელებულ უცნობი პირის მოგონებაში,—საშინელი ნიჭი ჰქონდა კომიკისა, ისე რომ თუ ვისმე შენიშნავდა სასაცილოს, იმავე წუთში წარმოადგენდა, არამც ხმის მიბაძვით ანუ მიმოხვრით, არამედ სახისა“[176].

მალე შედგენილ იქნა სცენის მოყვარეთა პატარა წრე, მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთნიც, რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ ქართული თეატრის დაარსებისა და წარმოდგენების გამართვისა, ასეთნი იყვნენ: მარიამ ბატონიშვილი, პლატონ იოსელიანი, რევაზ ერისთავი და სხვანი, რომელნიც ყოველმხრივ ხელს უშლიდნენ გიორგი ერისთავს და სხვადასხვა სახის ჭორებს ავრცელებდნენ.

მაგრამ გიორგი ერისთავს წამოეშველა სენატორ გიორგი იოსების-ძე ერისთავის ასული ქეთევან ორბელიანი და დაწყებული საქმე საგრძნობლად წინ წაიწია.

გიორგი წერეთელი გვიამბობს:

„რომელ ერთისთვის უნდა გაეძლო გ. ერისთავს. ბატონიშვილის მარიამის ტუქსვისა, პ(ლატონ იოსელიანი)ს ხეპრეობისა, რ(ევაზ ერისთავი)ს ხრიკებისა თუ ჭ(ილაშვილი)ს ქართულ—რუსულის გამოთქმისათვის.

მართლაც რომ გ. ერისთავი ამ საქმეს თავს ვერ მოაბამდა, გონებაგანათლებული და ჭკუადამჯდარი კნეინა ქეთევან ორბელიანისა, დიდი გიორგი ერისთავის ასული, რომ არ გასჩენოდა მფარველ ანგელოზად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. ქეთევანმა მტკიცე ხასიათი გამოიჩინა. ის არ შეუშინდა არც რევაზ ერისთავის ხრიკებს, არც ბატონიშვილის მუქარას, თანაუგრძნობდა თავის ნათესავის ნიჭს, წინდაწინვე გულში იხატავდა, რა დიდ საქმედ იქნებოდა მომავალში ქართულ თეატრის დაარსება.

აი ამ ქალმა მიიმხრო სხვა წარჩინებული გვარის ქალებიცა, როგორც, მაგალითად, ბაბალე ანდრეევსკისა, ან. ოგლობჟიოსი, და კნ. ან. გაგარინისა“[177].

რეპეტიციების მოსაწყობად ქეთევან ორბელიანმა თავისი ბინა დაუთმო სცენისმოყვარეებს.

გაზეთი „ივერია“ წერს:

„რეპეტიციები იმართებოდა სენატორის გიორგი ერისთავისშვილის სახლში (კუკიის ხიდთან „ლონდონის“ სასტუმროს პირდაპირ). მისი რძალი ელენე მასპინძელი იყო თეატრის მოყვარულთა, მისი ქალი კნ. ქეთევან (თ. მამუკა ორბელიანის მეუღლე) გამძღოლი და რიგის მიმცემი, ავანჩავანი იყო მთელის ამ საქმისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეპეტიციებს ძალიან დიდხანს თურმე არ მოუნდნენ, როგორც მოყვარეთა წესი[illegible] განაც ყველამ ზეპირად იცოდა პიესა; მხოლოდ ორი-სამი კვირა მოუნდნენ. გიორგი ერისთავი (ავტორი) თითონ რეჟისორობდა და ერთ როლსაც თამაშობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარანცოვმა წარმოდგენის წინათ მიანდო ცენზურობა ამ პიესისა თ. ვასილ იოსებისძეს ბებუთოვს, რომელსაც წაუკითხა თვით ავტორმა. წაკითხვის დროს ბებუთოვი სიცილით აღარ იყო თურმე.

მოახსენა ვარანცოვს, რომ არაფერი დასაბრკოლებელი მიზეზი არა აქვს პიესის წარმოდგენასაო. ამბობენ, უკანასკნელი გენერალური რეპეტიცია, თვით ვარანცოვთან თურმე იყო. წინადაც მთავარ-მართებელი დრო გამოშვებით ესწრებოდა რეპეტიციებს და ახალისებდა მოთამაშეთა"[178].

. გავიდა სულ მცირე ხანი. ახლოვდებოდა წარმოდგენის დრო, ბევრს არ სჯეროდა, რომ პიესა მართლა დაიდგმებოდა, მაგრამ სინამდვილემ სძლია ურწმუნოებას რამდენიმე დღის შემდეგ გაიკრა აფიშა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის გიმნაზიის ზალაში ქალაქის ღარიბ ხალხთათვის

(ორშაბათს 2-ს იანვარს 1850 წელსა წარმოდგენილი იქნება)

I.

მიხეილ და ქრისტინე

(ფრანციცულად)

ითამაშებენ: თ. დონდუკოვი — კარსაკოვი, ბარონესსა მეინდორფ, მინჩაკი და ბაშმაკოვი.

შემდე წარმოდგენილი იქნება პირველჯერ ქართულად

II.

გ ა ყ რ ა

კომედია სამ მოქმედებად, თხზ. თ. ერისთავისა.

მოქმედნი პირნი:

თავადი ანდუყაფარ — თ. ილ. ორბელიანი.
პავლე, ძმა მისი — თ. ოქ. ერისთავი.
ივანე — დ. ი. ყიფიანი.
კნეინა მაკრინე — ბ. გ. ანდრეევსკისა.
კნიაჟნა ნინო — კნ. ა. ორბელიანისა.
მიკირტუმ გასპარიჩ — თ. გ. ერისთავი.
თათეთა, ცოლი მისი — კნ. ქ. ორბელიანისა.
შუშანა, ქალი მათი — კნ. ან. ორბელიანისა.
თავადი რამაზ, სეკრეტარი — გ. ო. შანშიევი.
თავადი ბარძიმ — ?. ა. ერისთავი.
ბარამ, მოურავი — თ. ნ. ერისთავი.
გაბრიელ — მ. გ. ჭილაევი.
იმერელი — თ. გრ. ერისთავი.
ყარდაშვერდი — კნ. მ. ერისთავისა[179].

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოდგენას უამრავი ხალხი დაესწრო.

„გიმნაზიის პატარა ზალა, — წერს [illegible] მეუნარგია, — ვერც კი იტევდა თურმე მაყურებლებს. ვარანცოვიც თავის სახლობით და ამალით თეატრში იყო და ყველაზე უფრო გაცხარებული ტაშს უკრავდა სცენის მოყვარეთა. ნამეტნავად კამედიის დამწერი მოიწონეს, როგორც აკტიორი და ავტორი“[180].

შთაბეჭდილება აუწერელი იყო.

პირველი ქართული საჯარო წარმოდგენის დამსწრენი სიამოვნებით იხსენიებდნენ პიესიდან მიღებულ კმაყოფილებას.

პეტრე უმიკაშვილი თავის მოგონებაში წერს:

„ქართულ თეატრის ამბავი გავიგონე პირველად „გაყრის“ წარმოდგენის შემდეგ ჩვენს ნათესავებში. ბევრს ეხსომება ლეიპციგში ნასწავლი დოქტორი ზაქარია ზუბალაშვილი. აი ეს დოქტორი სხვა სტუმრებს შორის დასწრებოდა თავისი ცოლით (დედის ჩემის დეიდა შვილით) პირველ ქართულ წარმოდგენას გიმნაზიის დარბაზში.

ცოლი ლაპარაკობდა წარმოდგენის მეორე და მესამე დღეს, რა რიგად თამაშობდა

გიორგი ერისთავი ვაჭრის როლს და შესრულე-
რა რიგად იყო აღტაცებული. ძალიან ბევრს
იცინოდა გიორგი ერისთავის იმ სიტყვებზედ, რომელსაც პიესის ბოლოს ახალ დანიშნულებს ლოცავს: „ემე იყოს თქვენ თავზედაო“ (დაბეჭდილ პიესაში „ამინ იყოს თქვენზედა“)“[181].

წარმოდგენის მეორე ინიციატორი და მონაწილე პიესისა ქეთევან ორბელიანი 1893 წელს „ივერიის“ თანამშრომლებს უამბობდა:

„სწორედ გაუთავებელი ლხინი და ქორწინება იყო, „გაყრის“ რეპეტიციები და თვით წარმოდგენა, კვირეებმა და თითქმის თვეებმა გაიარა პირველ წარმოდგენის შემდეგ და ლხინი გაუთავებელი იყო“[182].

ხმა პიესის წარმატებით დადგმის შესახებ უმალვე მოედო მთელ საქართველოს და მის გარეშე მხარეებსაც.

თემირხანშურაში მყოფი გრიგოლ ორბელიანი იმავე წლის 25 იანვარს თავის ძმას ილიას წერდა:

„ჩემო საყვარელო ძმა ილიკო! შენი წერილი ამ მინუტში მომიტანეს, რომელშიაც მწერ თეატრში თამაშობასა. სწორედ გითხრა, ძალიან ვნანობ, რომ ეგ პირველი ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თული კამედია ვერა ვნახე. ჩემო ილიკო გთხოვ გამომიგზავნო ეგ კამედია, რომელსაც არ წამიკითხავს.

ქეთევანის ქება შევიტყე და არ მიკვირს, ეგ ასეთი დედაკაცია, რომ რასაც მოინდომებს, შეუძლიან აღსრულებაცა; და ამასთანა ძნელიც არ იქნებოდა მაგისათვის ბებრის დედაკაცის წარმოდგენა. აფიშკა ჩემთვის გამოეგზავნა მთავარმართებელსა, რომლისთვისაცა ამასთანავე ვწერ მადლობასა“[183].

1850 წლის ორი იანვარი საბედნიეროთ თარიღად ჩაიწერა ქართული თეატრის ისტორიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის სალონი

სამეგრელოს მთავრების სამყოფ ადგილს ძველიდგანვე წარმოადგენდა დაბა ზუგდიდი და დაბა გორდი.

„მთავარი,—წერს მემატიანე,—ზამთრობით ზუგდიდში სცხოვრობდა და ეს დაბა განთქმული იყო თავის მშვენიერ ბაღით; გორდი იყო საზაფხულო რეზიდენცია, მდიდარი მთის წყაროებით და ნაქები სად ჰაერით“[184].

სამეგრელოს მთავართაგან გრიგოლ დადიანი პირველი გახდა რუსეთის ქვეშევრდომი.

კონსტანტინე ბოროზდინი გვიამბობს:

„1803 წლის დეკემბრის 4-ს მთავარმა გრიგოლ დადიანმა მთელ თავის ხალხითურთ რუსეთის ხელმწიფის ქვეშევრდომობა მიიღო, იმ პირობით—კი, რომ თვითონ შერჩენოდა ავტონომია ყველა სამოქალაქო საქმეში, ხოლო ხელს იღებდა თავის ვასალების პიროვნებასა და სიცოცხლეზე სისხლის სამართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის უფლებაზე და ამ უფლებას რუსის იმ-პერატორს ხელში აბარებდა.

რაკი მთავარი სახელით იტოვებდა მთელს ტერიტორიაზე საკუთრის უფლებას, როცა მაღალი წოდება მუდმივი სამხედრო ბეგრისაგან გაანთავისუფლა, ამ წოდებისაგან რამდენიმე ნაწილი საადგილმამულო რენტა უნდა მოეთხოვნა, და ეს მოთხოვნა სრულებით ლოგიკური იქნებოდა“[185].

მაგრამ გრიგოლ დადიანს ეს არ მოესწრო; რუსეთის ქვეშევრდომობის მიღების შემდეგ ის მალე გარდაიცვალა, ამბობდნენ, სოლომონ მეფის აგენტებმა მოსწამლესო.

მისი შვილი ლევანი პატარა ბავში იყო მაშინ და სრულწლოვანი რომ შეიქმნა, მაინცდამაინც არავითარი განსაკუთრებული მიდრეკილება არ გამოუჩენია სამეგრელოს მართვა-გამგეობის საქმისადმი.

ამისთვის მას არც მომზადება და არც საკმაო განათლება არ ჰქონდა მიღებული. საქმის კეთება თავმოსაწყენად მიაჩნდა და მთელ დროს ნადირობასა, ლხინში და ბანქოს თამაშში ატარებდა.

1813 წლის იანვრის 26-ს სოფ. ჭაქვინჯის ციხის მახლობლად დაბადებული თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფროსი შვილი, შემდგომ სამეგრელოს უკა-ნასკნელი მთავარი დავითი, ლევან დადიანმა აღსაზრდელად ჯერ ვასილ იოსების-ძე ბე-ბუთოვს მიაბარა და მერე ბარონ გრიგოლ ვლადიმერის-ძე როზენს.

1835 წლის დასაწყისში ბარონმა როზენმა დავით დადიანი ქ. პეტერბურგში წაიყვანა.

„22 წლის რომ იყო დავითი,—წერს ერის მონოგრაფიაში იონა მეუნარგია,—ის, როგორც მემკვიდრე, მთავარმართებელმა ბარონ როზენმა წაიყვანა პეტერბურგს, სადაც ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა მას სტანისლავის ორდენი მეორე ხარისხისა, რომელსაც მაშინ ვარსკვლავი ჰქონდა. ახალგაზრდა მემკვიდრეს ეს ორდენი დიდად ჰშვენოდა და იმას გარეშე ქვეყნის პრინცს ეძახდნენ პეტერბურგში“[186].

პეტერბურგში ჩასული დავით დადიანი უახლოეს დროში საყვარელი სტუმარი შეიქმნა იმ ხანად პეტერბურგში სახელგანთქმული სალონებისა.

იგონებს რა ერთ ასეთ შემთხვევას პავლე ნაშჩოკინი ს. დ. პოლტარაცკისადმი გაგზავნილ ბარათში, სხვათა შორის აღნიშნავს:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„... ჩემთან იყვნენ სტუმრები თავადი დ. დადიანი, პოლკოვნიკი დ. მ. სპიჩინსკი და სხვები, ლაპარაკი იყო პუშკინზე“[187].

რუსეთიდან დაბრუნებული დავით დადიანი სამეგრელოში ჩავიდა და ამ დღიდან მშვენივრად მოწყობილ სასახლეში საფუძველი დაუდო ევროპული ყაიდის ცხოვრებას.

მოკლე ხანში დავითმა ძვირფასი ბიბლიოთეკა შეადგინა ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნებისაგან. თვითონ ჩინებული მწიგნობარი იყო და „ქამსა მოცლისასა“ გადამწერობასა და მთარგმნელობას ეწეოდა.

მისმა სასახლემ მალე მოიზიდა მაშინ ზუგდიდსა და მის მახლობელ ადგილებში მყოფი როგორც ქართველი, ისე რუსი სამხედრო არისტოკრატია, და მთავრის სახლმა ნამდვილი სალონის სახე მიიღო.

1835 წლის 12 დეკემბერს ამ სალონში დავით დადიანმა დიდის ამბით გადაიხადა თავისი დის ნინოს დაბადების დღე.

ხუთი დღის შემდეგ ზუგდიდიდან თავის ძმა გრიგოლ დადიანისადმი გაგზავნილ ჯერ უცნობ წერილში დავითი ამის გამო წერდა:

„12 დეკემბერს მეჯლიში გადვიხადე დღესა ნინოს დაბადებისასა ჩემს სახლში. დიდი

ამბავი მქონდა, მრავალი შეყრილობა [illegible] ეროვნული ბიბლიოთეკა
ღამის ტრანსპარანტები.

ტრანსპარანტში იყო გამოხატული ვენზელი გვირგვინით ნინოსი. მარცხნით ლექსი ესე ჩემ მიერ შეთხზული და მარჯვნივ დოხტურის შპრინგელის მიერ შეთხზული რუსული:

> ეჰა ასული მთავრისა, დღესავე ამას შობილი,
> ქვეყნისა მაშვენებელად მზადისა მიერ შექმნილი,
> მით მოკვდავთ აღმოეჩინა, შვენვა სათნოებით სრული,
> სისრულე დაბადებულის, ნინო სიკეთით აღმკული"[188].

დავით დადიანის მდიდარი ბიბლიოთეკით სარგებლობდნენ ხოლმე როგორც მწერლები, ისე ლიტერატურით დაინტერესებული პირები.

როცა დადიანის კუთვნილი წიგნების ერთი ნაწილი „ხელიდან ხელში" გადასვლისას სადღაც გაიფანტა, მთავარმა ყოველგვარი ღონე იხმარა მათ აღმოსაჩენად.

1839 წლის მარტის 11-ს პოეტი გრიგოლ ორბელიანი თავის უმცროს ძმას ილიას ქალაქ გორიდან ატყობინებდა:

„დადიანი დავითი, აქ ვნახე. მოახსენე ჩემ მაგიერ, რომ მე პუშკინის წიგნები არა წამიღია რა ჭეშმარიტად, და არცარა სხვა წიგნები, თორემ რად დავმალავდი“[189].

თბილისში ერთ-ერთ ჩამოსვლისას დავით დადიანი მოხვდა ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონში. ეკატერინე ალექსანდრეს ასულის მშვენიერებით მოხიბლულმა მთავარმა ამ დღიდან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა პოეტის ოჯახთან.

ეს დაახლოება იმით გათავდა, რომ 1839 წლის მაისის 18-ს დავითმა ჯვარი დაიწერა ეკატერინე ალექსანდრეს ასულზე ქაშუეთის ეკლესიაში.

ამ დღიდან სამეგრელოს მთავრის სალონს უფრო ბრწყინვალე და გრანდიოზული სახე მიეცა.

ნადიმებზე, დღესასწაულებსა და ლხინზე განუწყვეტლივ ისმოდა ზმები, მოსწრებული სიტყვები, მუნასიბები და სხვა.

ასე იყო 1841 წელსაც იმ ზეიმზე, როცა ალექსანდრე ჭავჭავაძე თავის სიძე-ქალიშვილთან ზუგდიდში სტუმრად მივიდა აღდგომის დღესასწაულზე.

ჯერ ზმა ეკატერინე დედოფალზე ლუკა

იოსელიანმა თქვა, მერე-კი ალექსანდრე ჭავჭავაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იონა მეუნარგია გვიამბობს:

„ზუგდიდელი მთავარ—დიაკვანი ლუკა იოსელიანი ძლიერ დახელოვნებული ყოფილა ზმაში.

ერთხელ, როდესაც ალექსანდრე ჭავჭავაძე ზუგდიდს ყოფილა თავის ქალთან, ეკატერინე დედოფალთან, ლუკას შეუკვეთს, აბა ეკატერინეზე ზმა სთქვიო.

მთავარ—დიაკვანმა ჯერ ითხოვა, რომ რუსულის სიტყვის გამორევის ნება მიეცათ და შემდეგ სთქვა:

— გამიგონე, **კატერი** ნავს ჰქვიან, მგონია, რუსულად.

ცამ დამირეკა **ტირი** **ნარნარად**,—განა ქართულად არ ითქმოდაო,—უპასუხა სიტყვა—მოსწრებით ალექსანდრე ჭავჭავაძემ“[190].

შემდეგ, როცა ფერხული ჩამოუარეს, ალექსანდრე ჭავჭავაძემ შესაბამად იქვე თქვა:

ამა ველს—ნოხს მწვანეს
შვენის რაზმად,
ტურფათა, ქალ—ყრმათა
როკვა ერთხმად.

ამოს თქმით, ტკბილის ჰხმით
ვითა მღერიან,
ალვანი, მოძრავნი
ვით ირხევიან.
ურთი-ერთ, მპყრობნი ხელთ
წამოსვლად ჯაჭვად,
ხან წყნარად, ხან ჩქარად,
ცეკვობენ რგვილად.
იეებად, ზამბახად
და სოსან-ვარდად
ვსჭვრიტოთ, ვით ღვივიან
ფერად—ფერადად.
იხარეთ, იხარეთ,
ჰე, ბედნიერნო,
მიწისა ძლიერის
შვილნო ძლიერნო!
შევსწიროთ მადლობა
მადლსა უფლისას
და ყოვლსა მიზეზსა
ამ განცხრომისას[191].

მეორე ლხინზე ამავე სალონში გამართულ ლექსებით პაექრობაში პოეტმა გიორგი იესეს-ძე ერისთავმა მაჯამად უთხრა დავით დადიანს ეს ჯერ უცნობი ლექსი:

პირველ ბრძენთაგან ქებულ არს
სალარო სადადიანო,
მთანი, ველნი და მინდორნი, ნადირნი
სად დადიანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალნი თევზითგან სავსენი, წყარონი
სად დადიანო,
ქალნი და კაცნი კეთილნი,
ზესთ ზენა სა დადიანო[192].

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით დადიანის სალონში ასეთი განცხომა იყო მუდამ, მაგრამ 1853 წლის 30 აგვისტოს მთავარი გარდაიცვალა და ამან საკმაო ხნით შეაჩერა სალონის მუშაობა.

ხელმწიფემ დავითის შვილის ნიკოლოზის სრულწლოვანად გახდომამდის სამეგრელოს მმართველად ეკატერინე დანიშნა და უმაღლეს რესკრიპტთან ერთად უბოძა პირველი ხარისხის ორდენი წმ. მთავარმოწამის ეკატერინესი.

ამ დღიდან ეკატერინე დედოფალი შეიქმნა მმართველი სამეგრელოისა და სალონის მმართველიც.

სალონის ცხოვრებაში სიცოცხლე და სიახლე შეჰქონდა ნინო გრიბოედოვას, რომელიც დავით დადიანის სიკვდილის შემდეგ დიდი ხნით რჩებოდა ხოლმე თავის დასთან, და კონსტანტინე ბოროზდინს, მეტად განათლებულ კაცსა და მშვენიერ მცოდნე ლიტერატურისას.

ქ. ბოროზდინი თავის მემუარებში ასე აგ-
ვიწერს ეკატერინე დედოფალთან პირველ
შეხვედრას:

„29 აპრილს 1854 წელს მე ზუგდიდში მოვედი დედოფლის სასახლეში. კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიაში ვმსახურობდი და ამ კანცელარიის დირექტორმა გამომგზავნა დედოფლის მიწერმოწერის საწარმოებლად. ამასთან, აღმზრდელობა უნდა შეკისრნა მისის შვილებისა ნიკოლოზისა და ანდრიასი.

როცა ოთახში შემოიყვანეს, სადაც ტახტზე ორნი ლამაზნი, შუახნის მანდილოსნნი ისხდნენ, ყოყმანი დავიწყე,—არ ვიცოდი, დედოფალი რომელი იყო მათგანი? ალალბედზე მივუბრუნდი იმას, რომლის სახე სათნოდ და გულკეთილობის გამომეტყველად მეჩვენა, და შევცდი,—ეს იყო ნინო გრიბოედოვისა, მაგრამ მან საჩქაროდ ხელით მანიშნა თავისი და, დედოფალი ეკატერინე.

ასე გავიცანით ერთმანეთი. მერე გამაცნეს განსვენებულის დავითის ძმები გრიგოლი და კონსტანტინე, შემდეგ მომგვარეს ბავშვები, რომელთაგან ნიკოლოზი მეტისმეტად ლამაზი ბავშვი იყო. ამ დღიდან ამ ოჯახის წევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი შევიქენ და იმათთან ერთად ორი წელიწადი გავატარე“[193].

ნინო გრიბოედოვა თვითონ მხიარული იყო და სხვათა გამხიარულებაც იცოდა. როცა ეკატერინე დედოფალი საქმეების გამო სალონში არ იყო, ნინო გრიბოედოვას უნარის წყალობით უმასპინძლობა სრულიადაც არ იყო ხოლმე შესამჩნევი.

„სხვა არა ყოფილიყო,—წერს ბოროზდინი,—მარტო ნინო გრიბოედოვის იქ ყოფნა ჰკმაროდა სორტაში დაბანაკებულ ჯარისათვის. დედოფლის სადგომი ერთთავად სტუმრებით იყო სავსე; აქ იყო მუსიკაც, თამაშობაც, სიმღერაც და ოჯალეშის ღვინოც,—ყველა დიდად ნასიამოვნები ბრუნდებოდა უკან“[194].

1857 წელს ნინო გრიბოედოვას გარდაცვალებამ სალონის წესიერად მსვლელობის საქმე საგრძნობლად შეარყია.

სამეგრელოს მმართველი ეკატერინე დედოფალი უსაყვარლესი დის დაკარგვის გამო უდიდეს მწუხარებაში ჩავარდა.

ვასილ ბებუთოვი იმავე წლის 15 ივლისს თბილისიდან გრიგოლ დადიანისადმი გაგზავნილ ჯერ დაუბეჭდავ წერილში წერდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კარგა ხანი არის ალარაფერი ცნობა არის მიმილია ოდიშით, ეკატერინე მთავრისაგან, ვგონებ მიზეზი მისის დუმილისა იყოს მწუხარებითის ამბავის ცნობა თვისის დის ნინოს გარდაცვალებისა“[195].

იგივე ვასილ ბებუთოვი ხუთი დღის შემდეგ თბილისიდან გაგზავნილ აგრეთვე ჯერ უცნობ თავის მეორე წერილში წერდა:

„ატუტანტი ნამესნიკისა კნიაზი ივანე ორბელიანი, რომელიც გაგზავნილ იყო მისის ბრწყინვალებისაგან ეკატერინესთან, დაბრუნდა მუნით და მოიტანა მთავრინას წიგნი, აღსავსე ფრიადის მწუხარების აღწერით, ვითარცა აწმყოს მენგრელიათა საქმეთ მდგომარეობისა, აგრეთვე მისის დის სიკუდილის გამო“[196].

მაგრამ სალონი მაინც არ დაშლილა.

ეკატერინე დედოფალმა ორი წელიწადი მართა იგი და 1860 წელს გაემგზავრა პეტერბურგში.

საცხოვრებელ ადგილად მან ცარსკოე სელო აირჩია.

იმავე ზაფხულში პავლოვსკში დასასვენებლად იყვნენ იმხანად პეტერბურგის უნი-

ვერსიტეტის სტუდენტები ილია ჭავჭავაძე, კოხტა აბხაზი და სხვანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძე კოხტა აბხაზთან ერთად ცარსკოე სელოში წავიდა სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე ალექსანდრეს ასულის სანახავად, რომელმაც მათ აჩვენა „თავგასართობად“ წამოღებული თავისი ახალგაზრდობის მეგობრისა და მიტროფიალის ნიკოლოზ-ბარათაშვილის ნაწერები.

„მახსოვს ერთხელ, — გვიამბობს კოხტა აბხაზი,—პავლოვსკიდან ცარსკოე სელოში წავედით და იქ ვეწვიეთ ქალბ. დადიანისას. ქ. დადიანისამ გამოგვიტანა და მოგვცა წასაკითხავად ბარათაშვილის ლექსები, რამდენადაც მახსოვს, ბარათაშვილის საკუთარი ხელთნაწერი. ეს იყო: „ქართლის ბედი“ („ბედი ქართლისა“), და „მერანი“[197].

ღრმა მოხუცებულობის დროსაც აგრძელებდა ეკატერინე დედოფალი მომსვლელთა მიღებას თავის სალონში და სისტემატურად იწერდა საჭირო თხზულებებს.

1877 წლის 8 მარტს ეკატერინე დედოფალი ალექსანდრე პავლეს-ძე ერისთავისადმი ზუგდიდიდან ქ. თბილისში გაგზავნილ წერილში სთხოვდა:

„თუ ჩემი სიყვარული გაქვს, უთუოდ უნ-და მიშოვნო გიორგი ერისთავის დაწერილი ლექურის თამაშობაზედ ბეგთაბეგოვის [illegible]-ლისა. ნამდვილი მისი შეთხზულის ლექსის-გან გადმომიწერე და გამომიგზავნე“[198].

1882 წლის 13 აგვისტოს დაბა გორდში გარდაიცვალა უკანასკნელი მნათობი მეცხრა-მეტე საუკუნის პირველი ნახევრის სალო-ნებისა.

„ხავის ფრანტები“ ცოცხალი აღარ იყვ-ნენ, არც ის „ინგლიჩნები, ფრანცუზები და ჰინდოელები“, რომლებიც თავბრუდახვეუ-ლები იყვნენ სალონის მადონების სილამა-ზით, ნიკოლოზ ბარათაშვილს სამუდამოდ ეძინა განჯაში, გიორგი ერისთავს იკორთა-ში, სხვებიც გარდაცვლილიყვნენ და გრი-გოლ ორბელიანმა ყველა ამათ მაგიერ დაი-ტირა ის.

ტასო აგლობჟიოსადმი გაგზავნილ წერილ-ში მწუხარებით აღვსილი სნეული პოეტი წერდა:

„კნეინა ეკატერინა მენგრელიისა გარდაი-ცვალა გორდსა 13 აგვისტოს. წავიდა ესეცა წარსულის დროისა საქართველოს მშვენიე-

რება, დედუფლად დაბადებული. ვინცა მე-
ხედავდა, მაშინვე უნდა მდაბლად თავი
დაეკრა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ესეთნი იყვნენ: ანნა, მანანა, მაია, ჩვენი ეკატერინა, ყაფლანის და, ნინა გრიბოედოვისა, მისი და სოფიო, ჩვენი მაიკო, ყაფლანის ელენე, მართა ერისთავისა და მრავალნი სხვანიცა: აბა ახლა თვალი გადაავლე ჩვენს საზოგადოებას, ვინ არის ამათი მაგიერი? ჩემო ტასო, ბნელდება საქართველო“[199].

რამდენიმე ხნის შემდეგ გრიგოლ ორბელიანიც გარდაიცვალა. ლიტერატურულ ასპარეზზე უკვე ახალი ძალები მოქმედებდნენ, რომლებსაც თავიანთი ჯგუფები და წრეები ჰქონდათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წყაროების მაჩვენებელი

1. გაზ. „საქართველო“ 1915 წ. № 81.

2. В. Иваненко „Гражданское управл. в Закавказье“, 1907 წ., გვ. 349.

3. ჟურ. „Вестник Европы“, 1875 წ., № 7.

4. გიორგი ერისთავი „თხზულებანი“, შ. რადიანისა და ი. ბოლახაშვილის რედაქციით, 1936 წ., გვ. 33.

5. საქ. მუზ. პალ. განყ. H. ფონდის ხელთნ., № 3253.

6. ჟურ. „ცისკარი“, 1858 წ. № 1 მოლაყბის (მიხეილ თუმანიშვილის) წერილი.

7. დ. ჩუბინიშვილი „ქართული ქრისტომატია“, 1863 წ., ნაწ. I გვ. 179.

8. П. Бутков „Матер. для новой истор. Кавказа“, 1869 წ., ნაწ. II გვ. 449.

9. „Акты“ ტ. I გვ. 99.

10. „Акты“ ტ II გვ. 19.

11. „Акты“ ტ. II გვ. 19.

12. გაზ. „კომუნისტური განათლება“, 1936 წ. № 3.

13. დ. ყიფიანი „მემუარები“, ს. ხუნდაძის რედაქციით, 1930 წ., გვ. 8.

14. დ. ყიფიანი „მემუარები“, ს. ხუნდაძის რედაქციით, 1930 წ., გვ. 8, 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. დ. ყიფიანი „მემუარები“, ს. ხუნდაძის რედაქციით, 1930 წ., გვ. 4, 5.

16. ვახ. ბატონიშვილი „ღეოგრაფიული აღწერაჲ საქართველოისა“, 1842 წ., გვ. 416.

17. ჟურ. „მოამბე“, 1897 წ., № 12.

18. „გურიის ამბები“, 1919 წ., გვ. 56.

19. ჟურ. „მოამბე“, 1897 წ., № 12.

20. „გურიის ამბები“, 1919 წ., გვ. 56.

21. „გურიის ამბები“, 1919 წ., გვ. 56.

22. გამბა „მოგზაურობა“. პარიზი, 1826 წ., ტ. I, გვ. 122. (ფრანგულ ენაზე).

23. К. Рылеев „Полное собр. сочинении“, 1931 წ., გვ. 118.

24. А. Кошелев „Записки“, 1884 წ., გვ. 15.

25. „მასალები საქართველოს ისტორიისათვის“, 1905 წ., გვ. 131.

26. გაზ. „Кавказ“, 1846 წ. № 2.

27. ჟურ. „Русский Архив“ 1886 წ. № 4.

28. ჟურ. „Русский Архив“, 1886 წ. № 4.

29. ჟურ. „Исторический Вестник“, 1886 წ. № 6.

30. Э. Бример „Записки“, Выпуск I, 1894 წ. გვ. 145.

31. გაზ. „Кавказ“, 1846 წ., № 2.

32. ჟურ. „Русский Архив“, 1875 წ. № 7.

33 ჟურ. „Русский Вестник“, 1869 წ, № 4.

34. А. Гангеблов „Воспоминания“, 1888 წ., გვ. 203.

35. А. Гангеблов „Воспоминания“, 1888 წ. გვ. 171, 172.

ეროვნული ბიბლიოთეკა

36. ჟურ. „Русский Архив", 1880 წ., ტ. III.
37. ჟურ. „Русский Архив", 1880 წ., ტ. III.
38. А. Гангеблов „Воспоминания", 1888 წ., გვ. 202, 203.
39. ჟურ. „Русский Вестник", 1869 წ., № 4.
40. ჟურ. „Русский Вестник", 1869 წ., № 4.
41. „Воспоминания Братьев Бестужевых", 1917 წ., გვ. 87.
42. რ. ვილბრეჰამი „მოგზაურობანი ამიერ-კავკასიაში...", 1839 წ., გვ. 265, 266 (ინგლისურ ენაზე).
43. „Воспоминания Братьев Бестужевых", 1917 წ., გვ. 87, 88.
44. „Пушкин и его совр.", выпуск XXXVII, 1928 წ.
45. „Пушкин и его совр.", выпуск XXXVII, 1928 წ.
46. საქარ. ცენ. საარქ. სამმარ., 1832 წ., ზეთქმ. მასალ. საქმე, № 171.
47. „Временник Пушкинской комисии". ტ. II, 1936 წ., გვ. 298, 299.
48. „Кавказская поминка о Пушкине", 1899 წ. გვ 18.
49. „Пушкин и его совр.", выпуск XXXVII, 1928 წ.
50. გაზ. „Кавказ". 1880 წ., № 182.
51. გაზ. „Тифлисские Ведомости", 1829 წ., № 17.
52. „Кавказская поминка о Пушкине", 1899 წ., გვ. 17.
53. „Пушкин и его современ.", выпуск XXXVII, 1928 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

54. გაზ. „Тифлисские Ведомости“, 1829 წ., № 29.
55. ჟურ. „Русская старина“, 1880 წ., № 10.
56. А. С. Пушкин, „Письма“, ტ. III, 1935 წ., გვ. 85.
57. ჟურ. მოამბე“, 1904 წ., № 10.
58. გ. გოზალიშვილი „1832 წლის შეთქმულება“, ტ. I, 1935 წ., გვ. 412.
59. გ. გოზალიშვილი „1832 წლის შეთქმულება“, ტ I, 1935 წ., გვ. 452.
60. გრ, ორბელიანი „ლექსები“, 1935 წ., მ. ზანდუკელის რედაქციით, გვ., 129, 130.
61. გ. გოზალიშვილი „1832 წლის შეთქმულება“, ტ. I, 1935 წ., გვ. 412, 413.
62. ი. გრიშაშვილი, „საიათნოვა“, 1918 წ., გვ. 53, 54.
63. ზ. ჭიჭინაძე „ს. დოდაშვილი და ნ. ბარათაშვილი“, გვ. 10, 11.
64. ზ. ჭიჭინაძე „ს. დოდაშვილი და ნ. ბარათაშვილი“, გვ. 11.
65. გ. გოზალიშვილი „1832 წლის შეთქმულება„, ტ. I, 1935 წ. გვ. 57.
66. გ. გოზალიშვილი „1832 წლის შეთქმულება“, ტ. I., 1935 წ. გვ. 177.
67. „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, წიგნი I, 1935 წ., გვ. 318, 319.
68. „Акты“, ტ. VIII, გვ. 402.
69. გ. გოზალიშვილი „1832 წლის შეთქმულება“, ტ. I., 1935 წ., გვ. 95, 96.
70. ჟურ. „Вестник Европы“, 1875 წ., წიგნი 7.

71. ჟურ. „Вестник Европы“, 1875 წ., წიგნი 7.
72. ჟურ. „Вестник Европы“, 1875 წ., წიგნი 7.
73. ჟურ. „Вестник Европы“, 1875 წ., წიგნი 7.
74. გაზ. „Тифлисские Ведомости“, 1832 წ., № 3.
75. ჟურ. „ტფილისის უწყებანის“ „სალიტერატურო ნაწილნი“, 1832 წ. № 2.
76. ჟურ. „Вестник Европы“, 1875 წ., წიგნი 7.
77. გაზ. „Тифлисские Ведомости“, 1832 წ. № 3.
78. გაზ. „Тифлисские Ведомости“, 1832 წ., № 3.
79. გაზ. „Тифлисские Ведомости“, 1832 წ., № 3.
80. გ. გოზალიშვილი „1832 წლის შეთქმულება“ ტ. I., 1935 წ., გვ. 442.
81. გ. გოზალიშვილი „1832 წლის შეთქმულება“, ტ. I, 1935 წ., გვ. 152.
82. გ. გოზალიშვილი „1832 წლის შეთქმულება“, ტ. I, 1935 წ., გვ. 194.
83. გ. გოზალიშვილი „1832 წლის შეთქმულება“, ტ. I, 1935 წ., გვ. 118.
84. გ. გოზალიშვილი „1832 წლის შეთქმულება“, ტ. I, 1935 წ., გვ. 153.
85. დ. ყიფიანი „მემუარები“, ს. ხუნდაძის რედაქციით, 1930 წ., გვ. 140.
86, მ. ზანდუკელი „ახალი ქართული ლიტერატურა“, ტ. I, 1932 წ., გვ. 270—276.
87. დ. ყიფიანი „მემუარები“, ს. ხუნდაძის რედაქციით, 1930 წ., გვ. 140, 141.
88. ჟურ. „Русский Вестник“, 1869 წ., № 4.
89. ჟურ. „Русский Вестник“, 1869 წ., № 2, 4.
90. ჟურ. „Русский Вестник“, 1869 წ., № 4.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

91. Л. Исарлов „Письма о Грузии“, 1899 წ., გვ. 83.

92. საქ. მუზ. პალ. გან. ხელთნ. Θ ფონდისა, № 31.

93. ზ. ჭიჭინაძე „ს. დოდაშვილი და ნ. ბარათაშვილი“, გვ. 7.

94. ჟურ. „მნათობი“, 1932 წ. № 5—6.

95. „ნ. ბარათაშვილი“, 1922 წ. გამოცემა, გვ. XIV—XVI.

96. სოლომონ ცაიშვილისაგან დაცული მასალებიდან.

97. ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1937 წ., № 1.

98. ჟურ. „მნათობი“, 1932 წ., № 5—6.

99. „ნ. ბარათაშვილი“, 1922 წ., გამოცემა გვ. XIV.

100. ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1937 წ., № 1.

101. ჟურ. „მოამბე“, 1897 წ., № 11.

102. ჟურ. „მნათობი“, 1925 წ., № 3.

103 გაზ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1934 წ., № 23.

104. რ. ვილბრეჰამი „მოგზაურობანი ამიერ-კავკასიაში...“, 1839 წ. (ინგლისურ ენაზე), გვ. 247, 248, 249

105. ჟურ. „მოამბე“, 1897 წ., № 11.

106. ჟურ. „Русский Архив“, 1904 წ., № 1.

107. რ. ვილბრეჰამი „მოგზაურობანი ამიერ კავკასიაში“, 1839 წ., გვ. 250.

108. ჟურ. „ჩვენი თაობა“, 1937 წ., № 9.

109. ჟურ, „Русский Архив“, 1904 წ. № 1.

110. რ. ვილბრეჰამი „მოგზაურობანი ამიერ კავკასიაში“, 1739 წ., გვ. 251.

111. რ. ვილბრეჰამი „მოგზაურობანი ამიერ კავკასიაში“, 1839 წ., გვ. 251.

ეროვნული ბიბლიოთეკა

112. დ. ყიფიანი „მემუარები", ს. ხუნდაძის რედაქციით, 1930 წ., გვ. 9, 10.

113. რ. ვილბრეჰამი „მოგზაურობანი ამიერ კავკასიაში", 1839 წ., გვ. 261, 262.

114. А. Дюма „Кавказ", 1861 წ., Выпуск II, გვ 445.

115. გაზ. „დროება", 1881 წ., № 206.

116. ზ. ჭიჭინაძე „ს. დოდაშვილი და ნ. ბარათაშვილი", გვ. 8.

117. „ნ. ბარათაშვილი", 1922 წ., გამოცემა, გვ. XL—XLII.

118. გაზ. „დროება", 1881 წ, № 206.

119. გაზ. „დროება", 1881 წ., № 206.

120. ნ. ბარათაშვილი „ნაწერების სრული კრებული", 1930 წ, გვ. 125—128.

121. А. Фадеев „Воспоминания", 1897 წ., გვ. 116, 117.

122. ჟურ. „Русский Вестник", 1869 წ., № 4.

123. იონა მეუნარგია „ალექსანდრე ჭავჭავაძე" 1937 წ., გვ. 60.

124. იონა მეუნარგია, „ალექსანდრე ჭავჭავაძე", 1917 წ, გვ. 61.

125. „А. С. Грибоедов в воспоминаниях современников", 1929 წ., „Федерация", გვ. 312.

126. „ნ. ბარათაშვილი", 1930 წ., გამოცემა, გვ. 32, 33.

127. „ნ. ბარათაშვილი", 1930 წ., გამოცემა, .20.

128. ა. ჭავჭავაძე „ლექსები", 1881 წ., გვ. 99.

129. იონა მეუნარგია „ალექსანდრე ჭავჭავაძე", 1937 წ., გვ. 60.

ეროვნული ბიბლიოთეკა

130. იონა მეუნარგია „ალექსანდრე ჭავჭავაძე", 1937 წ., გვ. 61.

131. საქ. მწერალთა მუზეუმი ხელთნაწ., № 143.

132. Е. Такайшвили „Описание", т. II, выпуск III გვ. 437, 438.

133. ლექსის ავტოგრაფი ჩემთან ინახება.

134. ჟურ. „Русский Вестник", 1869 წ., № 4.

135. რ. ვილბრეჰამი „მოგზაურობანი ამიერკავკასიაში", 1839 წ., გვ. 259

136. ზ. მთაწმინდელი (ჭიჭინაძე) „ნ. ბარათაშვილი" 1885 წ., გვ. 15.

137. იონა მეუნარგია „ალექსანდრე ჭავჭავაძე", 1937 წ., გვ. 39, 40

138. А. Фадеев „Воспоминания", 1897 წ., გვ. 117.

139. წერილის ავტოგრაფი ჩემთან ინახება.

140. დ. ყიფიანი „მემუარები", ს. ხუნდაძის რედაქციით, 1930 წ., გვ. 104—106.

141. საქ. მუზ. პალ. გან. H ფონდის ხელთნ., № 5332.

142. მიხეილ გიორგის-ძე თუმანიშვილთან დაცული მასალებიდან.

143. გრ. ორბელიანი „წერილები", აკ. გაწერელიას რედაქციით, ტ. I, 1936 წ., გვ. 119.

144. საქ. მუზ. პალ, გან, H ფონდის ხელთ., № 155 ბ.

145. საქ. მუზ. პალ. გან. H ფონდის ხელთ., № 155 ბ.

146. საქ. მუზ. პალ. გან. H ფონდის ხელთ., № 155 ბ.

147. „Литературное наследство", 1934 წ., № 16—18 გვ. 793.

148. საქ. მუზ. პალ. გან. H ფონდის ხელთ. № 155 ბ

149. გრ. ორბელიანი „წერილები", აკ. გაწერელიას რედაქციით, ტ. I, 1936 წ., გვ. 34.

150. საქ. მუზ. პალ, გან. H ფონდის ხელთ., № 155 ბ
151 საქ. მუზ. პალ. გან. H ფონდის ხელთ., № 155 ბ
152. საქ. მუზ. პალ. გან. H ფონდის ხელთ., № 155 ბ.
153. საქ. მუზ. პალ. გან. H ფონდის ხელთ., № 155 ბ.
154. სოლომონ ცაიშვილთან დაცული მასალებიდან.
155. ნ. ბარათაშვილი, 1930 წ., გვ. 94, 95.
156. სოლომონ ცაიშვილთან დაცული მასალებიდან.
157. საქ. მუზ. პალ. განყ. H ფონდის ხელთ., № 155 ბ
158. ჟურ. „ცისკარი“, 1871 წ., № 1.
159. А. Зисерман „25 лет на Кавказе“, 1879 წ., ნაწ. I, გვ. 107, 108.
160. А. Зисерман „25 лет на Кавказе“, 1879 წ., ნაწ. I, გვ. 109.
161. ჟურ. „Старина и новизна“ 1902 წ., წიგნი V
162. მოსაწვევი ბარათების ორიგინალები ჩემთან ინახება.
163. А. Зисерман „25 лет на Кавказе“, 1879 წ., წიგნი I, გვ. 189, 190, 191.
164. ჟურ. „Русская Старина“. 1917 წ., № 2.
165 გრ. ორბელიანი „წერილები“, აკ. გაწერელიას რედაქციით, ტ. I, 1936 წ., გვ. 123.
166. გრ. ორბელიანი „წერილები“, აკ. გაწერელიას რედაქციით, ტ. I. 1936 წ., გვ. 144.
167. გაზ „თემი“, 1912 წ., № 55.
168. გაზ. „თემი“, 1912 წ. № 58.
169. გ. ერისთავი „თხზულებანი“, შ. რადიანისა და ი. ბოლახაშვილის რედაქციით, 1936 წ., გვ. 366.
170. გ. ერისთავი „თხზულებანი“, შ. რადიანის და ი. ბოლახაშვილის რედაქციით, 1936 წ., გვ. 402.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

171. ელისაბედ დავითის ასულ ერისთავთან დაცული მასალებიდან.

172. გაზ „თემი“ 1912 წ., № 58.

173. „Театр в Тифлисе“, 1888 წ., გვ. 124, 125.

174. ელისაბედ დავითის ასულ ერისთავთან დაცული მასალებიდან.

175. გ. ერისთავი „თხზულებანი“, 1884 წ., გვ. XL.

176. ელისაბედ დავითის ასულ ერისთავთან დაცული მასალებიდან.

177. ჟურ. „კვალი“, 1893 წ., № 2.

178. გაზ „ივერია“, 1893 წ., № 1.

179. გ. ერისთავი „თხზულებანი“, 1884 წ., გვ. XLI.

180. გ. ერისთავი „თხზულებანი“, 1884 წ., გვ. XLII.

181. გაზ. „ივერია“, 1899 წ., № 209.

182. გაზ. „ივერია“, 1893 წ., № 1.

183. გრ. ორბელიანი „წერილები“, აკ. გაწერელიას რედაქციით, ტ. I, 1936 წ., გვ. 209.

184. კ. ბოროზდინი „სამეგრელო და სვანეთი“, 1934 წ., გვ. 100.

185. კ. ბოროზდინი „სამეგრელო და სვანეთი“, 1934 წ., გვ. 102, 103.

186. სოლომონ ცაიშვილთან დაცული მასალებიდან.

187. ჟურ. „Русский Архив“, 1884 წ., № 3.

188. ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, იონა მეუნარგიას არქივში დაცული წერილი.

189. გრ. ორბელიანი „წერილები“, აკ. გაწერელიას რედაქციით, ტ. I, 1936 წ., გვ. 49.

190. გაზ. „ივერია“, 1886 წ., № 1

191. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ. № 29.

192. საქ. მუზ. პალ. განყ. ხელთ. H ფონდისა, № 2559.

193. კ. ბოროზდინი „სამეგრელო და სვანეთი“, 1934 წ., გვ. 7.

194. კ. ბოროზდინი „სამეგრელო და სვანეთი“, 1934 წ., გვ. 15.

195. ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, იონა მეუნარგიას არქივში დაცული წერილი.

196. ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, იონა მეუნარგიას არქივში დაცული წერილი.

197. „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, 1935 წ. წიგნი I, გვ. 564.

198. ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, იონა მეუნარგიას არქივში დაცული წერილი.

199. საქ. მუზ. პალ. განყ. ხელთ. S ფონდისა, № 2660

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი

1. რამდენიმე სიტყვა წინასწარ 3
2. შინაური წარმოდგენები თბილისში პ. ი. კოვალენსკის ინიციატივით 12
3. თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის საჯარო აქტები 18
4. გურიის უკანასკნელი მთავრის სალონი . . 25
5. ლიტერატურული შეკრებანი ა. პ. ერმოლოვთან 30
6. თბილისში გადმოსახლებულ დეკაბრისტთა ლიტერატურული წრე 37
7. ლიტერატურული ნადიმი ორთაჭალის ბაღში ა. ს. პუშკინის პატივსაცემად. 50
8. ლიტერატურული ლხინი კახეთში ა. ს. პუშკინის მასპინძლობით 60
9. ა. ს. პუშკინი „ტიფლისკი ვედომოსტი"-ს რედაქციაში 67
10. ლიტერატურული შეკრებანი გრიგოლ ორბელიანთან 74
11. სოლომონ დოდაშვილის ლიტერატურული წრე 83
12. რ. ი. ბაგრატიონის სალონი 91
13. ვახტანგ ორბელიანის ლიტერატურული წრე 100

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. ლიტერატურული სადილი ელიზბარ ერისთავთან 104
15. ელისაბედ როზენის სალონი 107
16. თბილისის პირველი გიმნაზიის მოწაფეთა ლიტერატურული წრე 112
17. ბალი თბილისში 1837 წლის 10 ოქტომბერს 134
18 მარიამ ორბელიანის სალონი 143
19. ლიტერატურული შეკრებანი ნიკოლოზ ბარათაშვილთან 148
20. ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონი 158
21. პირველი საბიბლიოთეკო ამხანაგობა თბილისში 173
22. მანანა ორბელიანის სალონი 181
23. ელისაბედ ვორონცოვას სალონი 191
24. გიორგი ერისთავის კომედია „გაყრის“ პირველი წარმოდგენა 209
25. სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის სალონი 213
26. წყაროების მაჩვენებელი 228

ЯКОВ БАЛАХАШВИЛИ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ЛИТЕРАТУРНЫЕ КРУЖКИ и САЛОНЫ В ГРУЗИИ

Первая половина XIX века
Документальный очерк

Детюниздат ЦК ЛКСМГ
Тбилиси
1940

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ი. გრიშაშვილი.
ტექრედ. ა. ვადაჭკორია.

**

გადაეცა წარმოებას 15/I—1940 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდ. 21/III1940 წ.
მთავლიტის რწმუნებულის № 2139
შეკვეთის № 281. ტირაჟი 4.000
ქაღალდის ზომა 62 × 88.
ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა—15

**

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის
საბავშვო და ახალგაზრდობის
ლიტგამომცემლობა, თბილისი 1940 წ.

ფასი 8 მან.

გაზ. „ბოლშევისტსკაია პუტიოვკა"-ს
გამომცემლობის სტამბა

ეროვნული
ბიბლიოთეკა